სანდრო პაპა

ლილი ოდეკი
(1790 წ)

ცეკვა
(ცხელი ზაფთარი ~ 2013 წ)

თბილისი
2013

რედაქტორი და გამომცემელი
იულონ ტოლიაშვილი



დამკაბადონებელ-დიზაინერი
კობა ბედოიმე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მაია ბოლქვაძე

© „ეთნოპოლიტიკა“

დიდი ომი
(1790წ)

წინათქმა

ქვეყნის მეთაური მხოლოდ ერის ინტერესების მიხედვით უნდა მოღვაწეობდეს. ამ გზით გახდება იგი სახელიანი. თუ მეთაური სუბიექ-ტური, ოჯახური, კლანური (პარტიული) ინტერესების მსახურია, ქვეყანა ტრაგედიას, ხოლო თვითონ გაორებულ შეფასებას ვერ აიცილებენ.

დიდი მებრძოლი იყო ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II. დიდი იყო მისი მცდელობა, მაგრამ გარემოცვის ტყვე შეიქმნა და ქვეყანამ ტრაგედია ვერ აიცილა. ამ საკითხს ეხმაურება წინამდებარე ნაშრომი.

ქვეყნისთვის ტრაგიკული და მეთაურისთვის კომიკურია მიხეილ სააკაშვილის მოღვაწეობა. სურვილის მიუხედავად, ვერ ამაღლდა იგი ერისკაცის დონემდე. გარემოცვამ დაატყვევა, თავმოყვარეობა წაართვა. 2013 წ. იანვარ-თებერვალში გაითამაშა კომედია, რომელმაც შეაფერხა ქვეყნის წინსვლა. ამ მოვლენას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი. საკითხის მსუბუქად გადმოცემამ ვერ უნდა დაჩრდილოს ტრაგედიის სიმძიმე. წამ-კითხავს შევახსენებ სულმნათ აკაკის სიტყვებს:

ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია,
რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარია.

/1790 წ. აპრილი. მეფე ერეკლე II, შვილიშვილს, გიორგის ასულ ნინას ათხოვებს ოდიშის მთავარ კაცია დადიანის ვაჟ გრიგორზე. დიდ სამეფო დარბაზში ქორწილია. ცალკე, მცირე დარბაზში თათბირობენ მეფის მდივან-მრჩეველ სოლომონ ლიონიძე, მდივან-ბეგი ჭაბუა ორ-ბელიანი და გრიგორის მასწავლებელ-მრჩეველი ანტყონ ჭყონდიდელი/

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲚᲘᲝᲜᲘᲫᲔ

აუჩქარებლად უნდა ვიჩქაროთ,
სიმძიმით ქედი არ მოვიხაროთ
ორგულნი ახლოს არ გავიკაროთ,
ეგებ ერთობით, ბოლოს ვიხაროთ

ᲐᲜᲢᲝᲜ ᲭᲧᲝᲜᲓᲘᲓᲔᲚᲘ

უფალის მადლი გადმოსულია, ამაში ჩვენიც დიდი წვლილია
ზუგდიდი თბილისს გვერდში უდგება, თუ იყო წყენა,
ის წაშლილია.

ᲭᲐᲑᲣᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ

წყენა კი იყო, თავად დედოფალს,
რამდენი შეხვდა სიტყვა საწყენი
ჭორი სიმართლეს გადაერია, არავინ იყო სიკეთის მჩენი.
ისევ შენ შესძელ, მამაო ანტონ, ბატონ კაციას დაშოშმინება
სულიერ მოძღვარს წინ ვერ დაგიდგა,
არა ყოფილა რწმენის გინება.

ᲐᲜᲢᲝᲜ ᲭᲧᲝᲜᲓᲘᲓᲔᲚᲘ

ის, რაც უფლისგან მონატანია, გასაგები და ასატანია
კაცი ღვთის ნებას თუ ვერ ჩახვდება,
უნდა იტანჯოს ერთი ხანია
და როცა გონი გაუნათდება, როცა მიხვდება ასე რად ხდება
წყენა გაქრება, გზა გამოჩნდება, საკეთებელი დაულაგდება

რატომ გვიკვირდეს, სოლომონ მეფე, ჯან-ღონით სავსე,
უცებ წავიდა*
რაც ერთად გვქონდა ქვეყნის მიზანი,
უნდა აგვეწყო ცალკე თავიდან
გზა ჩაგვეკეტა, მისი შემცვლელი, ვერა მეფობდა,
ვერას სარდლობდა
დადიანს სურდა სიკეთის თესვა,
მხარის მიმცემად ვერავის სცნობდა
მეორდებოდა შური და წყენა, ვინ რა იკადრა,
ვერ იტყვის ენა
თქვენ დედოფალსაც თუ ესმა სიტყვა,
იყო ნათქვამი თუ მოეჩვენა?
ჭირი–ჭირია, ქალიც-ქალია, მსახურია თუ დედოფალია
ქალის გულისთქმა აზრ-ამღვრეული, კაცმა დამწინდოს –
მისი ვალია

სოლომონ ლიონიძე

აქ გასაკვირი არაფერია, კაცს გზა და კვალი თუ აერია
ზოგის დალოცვა გინებად ესმის, ზოგის გინება მისამღერია
ცხრა წლის წინ იყო, ბატონიშვილი ლევანი მეფეს გამოეცალა**
მასთან გიორგი შეექმნა მძიმედ, ბოროტს ემძლავრა და მოეცალა

---

* სოლომონ მეფე, რომელმაც ბევრი გააკეთა იმერეთის სამეფოსათვის (მხოლოდ ტყვეთა გაყიდვის აკრძალვა უტოლდებოდა დიდ რევოლუციას, აღარაფერია სათქმელი გურიის, აფხაზეთის და ოდიშის სამთავროებზე გავლენის გაძლიერებაზე, ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთობლივ მოქმედებაზე და ა.შ) 23.04 1784 წ. უეცრად გარდაიცვალა. მსხვილმა თავადებმა (პაპუნა წერეთელი, ბერი წულუკიძე და სხვ.) უკვე 30.04 ტახტზე მისი ბიძაშვილი დავით გიორგის ძე აიყვანეს. ამ ფაქტს დაძაბულობის გაძლიერება მოჰყვა ორ სამეფოს შორის. ერეკლე II მეუღლე დარეჯან დადიანი აქტიურად მონაწილეობდა იდეურ ბრძოლაში.

** 1781 წ. გამოუცნობ ვითარებაში ლევან ბატონიშვილი (ფიქრობენ მოწამლული) გარდაიცვალა. ერეკლე II მოუკვდა მორიგე ჯარის შემქმნელი, სამეფოს ლეკთა შემოსევებისაგან დამცველი, ქვეყნის დიდი იმედი. ამასთან, ლევანი ერეკლეს დარეჯან დადიანის ქალისაგან ჰყავდა და გიორგისაგან (გერისაგან) განსხვავებით დედოფლის დასისათვის მისაღებ სამეფო კანდიდატს წარმოადგენდა. იმავე ხანებში დაავადდა გიორგი ბატონიშვილი. გადმოცემის თანახმად იგი ტანმაღალი, წელწვრილი, ფართო მხარბეჭიანი იყო დაავადებამდე, შემდეგ კი ავადმყოფურად გასუქება დაიწყო. საჭმელს მცირეს ღებულობდა, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომ ხმაც დაუგდეს: ზაქს ჭამს ერთ დავდომაზეო. დედოფალი დარეჯანი შურიანობდა გერს და ცდილობდა სიტყვით თუ საქმით რაიმე ევნო. გიორგი ბატონიშვილი იძულებული იყო გასცლოდა სასახლეს და სამართავ მამულში, გამოკეტილიყო.

ლევანს ვტიროდით სამეფოს იმედს,
გიორგი გვყავდა მისახედავი
ავს ავი იყო ერთად ნაზავი, სიტყვის აწონის ვის ჰქონდა თავი
მეფემ იდარდა და წელში გატყდა, სიბერემ ვაჟკაცს შემოუტია
აღარა ჩანდა გამოსავალი, სიკეთეს წილი არ დაუტია.
გიორგი ძმებშიც გამორჩეული, მაღალი, წვრილი, მხარბეჭიანი
სიკვდილს გადურჩა, ტანით გასქელდა,
ღონით შეიქმნა რაღაც ჭიანი
გონიერია, იანდა, მიხვდა, საიდან ქროდა ქარი უგვანო
როცა არ არი გამოსავალი, უნდა გასცილდე, დათმო, უგანო.
ქართლში ბორჩალო, ყაზახის წილი,
მამისგან ჰქონდა შესანახავად
ადგა მამულში გამოიკეტა, თავისთვის იყო კარგად თუ ავად
ამით გადარჩა ტახტის მემკვიდრე, სამეფოს ბედი გადაარჩინა
ანა დედოფლის* სულს შევავედრებ, ასე ჭკვიანი ვინც გააჩინა

ᲭᲐᲑᲣᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ

მეც დავამატებ გიორგის ამბავს, სხვებისგან მუდამ გამორჩეული
არა მამით და გვარიშვილობით, ცოდნითაც იყო მუდამ ეული
მაყაშვილი და ბარათაშვილი** ზრდიდნენ
და ადათ-წესებში წვრთნიდნენ
ქართულ-სომხურში, სპარსულ-ბერძნულში,
ვინც ასწავლიდნენ, ისინი ცდიდნენ,
უყვარდა წიგნი, წმინდანთ ცხოვრება, ისტორიანი ძველი, ახალი,
„ყურანი“-ს ცოდნით მოლას სჭარბობდა,
კითხვები ჰქონდა თავში სახალი

* გიორგი ბატონიშვილის (დაიბადა 10. XI. 1746 წ) დედა იყო იმერეთის თავად ზაალ აბაშიძის ასული ანა. გიორგის გარდა ანას ეყოლა თამარი. ანა დედოფალი 1749 წ. გარდაიცვალა. ამის შემდეგ ერეკლემ შეირთო დარეჯან დადიანი, რომელთანაც მრავალი შვილი ეყოლა.

** თავადები სვიმონ მაყაშვილი და როინ ბარათაშვილი გიორგის კაცად ჩამოყალიბებაზე აგებდნენ პასუხს და არც უნანიათ თავისი შრომა. გიორგი ბატონიშვილი ძმებშიც გამოირჩეოდა ტანმაღლობით, სპორტული გარეგნობით, ძლიერებით და ა.შ. რომ არა „შეძენილი“ დაავადება, რომლის ინიციატორი შეიძლება ივარაუდო, მაგრამ ვერ დაადგენ, ვინ იცის როგორი მეფე იქნებოდა. უცხო ენებს თეოდორე ეპისკოპოსი ასწავლიდა. მის მასწავლებელთა შორის იყო აგრეთვე დეკანოზი იოანე. (ამის შესახებ ცნობებს იძლევა სულმნათი პლატონ იოსელიანი. იხ. მისი ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ; 1936წ)

სასახლის კარზე ბევრი ვინ იყო ხანების შვილნი, გირეის შვილი
ღვთისმეტყველებას თავად უხსნიდა.
„ბიბლიაც“ ჰქონდა მიწყივ გაშლილი
თოთხმეტი წლისამ სამეფო მოვლო, განჯის, ერევნის სახანოები
ქართლი, კახეთი, თუშეთ, ფშავლები,
დვალეთ-ხევსურთა მაღალი მთები
იმავ წელს მოხდა, თოთხმეტი წლისა,
პაპამ ქართლელთა მეფედ დატოვა
ასეთი იყო თეიმურაზი, ასე იავდრა, ასე ათოვა.
ერეკლე მხოლოდ მეურვე იყო, კახეთის მეფე,
ქართლის მფარველი
გიორგის მამა და მოურავი, ორივ სამეფოს ერთგული მცველი.
თვრამეტი წლისა, მამასთან ერთად, ომში იყო
და მტერს მიჰყიოდა
არა ყოფილა უმისოდ ბრძოლა, ბევრი შეიძლო და ბევრი სცოდა
ოცდა ერთისას შერთეს ქეთევან, ქიზიყთა თავის, პაპუნას ქალი
იყო უტეხი, როგორც ქიზიყი, მტრებზე საომრად ეჭირა თვალი
რა დამავიწყებს, სამასი კაცით, ხუთასი ლეკი დაასამარა
ვისაც დედოფლის ტყვევნა უნდოდა,
დედოფლის ხმალმა ის გაამწარა*

ანტონ ჭყონდიდელი

არ დაგიმალავთ, გიორგის ამბებს,
დედოფლის კარი გვატყობინებდა
მიტომ უკუღმა ვიცოდით ყველა, როგორ იბრძოდა,
ვის სად დანებდა
დარეჯან ჩვენი ახლობელია, მთავარ გრიგორის მამიდა არი
რასაც გვამცნობდა, სანდო გვეგონა, გაუტანელი დაუნდობარი
ხოლო როდესაც რუსთა გენერალს ურჩია მამას წაჩხუბებოდა

* 1778 წ. გიორგის მეუღლე ქეთევან ანდრონიკაშვილი, ქიზიყის მოურავის პაპუნას ასული და რევაზის და (რევაზს შემდეგ, დარეჯან დედოფლის დაჟინებით, ერეკლე მეფემ მოურაობა ჩამოართვა, გერის, გიორგის პოზიციების დასუსტების მიზნით), თბილისში ბრუნდებოდა 300 მცველ-მხლებელით. ღართის კართან მათ 500 ლეკი ჩაუსაფრდა. ქეთევანმა თავად უსარდლა მცველებს და მესამე შეტევის დროს გატეხა ლეკთა წინააღმდეგობა.. მისი გმირობით აღფრთოვანებული თბილისი ზარბაზნების ქუხილით შეხვდა ახალგაზრდა დედოფალს.

ერთხანს ვიფიქრეთ, ეს რა შვილია,
ერეკლეს თავზე ეს რა ხდებოდა
ტოტლებენი რომ გვეწვია ოდიშს, ისეთი მოჰყვა მეფის ამბები
მასთან გიორგის ავი ზრახვები, მისგან რუსების დანაკარგები
ამ ოცი წლის წინ, ასპინძის ომში, თურქებს შეეკრა, მამას უგანა
რუსებმაც მიტომ ისურვეს გაცლა, რომ ვერ გაეგოთ წინა-უკანა
ერთხანს ისიც თქვეს, მღვდლად გაუშვებენ
და შიო-მღვიმეს დაეყუდება
მეფის ტახტს ლევანს დაულოცავენ, სიმშვიდეც ასე დასადგურდება
ბევრიც სხვა იყო, ყველა რად მოვყვე, ერთხანს მეჯერა,
თუმცა ვარ ფრთხილი
ამიტომ როცა აქეთ მაწვიეს, არ მოვდიოდი გულგადაშლილი
მე ხომ ვეჭვობდი, ბეჟან დადიანს,* მთავრის ბიძაშვილს,
არ მეკითხებით?
პირწმინდად სწამდა რასაც ამბობდნენ
და ფეხს ითრევდა თავგამოდებით
აქ გავარკვიეთ მხოლოდ სიმართლე,
თვალში მოგვეცა თითქო სინათლე
ღმერთო ავ კაცი რად გააჩინე, რატომ აღზარდე და რატომ ნათლე

ჭაბუკ ორბელიანი

მე მეფეს ვახლდი ასპინძის ომში, ნათქვამს, გაგონილს ერთად ვიწერდი
რუსთა ღალატი თავად ვიხილე, გიორგის ქცევას ახლოდან ვმზერდი
ტოტლებენმა** რომ დააწყო ჯარი, უკან გაქცევას ეპირებოდა

---

* ბეჟან დადიანი, მთავარ კაცია დადიანის ბიძაშვილი. ანტონ ჭყონდიდელთან ერთად ჩამოსული იყო გიორგის ასულ ნინას ხელის სათხოვრად. ქორწილის საქმე მათ გაარიგეს.

** გენერალი ტოტლებენი, რუსეთის სამხედრო ნაწილის სარდალი. თურქებთან ბრძოლის დაწყების წინ, ქართველებს ზურგი აქცია და საომარ ველს გაეცალა იმ მიზეზით, რომ ქართველობა მცირე ძალებით მაინც დამარცხდებოდა (ეს შეიძლება მის დავალებას და მიზანსაც წარმოადგენდა).. წასვლის წინ მას გიორგი ბატონიშვილი მიეჭრა და გალანძღა, როგორც არა იმდენად ქართველობის მოღალატე, რამდენადაც რუსეთის მთავრობისა და მთელი ერის შემარცხვენელი. ერეკლე II ერიდებოდა რუსთა წყენას.. გიორგი ბატონიშვილმა კი სიმართლე და რისხვა არ დამალა.. წასვლიდან მეორე დღეს ტოტლებენმა შეიტყო ქართველების ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი და დასავლეთ საქართველოში გადასვლა დააჩქარა, სადაც ასევე „ისახელა“ თავი.

არ იყო ჩვენში გულჩათუთქული, ჯავრით ვისაც არ ეტირებოდა
მეფემ არ ჰკადრა გენერალს ცუდი,
საყვედური არ დასცდა ჭაღარას
მაგრამ იჩქარა, მტერს არ გაეგო და შეტევისთვის უხმო ნაღარას
მხოლოდ გიორგიმ ვერ დაითმინა, ტოტლებენს ჰკადრა საკადრებელი
თან დაამატა, ომს ჩვენ მოვიგებთ, ჩვენი მიწაა მოსაგებელი
შენ ვაჟკაცობას „იმპერატრიცას“, საკუთარ პირით გავაგებინებ
თუ გაპატიებს, მე სად წამიხვალ, პასუხს, მოგძებნი და გაგებინებ
მერე კი თავის ცხრაასი მხედრით, ბრძოლის ველს მისწვდა
და იკისკასა
ვინაც იხილა, კიდეც შეაქო, შური კი ვიცი იტყოდა რასა.

ანტონ ჭყონდიდელი

შენ მართალს ამბობ, ოდიშს გავიგეთ,
მეფის ღალატი რომ არ იკმარა
ბრძოლას შორიდან თვალს ადევნებდა
და მოხუც მამას არ მიეხმარა
ახლა ხომ მიხვდით მე და ბეჟანი, რატომ ვეჭვობდით,
რაზე ვფრთხილობდით
ვის და რა სურდა, ვინ ვის შურობდა, ჯერ არ ვიცოდით,
ანდეზე ვგრძნობდით
აგვიხდა ეჭვი, ამიტომ იყო, სოლომონ გკითხეთ ფარულად რჩევა
ვინ როგორია მთქმელი და მქნელი,
ვის როგორი აქვს აზრი და ჩვევა

სოლომონ ლიონიძე

მე არაფერი მითქვია ნათლად, გამგები ვიცი ისეც გაიგებს
სულელს შეაცდენს ღიად ნათქვამიც,
ბრძენი ნიშანსაც შარად დაიგებს

ანტონ ჭყონდიდელი

მე კარგად მივხვდი იმ მინიშნებას, რამაც ჩვენ რძალად აქცია ნინა
ამიტომ იყო, ერეკლე მეფეს, როცა წავრსდექი დედოფლის წინა
ვუთხარ, გიორგი, დადიანს სწუნობს, შვილი საჩვენოდ არ ემეტება
მეფის მემკვიდრის ასული არი, დადიანობით რა ემატება
ვიცოდი ფიცხი ბუნებისაა, მეფის მეუღლე და დედოფალი

დარეჯანს ვიცნობ, აქა ბერდება
და მაინც ჩვენსკენ უჭირავს თვალი
როგორც გაიგო, გიორგი გვწუნობს,
მეფეთ სასიძოდ გრიგორს არა ცნობს
სახით არ იცის, სიტყვა-პასუხით, რას წარმოადგენს,
ვერაფერსა გრძნობს
აფეთქდა ქალი, ატეხა ქარი, მილეწ-მოლეწა შვილი და ქმარი
გიორგის უფრო არ დაინდობდა, გერი ათასჯერ გახდა ნახმარი,
ერეკლე მეფემ ჯერ კი იყუჩა, მერე გვაღირსა მეფური სიტყვა
მე თანახმა ვარ, ერთი პირობით, თუ დაივიწყებთ,
რაც კი აქ ითქვა.
ასე გადაწყდა ქორწილის საქმე.
დღეს ჯვარისწერას ვინც ესწრებოდა
გრიგორს და ნინას ვინცა ლოცავდა,
რა მოხდა განა ყველა ხვდებოდა
ამიტომ ვლოცავ, ღმერთმა ინება,
ზუგდიდი თბილისს გვერდში უდგება
საერთო ძალით მოვდრეკთ იმერეთს,
რომელი არი წინ დაგვიდგება

ჭაბუა ორბელიანი

მამაო ანტონ, შენ კარგად იცი, კაცის ფიქრებზე, ღმერთს ეცინება
ბავშვები არ ვართ ოცნებებს ავყვეთ, ამიტომ გეტყვი, ნუ გეწყინება
იმერთ სამეფო წაქცეულია, ეცადა ქართლმა მას ვერ უშველა
შაჰნავაზ მეფე* ზუგდიდს მოვიდა,
დაიმორჩილა ვინც შეხვდა ყველა
დადიანის ტახტს ლევანი დასვა,
თქვენ შამადავლეს ადრე ეტყოდით
ძმისწული თამარ რძლად მოგივლინათ, ისეთი ტურფა,
ყველა ეტრფოდით

* ვახტანგ V (შაჰნავაზად წოდებული) 1658-1675 წწ. მუხრან ბატონების სამეფო დინასტიის დამფუძნებელი იმერეთის სამეფოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო „იძულებული“ გახდა პროცესების დარეგულირების მიზნით, „მიეღო“ იმერეთის თავდების მიწვევა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ოდიშის დამორჩილების შემდეგ აფხაზეთისა და გურიის მთავრებმა მას მორჩილება გამოუცხადეს.

ვერ შეიშნოეთ მეფის წყალობა, ქალის გულისთვის იწყეთ ცალობა
შემირცხვენია ასე მეფობა, ასე ქმარობა ასე რძალობა*
ძე ვახტანგისი მეფედ მიიღეთ, არჩილი,** ნორჩი, გამოუცდელი
ვერ შეიფერეთ, არ უერთგულეთ, არ გამოიღეთ საშველად ხელი
და რა მოიგეთ წყალობის წილად, სხვის ცოლს დასდევთით
ცალკე და წყვილად
საკუთარს სწყენდით ჭირთა თმენისთვის,
სხვისი ნახრავი მიგაჩნდათ ხილად
ჩვენ რა ვიფიქროთ, რაც იყო უწინ, ვიცით რომ აღარ განმეორდება?
რომ ჩავერიოთ თქვენ საქმეებში, რაც გუშინ იყო,
ხვალ არ მოხდება?

* XVII ს. ქართველების დიდი მარცხით აღინიშნა. საქმეს ვერ შველოდა ცალკეულ მამულიშვილთა თავდადება. ერთი მხრივ თურქეთმა და მეორესი-სპარსეთმა იმ-ძლავრეს, საქართველო გაიყვეს და იმპერიებისათვის დამახასიათებელი პოლიტი-კის გატარება დაიწყეს. დასავლეთ საქართველო იმერეთის სამეფოდ და აფხაზეთ, ოდიშის, გურიის სამთავროებად იყო დაყოფილი და შინა არეულობაში ჩათრეული. თურქეთისა და ადიღეველთა დახმარებით შარვაშიძეებმა შეძლეს აფხაზეთის სამ-თავროს გაფართოება და ენგურს უწიეს. სცადეს ენგურის გადალახვა და აფხაზთა დიდი სამეფოს აღდგენა, უშედეგოდ და ფეოდალურ ომებში ჩაებნენ. გურიისა და ოდიშის სამთავროები აფხაზეთს რატომ ჩამორჩებოდნენ და მოჰყვა ამას გაუთავებელი ქიშპი პირველობისათვის. ტრაგედია არა ხდება კომედიის გარეშე. სხვანაირად ვერ დახასიათდება ის, რაც შაჰნავაზის ძმისწულ თამარის მითხოვებას მოჰყვა ლევან III დადიანზე (1661-1680წწ).

** შაჰნავაზის (ვახტანგV) მიერ დასავლეთ საქართველოს შემოერთების ცდა უნიათოდ დამთავრდა. ვახტანგმა იმერეთის სამეფო ტახტი ჩამოართვა ბაგრატ IV, იგი ქართლში წამოიყვანა და მეფედ თავისი ძე არჩილი დაუდგინა. არჩილმა სამ წელს იმეფა (1660-1663წწ.) შემდეგ ტახტი კვლავ ბაგრატმა დაიბრუნა. ლევან დადიანი არჩილს მიემხრო და ბაგრატ მეფეს თავს დაესხა. ბაგრატმა დადიანი დაამარცხა, დაატყვევა, ცოლი თამა-რი (სილამაზით განთქმული) წაართვა და შეირთო. ლევანს სანაცვლოდ ქალიშვილი თინათინი შერთო და როგორც სიძეს დადიანობა დაუბრუნა. გურიელი რატომ უნდა დარჩენილიყო მშვიდად. ლამაზი თამარი მასაც „უყვარდა“. არც დარჩენილა, ბაგრატ მეფემ აქაც „იეშმაკა“. აიღო და გურიელს მეორე ქალიშვილი დარეჯანი მიათხოვა. კომედია „ეძიე ქალი“ (ვითარცა ყველა უბედურების სათავე) ამით არ დამთავრებულა. 1678 წ. იმერეთში კვლავ არჩილი გამეფდა. განდევნილი ბაგრატი სიძეს-გურიელს შე-ეხიზნა. ცოლი თამარი კი მეორე სიძეს – დადიანს დაუბრუნა. რა იცოდა, რომ მეორე წელს მეფობასა და თამარს კვლავ დაიბრუნებდა და ა.შ.

ანტონ ჭყონდიდელი

მწარედ ნათქვამი ორგვარადა ჭრის: ზოგს დააფიქრებს,
სხვას ჭკვაზე აშლის
მოთმინებაა მისი წამალი, დრო დაამშვიდებს, ჭრილობას წაშლის
განა არ ვიცი, ბევრი რამ ვცოდეთ, ხვალ არ შევცდებით?
ნეტა ვიცოდეთ
ცოდვის შვილები ცოდვაშიც ვცოდავთ
და ცოდვის გამო უნდა ვიწოდეთ
ასე ყოფილა მთელი წარსული, არც ქართლელნი ხართ გამორჩეული
ქსნის და არაგვის ერისთავები,* რატომა გყავდათ ომით ძლეული
არ მეორდება განა ეს ცოდვა? ძველნი რომ სძლიეთ, ახალნი დასხით
რადგან თქვენია ბატონის შვილნი, თავზე დაისხით და ქება ასხით**
მაგრამ როდემდე ეს გაგრძელდება, რაც ახალია უკვე ძველდება
ერთს მეორე ცვლის, მოსული მიდის,
ხვალ ვისი არი ქვეყნის ხელდება?

სოლომონ ლიონიძე

თქმა ადვილია, მაგრამ თუ ნათქვამს აუწონავი სიმძიმე ახლავს
მთქმელსა და გამგონს თუ დააჩოქებს, წელებში მოხრის,
თავებით ახალს
მაშინ იქნება დათმენა ჯობდეს, არ დავუკოდოთ ახლობელს გული
როცა ძნელია სიმართლით ჭედვა,
და უფრო რთული ნახო ერთგული

---

* 1739 წ. ქსნის ერისთავმა შანშემ მეზობელი არაგვის საერისთაო დაიკავა. იმავე დროს გივი ამილახვარს დაუპირისპირდა მისი მამულების მისაკუთრების მიზნით. გივი ამილახვარმა ნადირ შაჰს ჯარი გამოსთხოვა და შანშეს იქით შეუტია, გააქცია და ქსნის ერისთაობა (ამილახვრობასთან ერთად) დაისაკუთრა. გაამაყებული გივი ამილახვარი მალე სპარსელებსაც გაუდგა და ჯანყი წამოიწყო. 1742 წ. არაგველებმა ბეჟან ერისთავი მოკლეს. ნადირ შაჰი ქართლის მოთვინიერების მიზნით იძულებული გახდა არაგვისა და ქსნის საერისთაოები თეიმურაზ II დაემტკიცებინა. თეიმურაზი კახეთთან ერთად ქართლსაც უპატრონებდა სიძობის უფლებით. (ვახტანგ VI ქალიშვილი თამარი თეიმურაზის მეუღლე და ერეკლე II დედა გახლდათ).

** ერეკლე II დიდფეოდალები დაკნინა, ქსნის და არაგვის საერისთაოები გაუქმა, მაგრამ დარეჯან დედოფლისა და მრავალი შვილით შეწუხებული მოხუცობაში მოტყდა და სამეფო გამოსაკვებ – სამართავად ვაჟიშვილებს „გაუნაწილა“.

რაც იმერეთში ცოდვა ტრიალებს, აქაც იგივე არ მეორდება?
ამიტომ გვიჯობს იქით საყვედურს, მწარედ დავფიქრდეთ,
აქეთ რა ხდება
მამაო ანტონ სიმართლეს ამბობ, ასევ სიამრთლეს ორბელიანი
ჩვენ ჩვენ მეფეთა ერთგულები ვართ,
ანგელოზები არ ვართ ფრთიანი
კარგად დავიწყეთ, ქართლი-კახეთი ოდიშთან მტკიცედ ვაერთიანეთ
კამათს თუ ავყეთ, ნიშნავს შექმნილი, შექმნამდე უკვე დავაზიანეთ

ჟაბუა ორბელიანი

კარგად გამიგეთ, რაც მოვახსენე, განა იმიტომ რომ მძულს იმერი
ორნივ ერთნი ვართ, მხოლოდ ერთობით,
ძალგვიძს რომ გავხდეთ სვებედნიერი
მიტომ თავში სჯობს ავის განჩხრეკა, ბოლოში წუხილ-დანანებასა
ასე მასწავლეს, ასე მაქვს რწმენა და ვერც შევიცვლი ამ ბუნებასა

ანტონ ჭყონდიდელი

ჭყონდიდელები რაც ვართ ქვეყნისთვის, იცით და რაზე გავიმეორო
არც მე მჩვევია ავს კარგი ვარქვა, სული წავწყმიდო და ავიმძორო
არ გავექცევი უხერხულ კითხვას, არ შევეცდები რამე დავმალო
სჯობს გავარკვიოთ და შევათანხმოთ, და არ გავხადოთ ის სამომავლო
ეს ნათელია, გრიგორ დადიანს ერთობა მართებს მოყვრობის ძალით
თუმცა მამიდა მისი დარეჯან აღარ გვიყურებს მოწყალე თვალით
მაგრამ ხვალე ხომ გიორგის არის,
ტრაქტატის* ნებით ტახტის მემკვიდრე

---

* ასპინძის ბრძოლამ 1770 წ. ერეკლე II და სოლომონ იმერთა მეფეს დაანახა, რომ თურქეთის დამარცხება და დაკარგული სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება შესაძლებელია. რომ არა ტოტლებენის ღალატი, ერეკლე მარტოც მოახერხებდა ახალციხის საფაშოს შემოერთებას. ამან აიძულა სოლომონი ერეკლესთან შეთანხმება დაედო. 1773 წ. ერეკლე და სოლომონი შეთანხმდნენ ახალციხის წინააღმდეგ ლაშქრობაზე. დაიწყეს კიდეც და ართვინამდე მიაღწიეს. აქ სოლომონი ავად გახდა (მიზეზი დასადგენია) და ლაშქრობა შეწყდა. თურქეთმა დააჩქარა საქართველოსთან (ერეკლესთან ცალკე) კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა. 1778 წ. შედგა შეთანხმება. რუსეთის მთავრობამ იგრძნო, რომ ქართლ-კახეთი ხელიდან ეცლებოდა და გეორგიევსკის ტრაქტატის დადება დააჩქარა. ტრაქტატის ძალით რუსეთი აღიარებდა გიორგის მომავალ მეფედ.

ქართლი-კახეთი მისი იქნება და დაგვიფარავს იცოცხლებს ვიდრე
იმას ვამბობდი, აღმოსავლეთით,
თქვენ ხართ იმერთა კარის ჩამკეტი
სამხრეთს ყოველგან თურქეთი ზომავს, თუ მიენდობი,
ყოფილხარ ცეტი
დასავლეთიდან გურიელია სიმონ სვინი და მოუსვენარი
შემდეგ ჩვენა ვართ ოდიშელები
და არც ჩვენა ვართ მშვიდნი და წყნარი
იმერეთს ახლა დავითი მეფობს, ის სოლომონის ბიძის შვილია
ცდილობს თავადთა თავის მოქონვას, ფიცზე ფიცსა სდებს,
გულგაშლილია,
ამ ერთი წლის წინ გრიგოლ დადიანს,
თქვენგანა ჰქონდა კიდეც თანხმობა
შეეძლო თავად ტახტზე დაჯდომა,
განმტკიცდებოდა ჩვენ შორის ძმობა
მაგრამ არჩია გიორგის შვილი, არჩილის შვილით რომ შეეცვალა*
ყმაწვილს მეფობა კიდეც უნდოდა და უჭკუობით გამოეცალა
კვლავ გიორგის ძე დავითი მეფობს, კი არა მეფობს,
მეფეს თამაშობს
მას თუ განვდევნით, ერეკლეს დავსვამთ, ვერთიანდებით,
ამას რაღა სჯობს
და თუ ეს მოხდა, მისი მემკვიდრე გიორგი არი, ის გამეფდება
გრიგორი მისი სიძეა უკვე, ამით ქვეყანა ერთიანდება.

ჟაბუა ორბელიანი

მამაო ანტონ, ყველა კარგია, რაც ოცნებებში მონაქარგია
მაგრამ ხომ არ სჯობს ჯერ მას მიხედოთ, რაც ცხოვრებაში დანაკარგია
თორემ გამოდის, აქეთ გვკარნახობ, რა არი ჩვენი საკეთებელი
იქით არ დარდობ რაც დაგიკარგავთ,

* 1784 წ. იანვარში მოხდა ერეკლესა და სოლომონის შერიგება. სოლომონმა ტახტის მემკვიდრედ ძმისშვილი დავით არჩილის ძე გამოაცხადა. დავითი მეორე მხრივ ერეკლეს ბადიში იყო. აპრილში სოლომონი უეცრად გარდაიცვალა და თავადებმა ტახტზე სოლომონის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე აიყვანეს, 1789 წ. გრიგოლ დადიანმა (ერეკლეს დახმარებით) დავით გიორგის ძე განდევნა და დავით არჩილის ძე გაამეფა. 1790 წ. დავით გიორგის ძემ მეფობა დაიბრუნა. დავით არჩილის ძე ერეკლესთან აფარებდა თავს.

რაც არი მართლა სადარდებელი
ამას რომ ვამბობ ნუ გეწყინება, აფსარები* გყავთ შემოსეული
გისახლდებიან, მოიმღერიან მეგრელს და აფხაზს გააძრეს სული

სოლომონ ლიონიძე

როცა ფორმდება ხელშეკრულება, წინასწარ უნდა ყველა ვიცოდეთ
მერე არ მოხდეს, ეს არ მეგონა, ისე არ იყო, ამაში ვცოდეთ
მიტომ ჭაბუას დავეთანხმები, გვაინტერესებს, როგორ, რა ხდება
აფსარები გყავთ შემოსეული, მათგან რამდენი რამე წახდება
შარვაშიძენი დიდია გვარით, დიდი წარსულით და მომავალით
ერთ დროს სამეფოს სამზერზე იდგნენ,
ახლა სამეფოს უტევენ ძალით?
აქედან იქით ისეა შორი, ამბებს ვგებულობთ ჟამითი-ჟამად
როგორი არი იქ ვითარება, გვაინტერესებს, ვკითხულობთ ამად

ანტონ ჭყონდიდელი

თქვენი სურივილი გასაგებია, ბუნებრივია, მისაღებია
გინდათ იცოდეთ რაა სიმძიმე, ასაწევია, წასაღებია
მადლობა უფალს, მისი შეწევნით, ბევრი სიძნელე გადავიტანეთ
მთავარი იყო თურქთა უღელი და გათურქება ვერ ავიტანეთ
ძნელი დრო იყო და ძნელბედობამ ოდიშს თავისი დაასვა დაღი
დაპატარავდა სიკეთის მადლი, ძალა შენდობის და რწმენა საღი
ავაზაკობა და ტყვეთა სყიდვა, შინაომები, არეულობა
გაუტანლობა, რწმენის დაკარგვა, გახდა ცხოვრების მოცემულობა
ეგროსის მხარეს ეგრისელები, მეგრელს გვეტყვიან,
გვეტყოდნენ ლაზებს
ნაწილს აფხაზებს, დანარჩენს სვანებს,
მადლიან მიწის შვილებს ლამაზებს
იყო დრო როცა ერთნი ვიყავით, ერთად ვშრომობდით,
ერთად ვომობდით
ამერ-იმერი დაგვტრიალებდა,

* აფსარები – ადიღეური წარმომავლობის ტომები, რომლებმაც XVIIს. მეორე ნახევრიდან დაიკავეს კავკასიონის ჩრდილოეთი აფხაზეთი და ბოლოს მდ. ენგურს უწიეს.

ძლიერთა გვერდით თავს ლაღად ვგრძნობდით
ბედიც გვწყალობდა, არ შეგვხებია მონღოლები
და კოჭლი თემური*
ჩვენთან ხმლის ქნევა მეომრის იყო და პურის ცხობა იყო მეპურის
ეს არა ნიშნავს მოძმეთ ვუგანეთ და მათ ბედს ჩვენ არ ვიზიარებდით
სხვას არ მოვყვები, ცოტნე დადიანს,
პირველად თქვენვე აღიარებდით
ჩვენი სამშობლოც ბევრს მიითვლიდა
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
შემდეგ დავცილდით ბრწყინვალეს** აქეთ, ვშურობთ,
ვიძახით რად უნდა მწამდე
სხვებმაც რა ნახეს ჩვენი დედლობა,
შემოგვისიეს მიჯრით მხედრობა
მრავალი კუთხე ჩამოგვათალეს
და ჩვენი სისხლით დაეწყოთ თრობა
იმერთა მეფეს ჩვენ ჩამოვცილდით,
და ჩამოგვცილდა ჩვენ აფხაზეთი
ნიკოფსიიდან გაგრის ციხემდე, აფსარი ჩაჯდა წვეთი და წვეთი

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲚᲘᲝᲜᲘᲫᲔ

მამაო ანტონ, სიბრძნის მეტყველთა,
თუ ოდნავ მაინც მოაპყრობ სმენას
ზოგს გაიგონებ იმისთანა აზრს, რომლის გამოთქმა არა სურს ენას
მომისმენია, ერი ბავშვივით დაიბადება, ზრდას დაასრულებს
მერე ბერდება, დაბერებული,
ცრემლით მოიწმენდს დაფარულ წყლულებს
ეგროსელები ხომ არ დაბერდით, უფლის ნუგეში თუ წაგრთმევიათ
ათასი წელი ხმალს მიიქნევდით, ახლა დიაცთა კრებული გქვიათ?
ძველზე არ ვიტყვი და უფრო ძველზე,
გუბაზს*** დაცემულს საომარ ველზე

---

* კოჭლი თემური – თემურლენგი

** ბრწყინვალე – გიორგი V – საქართველოს კვლავ გამაერთიანებელი მეფე

*** გუბაზ ლაზთა მეფე – VI ს. გამოჩენილი პიროვნება. თანაბრად ეწინააღმდეგებოდა სპარსეთისა და ბიზანტიის (აღმოსავლეთ რომის) იმპერიის დამპყრობლებს. 554 წ. მოკლული იქნა ღალატით „მოკვავშირე“ სარდლების მიერ.

როცა იბრძოდა იქით და აქეთ, მჭრელი არ ეკრა ხანჯალი წელზე?
გნებავს ლეონი პატრიკიოსი*, როცა არაბებს ერეკებოდა
არჩილთან** ერთად მტერს მიჰყიოდა, უტევდა განა ერიდებოდა
რომელი ერთი კიდევ მოვთვალო, სხვებს დავაშორო,
ცალკე მოვთალო
ვერ დავინახო ქვეყნის ერთგული, მაშინ დამევსე სამზეო თვალო
გინდა ვახსენოთ ლევანი დიდი***, რომელმაც ბრძოლით ზიდა საზიდი
არ დააჩნია ცხოვრებას კვალი, ჯავრი წაიღო გულს დანაკიდი?
ასე, რომ გვახსოვს რაც ადრე იყო, აფხაზ-მეგრელად მხარე დაიყო
და როგორ გინდა ერთს რომ იგონებ, მახსოვრობიდან სხვა გამორიყო

ანტონ ჟყონდიდელი

აქ შენ ახსენე ლევანი დიდი. დიდი რომ იყო, იყო სარიდი
აფხაზებს ძმობდა, სახელი ჰქონდა, მოყვრობას იყო გამონაკიდი
სორეხ აფხაზთა მთავრის**** ასული, ცოლადა ჰყავდა,
კიდეც ეტრფოდა

---

* ლეონ პატრიკიოსი – VIII ს. გამოჩენილი მოღვაწე. მდ. კელასურის ჩრდილოეთ აფხაზეთის გამაერთიანებელი. ქართლის ერისმთავარ სტეფანოზის მემკვიდრე მეფე მირის სიძე, მირის ძმა არჩილ დიდის მოკავშირე. მათთან ერთად ანაკოფიის (ახალი ათონის) ციხესთან 735 წ. დაამარცხა არაბთა ლაშქარი, მურვან ყრუს სარდლობით რომ ცდილობდა მთელი საქართველოს დახარკვას. მოკავშირეებმა დასავლეთ საქართველო არაბებისაგან გაწმინდეს. ლეონი იყო ლაზთა სამეფო დინასტიის (გუბაზის) ჩამომავალი, აფხაზთა სამთავროს ფუძემდებელი.

** არჩილ II – VIII ს. ქართველი გამორჩეული მეფე. მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა მთელ საქართველოზე თბლისის საემიროს გამოკლებით. ლეონ I მისდამი დაქვემდებარებული მთავარი იყო.

*** ლევან II დიდი – XVII ს. გამოჩენილი მთავარი ოდიშისა. მან მოახერხა და თავისი გავლენა უკვე დამოუკიდებელი აფხაზეთის სამთავროზე გაავრცელა. საპასუხოდ აფხაზთა მთავრებმა აფსარები (ადიღეველები) მოიწვიეს და იქით შეუტიეს ოდიშს. მთავარი ლევანი იძულებული იყო კორახის (კელასურის) ცნობილი 60 კმ. სიგრძის კედელი განეახლებინა.

**** ლევან II დადიანმა (1611-1657 წწ) შეძლო და აფხაზეთზე გავლენა გაავრცელა. აფხაზეთის მთავრის ასული ჰყავდა ცოლად და მისი ინტერესი აფხაზეთისადმი ბუნებრივი იყო. მით უფრო, რომ ქათიბ ჩელების (თურქი მოგზაური) ცნობით XVIII ს. 40-იანი წლებში სოხუმი ლაზების ქალაქი იყო, ხოლო ჩრდილოეთიდან გადმოსულები მთებში სახლდებოდნენ აფხაზებთან.1623 წ. ლევან დადიანმა ცოლი უკან მიუბრუნა მოყვრებს. ამ ნიადაგზე დაიწყო დაუსრულებელი ბრძოლა ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროებს შორის. თუ გავითვალისწინებთ, რომ აფხაზეთის არისტოკრატიამ იმავე პერიოდში მუსულმანობა მიიღო, ბრძოლას უკვე რელიგიური ხასიათი მიეცა. შარვაშიძეებმა დახმარება თურქებს სთხოვეს. მათ 1634 წ. საერთო ძალით მოაოხრეს კოდორის მხარე, დრანდის მონასტერი და სამხრეთს შეუტიეს. ჯიქებია შარვაშიძემ კოდორსა და ღალიძგას შორის ჩაასახლა აფრასები. მურზაყან ყვაპუს ძე შარვაშიძემ ენგურამდე მოინდომა აფსართა ჩასახლება. (მისი სახელის მიხედვით ეწოდა ამ მხარეს სამურზაყანო).

ქართველები (მეგრელები, აფხაზები) ჩამოსახლებულ ადიღეველებს აფსარებს ეძახდნენ, რუსები – აბაზინს. ბოლოს ქართველების გავლენით XIXს. მათ აფხაზები ეწოდათ.

მაგრამ არ იყო ბოლომდე წრფელი,
ცოლსაც ეჭვნარევს ხშირად ეტყოდა
ბოლოს გაუშვა მშობელთან ქალი, რა იყო, ვინ თქვას, ამის მიზეზი
ამან დაუდო მტრობას სათავე, გახდა სერთო სახლის ჩამრეზი
სორეხმა უხმო დამხმარედ თურქებს, კოდორის მხარე მოარბევინა
აქეთ ლევანი, იქით სორეხი, ტყუან-მართაი განსაჯოს ვინა?
თურქი დაეცა დრანდის მონასტერს,
უფლის მლოცველებს სისხლი ადინა
ძარცვა და დაწვა ქვეყნის დიდება, იმან მოიგო, ვინაც აგინა
ეს არ იკმარა გამწარებუმა, ყვაპუს შეეკრა და გაძლიერდა
ერთად აფსარნი გადმოიყვანეს, სორეხი ფიქრით ზეცაში ფრენდა
შეერთებული ძალებით სურდა, პირველ ენგური გადმოელახა
როგორც ლეონმა ათასი წლის წინ, ლიხი დაეპყრა და დაელახა
აფხაზთ სამეფო კვლავ აღედგინა, მტრებისთვის დედა ეტირებინა
ეგება ტახტიც გადმოეტანა და ქუთაისში დაედო ბინა
კაცის ფიქრებზე ღმერთს ეცინება, ადრეც გითქვია და ვიმეორებ
სიმართლეს ვიტყვი, სიცრუეს გავყვე, თავს გავიფუჭებ,
სულს ავიმძორებ
ხო და სიმართლე იმაში არი, სორეხ და ყვაპუ მიზანს ვერ შეწვდნენ
ენგურს მოადგნენ, ვერ გადმოლახეს, ძალა არ ეყოთ,
ზომაში შეცდნენ
ყვაპუმ ჩამოსხა ენგურთან ოდიშს, ანჩაბაძენი და ემხვარები
მარღანიები, ზვანბაიები... აფხაზებისთვის გასხნა კარები

ჭაბუა ორბელიანი

ეგ მე არ მიკვირს, ასე გვაქვს ჩვევა, ჩვენი ისაა,
ვინც ჩვენთან სახლობს
შვილიც რომ იყოს, უცხოს ვეძახით თუ სხვასთან ცხოვრობს,
შრომობს და მძახლობს
აბა, რამ გაჰყო ქართლი, კახეთი, ერთიც ჩვენია, მეორეც ჩვენი
ორთავს ერთი გვყავს მეფე პატრონი, სახელიანი, გამოსაჩენი
რაც მან შეიძლო, ვინ შეიძლებდა, სამასი ომის არი მომგები
ქართლს დასტრიალებს და ეფერება, თუ ვინმე არი ამის გამგები
ქართლში რომ ჰკითხო, ვინა გყვავთ მეფედ,
„პატარა კახი“ – ასე იტყვიან

რამდენიც უნდა იმეფოს ქართლში, კახთა ბატონი მაინცა ჰქვიან
იმერეთს ახლა ქართველი მეფობს, ქართველს არ ვეტყვით,
ვამბობთ იმერი
აფსარს ჩამოსულს აფხაზი არქვით, რა შეეცვალა ამით იერი?
უცნაურია კაცის ბუნება, მე თუ სასომხეთს ჩავესახლები
ორბელიანი ასე დავრჩები, ამით სომეხი ხომ არ გავხდები?
ერთი დრო იყო, კელასურს იქით ვინცა ცხოვრობდა,
ერქვა აფხაზი
შემდეგ უწოდეთ კოდორის იქით, რა შეიცვალა ქვეყნის ნახაზი?
დღეს ენგურს იქით აფხაზს უწოდებთ აფსარია თუ ოდიშარია
თუ არ ეძახით გადაღმელს ასე, მე მიცრუია, მომიშარია

ანტონ ჭყონდიდელი

რაც მართალს ამბობ, რატომ შეგება,
ტყუილი დაგცდეს სადმე ეგება?
კაცს მიტომ მისცა უფალმა ტვინი, იმას დასჯერდეს რა შეერგება
შარვაშიძენიც ასე არიან, ოდიში ვიდრე უკან იხევდა
უკან მოგვდევდნენ და ითვისებდნენ,
მათი გულის თქმა რასაც იტევდა
ადრე ანაპა და ნიკოფსია ოდიშის იყო და განაგებდა
გალენა ჯიხა* ყველას გვიცავდა,
მტრის მისვლას აქეთ ვინ გაიგებდა
როცა აფხაზთა სამთავრო შექნეს შარვაშიძეთა მეთაურობით
ერთად, ცალ-ცალკე თავს ვიწონებდით აქაურობით, იქაურობით
აფსარს დავუთმეთ სამოთხის მხარე, ამის ხსენებაც კი არი მწარე
ყირიმის თათრებს, თურქებს, აფსარებს ხელგაშლით შევხვდით,
მოდით, იხარეთ
ახლა რა არი, აფხაზეთს, ნახეთ, მტერმა წაიღო, დაპატარავდა
სოჭს ძლივსღა უწევს ძალაუფლება, დაეცა გმირი,
დევგმირს რომ ჰგავდა
ჯიქებს ვუძახდით ადრე იმ ძალებს,
როდესაც ჩაჯდა აფხაზთა ბოლოს

* გალენა ჯიხა — ახლანდელი გელენჯიკი, მეგრულად გარე ციხეს ნიშნავს

ვით გაზაფხულზე, ყვავილთა შორის,
ძირს გაიმაგრებს ჭინჭარი, ღოლო
დღეს ყვავილნარი ჭინჭარს მოუცავს და ღოლო ლაღობს,
როგორც ყვავილი
იქით წაგვართვეს, აქეთკენ ვდაობთ, ვისი ჯიშია, ვისია შვილი
დადიანებმა ბიჭვინთა დათმეს,
თხუთმეტი წლის წინ ილოცეს მხოლოდ
შეწირულობაც ვერ მიგვიცია. ეს არ ჩავთვალო სიკეთის ბოლოდ?
იმედის ნიშნად ის დაგვრჩენია, სამურზაყანო ისევ ჩვენია
თუ სოხუმამდე ბიჯი ვერ დავდგით, ეს რანაირად დასათმენია?
მე ასე ვფიქრობ, დღეის ზეიმი, ხვალის ერთობის საწინდარია
დღეს იმერეთი, ხვალ აფხაზეთი, საითაც გულებს მიუხარია

სოლომონ ლიონიძე

მამაო ანტონ, გული გახსენი, დაუფარავად გვესაუბრები
თვალი თვალის წილ, გული გულის წილ,
ასეთ აზრებთან არ ვართ უბრები
როგორ არა ვთქვა, რად დავითმინო,
სხვის საყვედური რატომ ვისმინო
როგორ დაკარგეთ სამოთხის მხარე, ჯიქნი დაგეცნენ,
როგორც მიმინო
დღეს თქვენ ამ ჯიქებს, ამბობ აფსარებს, კერა დაუთმე,
აფხაზს ეძახი,
ხვალე მამული რომ მიითვისოს, ასეთ პატრონზე იქნება ახი
ის, ვინც გამოჩნდა ათასი წლის წინ,*
აფხაზთა ბოლოს ხიზანად ჩაჯდა
ახლა ბატონად მოგვლინებია, ამის მიღწევა რამდენი დაჯდა?
დღეს რომ გბატონობთ, ხვალე რას გიზავთ,
რა არი თქვენი ხვალის მიზანი

* ჯიქები (ადიღეური წამომავლობის ტომი), შემდეგ პერიოდში რუსების მიერ აბაზინებად წოდებული, ქართველებისათვის აფსარები, IXს: ჩნდებიან ქართულ (აფხაზურ) არეალში. ვახტანგ გორგასლის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობის დროს, დალაშქრული იქნა ჯიქეთიც. ჯიქები იმ დროს ოვსებისა და ხაზარების მეზობლად სახლობდნენ. ამის შემდეგ გადის დიდი ხანი და „შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და „ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“. (ქართლის ცხოვრება, ტ.1. გვ.156-157, თბ. 1955).

სახლში მოვარდნილს, რომ ძმას უძახდეს,
ასეთი ბრძენი სხვა ვერვინ ვცანი*

ანტონ ჭყონდიდელი

რატომ გედაოთ სიმართლის მთქმელებს,
დღეს აფხაზეთი დაკარგულია
ძველი ლაზიკა, ძველი ოდიში, მხოლოდ ფიქრებში შენახულია
მაგრამ იმედი ხომ არა კვდება, ჩვენც ვიყურებით იმდის თვალით
და თუ კეთილი ბოროტსა სჭარბობს, მაშინ,
რაც გუშინ წაგვგლიჯეს ძალით
ხვალ კეთილ ნებით დაგვიბრუნდება.
ხვალის იმედით ქვეყნადა ვბრუნავთ

---

* აფხაზეთის ბოლოში დამკვიდრებული ჯიქები ჯერ აფხაზთა სამეფოს გავლენის სფეროში მოხვდნენ, შემდეგ გაერთიანებული საქართველოსი. თემურლენგის ლაშქრობის შედეგად ჩრდილოეთ კავკასიაში ისინი (და არა მხოლოდ ისინი) მუსულმანობას ეზიარნენ. აფხაზეთის სამთავროს შექმნის შემდეგ(XV-XVIII) ჯიქები მოქირავნეების სახით ღებულობენ მონაწილეობას შარვაშიძე – დადიანის ბრძოლაში პირველობისათვის და ბოლოს მკვიდრდებიან აფხაზეთში. ადიღეველების (აბაზინების, ყოფილი ჯიქების) შესახებ რუსი გამოჩენილი ისტორიკოსი ვ. ტატიშჩევი წერდა:„Абаза, есть народ татарской по Куме в горах до вершин Кубани по властию кабардинских князей“ (с. 422) „იგივე ავტორი ამტკიცებდა: „Паче же мною, часть Мингелии северная, которую турки и Кабардинцы имянуют Авхазос, наши древние именовали Обезы,... Ныне оной большую часть кубанцы наполняют. (В.И. Татищев, Историа Российокая. М-Л, 1962, т.1.стр.171).

ამავე საკითხზე მეორე რუსი ავტორი ამბობდა: „ ...существует предания ...что племя «адыге», как називают сами себя черкесы переселилиь с северных берегов Черного и Азовского мореи и заняло восточный берег, значительную часть обоих склонов Кавазского хребта и Кубанскую ровнину. (Г.Красильников. Кавказ и его обитатели. М, 1919, с.55.)

ცნობილი თავისი აფხაზური „პატრიოტიზმით“ ს. ბასარია თავის რჩეულ ნაწერებში უნებლიეთ აღიარებს (გვ. 94) „Далее, имеются исторические сведения, что нашествие монголов заставило обитавшие в верховьях и по берегам Кубани племена перейти на южную покатость своих гор и что в этот период в Абхазию переселилось много кабардинцев и абадзехов.“ და ა. შ.

ცნობილი მეცნიერის გ. ანჩაბაძის მოწმობით, ქართველები XIX ს.-მდე ჩამოსახლებულ აფსარებს აფხაზებს ეძახდნენ, რუსები კი აბაზინებს. ბოლოს, ქართველების გავლენით, რუსებმაც აფხაზები უწოდეს ჩამოსახლებულებს.

ენგურის აქეთ რა ბედენაა, იქითკენ ვფიქრობთ, ამაზე ვზრუნავთ
სამურზაყანო მაინც ჩვენია, იქ კვლავ შრომობენ ოდიშალები
შემდეგ აფხაზთა მამულებია, რად მივუხუჭოთ ამას თვალები.
ის, ვინც მოვიდა ჩრდილოეთიდან და აფხაზებში ჩამოგვისახლდა
მათ შორის განა ყველა მტერია, რამდენს კაცობის ნამუსი ახლდა
და თუ შევძელით ძველი ერთობით,
რომ გულთან გულმა იმუსაიფოს
ეგება, სადაც ყვავილობს მტრობა,
სიკეთემ ძმობის ყვავილი კრიფოს
მე ასე ვფიქრობ დღეის კავშირი, ხვალინდელ ლხინის საფუძველია
ზუგდიდი თბილისს უკავშირდება, აღდგება ჩვენში,
ის რაც ძველია

ჟაბუა ორბელიანი

ის რაც გითხარით, არა წყენისთვის,
ჩვენც ხომ ჩვენი გვაქვს ძველი დარდები
ძმობის ხელს გვიწვდი, თუ ვერ ვივარგე,
წახვალ და აქეთ დაგედარები
ჩვენი ვალია ერთობით ვჭედოთ,
სამშობლოს ტკივილს წამლად დავედოთ
ჩვენამდე რამდენს უაქიმია, რამდენს მამული ჭრილობად ედოთ
შენ მართალი ხარ, ჩვენ რომ შევერთდით
და ეს ქორწილი დავდეთ სამანად
ორჯერ ჩამოხველ, საქმე გაჩარხე, შენი წუხილი ხომ ღირდა ამად
თუმცა დედოფალს სულ არ უნდოდა, გიორგის ჯიბრზე გვაერთიანა
გერი გერია, ასე იფიქრა, ზიზღს გააყოლა, მოგება თანა
ვიცი რომ ოსეფ ყორღანაშვილი,
დედოფალს გარე ვინც უტრიალებს
ვითომ ერთგულობს, თავად უვიცი,
სიბნელით უვსებს დედოფალს თვალებს
ახლა თუ მიხვდნენ, ტახტის მემკვიდრე,
დადიანს როგორ დაუკავშირდა
ჩვენ შორის რატომ მოხდა ერთობა,
მისვლა და მოსვლა რატომ გახშირდა
არავინ იცის, რას მოიფიქრებს, ერეკლეს როგორ მახეს დაუგებს

ქალი ქალია, ალერსს და წყრომას, როგორ,
რატომ ცვლის ვერვინ გაუგებს
ამიტომ მაინც ასე მოვიქცეთ, ტახტის მემკვიდრე არ გენაღვლებათ
თქვენთვის ერთია, ვინ რას იფიქრებს,
ამით სიკეთე თქვენ არ შეგხვდებათ
ნინა ითხოვეთ დედოფლის გამო,
გსურთ დარეჯანი გყავდეთ მოწყალე
სამეფოს ბედიც არ განაღვლიათ, ვინ გამეფდება დღესვე ან ხვალე
მაგრამ სანამდე ზუგდიდში ჩახვალთ, იმერეთს უნდა გააგებინოთ
ვინც გვიღალატა, გამოარჩიოთ, პასუხი სთხოვოთ და აგებინოთ
ვინც მხარს დაგვიჭერს, ამ დიდ საქმეში,
იგი სამშობლოს ემსახურება
დროა სიტყვიდან საქმეს მივხედოთ,
მორჩეს ფიცილით თავგახურება.

/იმავე წლის ივნისი. დიდი დედოფალი დარეჯანი ეთათბირება ოსეფა ყორღანაშვილს. ოსეფა, დედოფლის ამილახვარი, ერთგული, მოენე, მრჩეველი და აღმასრულებელი. ერეკლე მეფეს დარეჯანის საბრძანებელში ემალება. დარეჯანი უკვე ისეა მომძლავრებული, რომ საკუთარი დასი ჰყავს და ქმარსაც აღარ ეპუება. რაც შეეხება გერს გიორგის, ტახტის მემკვიდრე, თავის მამულშია გამოკეტილი. დარეჯანს უფრთხის და ხედავს რა მამის მდგომარეობას, ზედმეტად არ ხვდება. ნახევარძმები იულონი, ფარნავაზი, ვახტანგი (ალმასხანი) მას შურობენ/

ოსეფა

ჩემო ხელმწიფევ და ქალთ ბატონო, ბევრის მოსურნევ
და ბევრის მქონო
ჩემო მფარველო, როგორ იქნება, რასაც მიბრძანებ, არ გავიგონო
მე არ ვისვენებ, სხვას დავასვენებ? მსახურები მყავს დარიგებული
მომახსენებენ სად და რა ხდება,
ვარ თვითეულთან გარიგებული

დარეჯანი

არ გსაყვედურობ, მაგრამ გაფრთხილებ,
მეფეს მოეპყარ მორიდებულად

თვალში არ მოხვდე, ვიცი გიწყერება
და გათქმევინებს ყველაფერს სრულად
მე ისიც მეყო, შენ რჩევას ავყევ და ვაიძულე მეუფე ჩემი
გრიგორისათვის ნინა მიეცა, რომ გამხდარიყო თვალში საცემი
დადიანებთან ჩვენი ერთობა. და რა მოვიგე მე საბოლოოდ?
ოდიში ჩემ გერს გვერდით უდგება.
მე ხელში შემრჩა წაგება მხოლოდ

ოსეფა

ერეკლე პატრონს ასე ჰგონია, მე ვატრიალებ სასახლის ჭორებს
აღარ იქნება შური და ღვარძლი, მე თუ დამიჭერს და მომაშორებს
მხოლოდ შენ გამო დავალ ცოცხალი, შენ ხარ მფარველი,
განა არ ვიცი
მეც ხომ ერთგულად გიწევ სამსახურს,
როცა გამენდე, მოგეცი ფიცი
არ მეშინოდეს მე ერეკლესი, მაშინ გენახა, ჩემი შეძლება
კატა ხომ მიწყივ იმ ნაჭერს უმზერს,
რომ ენატრება და ვერ შეწვდება
მეც კატასავით გარს ვუტრიალებ, მაგრამ ვერ ვიცი მეფის ფიქრები
არც ვენახვები, არცა ვშორდები, გამოიხედავს და უმალ ვქრები

დარეჯანი

ჩემი მეუღლის მე ვიცი ხერხი, მოხუცდა, მოტყდა და მაინც იბრძვის
ისე ავურევ საქმეს და ყოფას, ვეღარ მიხვდება რა ეკუთვნის, ვის
როცა მოვყავდი, თუმცა ვიცოდი, მოჩიტულ გერებს დამახვედრებდა
არ კი მეგონა, მათი გულისთვის, ამდენ საფიქრალს შემახვედრებდა
რა არ ვეცადე, რომელ დედოფალს ამდენი შვილი გაუჩენია
ასე ვფიქრობდი დამეზრდებიან, მისი სამეფო შემდეგ ჩვენია
რა გამოვიდა, რუსთა „ტრაქტატით“,
გიორგი გახდა ტახტის მემკვიდრე
მეფობა ჩემი აღარ გამოვა, ეგ გაბერილი იცოცხლებს ვიდრე
ამდენსა ვფიქრობ და ვერ გავიგე, რამდენი გითხარ და დაგარიგე
როგორ რა გექნა, როგორ გელონა, როდესაც კახეთს იყო მორიგე*

* მეფე ერეკლემ ლეკების თარეშის აღკვეთის მიზნით „მორიგე ჯარი“ შექმნა. მორიგეობით იქ ბატონიშვილებიც მსახურობდნენ.

ეს როგორ მოხდა, გიორგის ნაცვლად,
სუფრას ემსხვერპლა ჩემი ლევანი
მამის იმედი, დედის იმედი, ქვეყნის იმედი, წიმინდანთა მგვანი
ვიცი არ გსურდა შენ მისი ავი, ამიტომ შეგრჩა მაგ მხრებზე თავი
მაგრამ გიორგი როგორ გადარჩა, მაგანაც ხომ სხვა ღვინო ნაზავი
ოსეფა
მწყალობელი ხარ, სიკეთით სავსე, ეგ სათნოება, იმედით მავსებს
შენს სიტყვას მიტომ დაბლა არ ვუშვებ
და ვერცა ნახავ ერთგულებს მსგავსებს
ამიტომ ვბედავ და შეგახსენებ, როცა ბეჟანი და ჭყონდიდელი
ნინას სათხოვად აქეთ გეწვივნენ, გითხარ არა ხარ გამოუცდელი
და ნუ ენდობი მათ დანაპირებს, გიორგი არ ჩანს წინააღმდეგი
შენ თვალს გიხვევენ, არ დამიჯერე, ხედავ როგორი დადგა შედეგი
შენი ძმისწული ვისა ერთგულობს, რა ურჩევნია,
ვის გვერდში დგომა
გიორგი მისი მოყვარე არი, მომავლის მეფე, სულის აღდგომა

ლარეჭანი

მაცუცურაკეს, რას ვიფიქრებდი, ბეჟანი ჩემიც ბიძაშვილია
ასე მეგონა დადიანია, გვარისთვის ჩემებრ წარბაშლილია
ჩემი მეუფე მე ვაიძულე მაჭანკლებისთვის ეთქვა თანხმობა
კიდეც ვფიქრობდი, გიორგის ჯიბრზე და არცა მსურდა იმისი ხმობა,
ამ ამბავს ვნანობ, ჯავრს თუ არ ვიყრი,
ბოლო წუთამდე ვერ მოვინელებ,
მტერს თურმე მევე ვაძლიერებდი
და ვუგრძელებდი შავ ზღვამდე ხელებს
მისი ზეიმი დროებითია, ბევრი სხვა რამ მაქვს მოფიქრებული
მეფეს და მის შვილს, ზაქიჭამიას*,
ვიცი, რა გზებით მოვუკლა გული

* ცხონებული პლატონ იოსელიანის თქმით, რომელიც თვითმხილველთა ნაამბობს იმეორებს, გიორგი ბატონიშვილი, ძმებში გამორჩეული იყო სიმაღლით, მხარბეჭიანობით, ტანის სიწვრილით, განათლებით, კეთილმოსურნეობით, სიბრძნით. ამიტომ შურობდა მას დედინაცვალი დარეჯან დადიანი. გიორგი ზომიერი იყო ჭამა-სმაში, სანამ არ „შეეყარა“ ავადმყოფობა: ტანთ სქელდებოდა და დუნდებოდა. სავარაუდოა, რომ მსხვერპლი იყო შურისა და ვერაგობისა.

სანდრო პაპა ▬▬▬

დედის ვალია, შვილს უპატრონოს, მისი ფიქრების იყოს თანხლები
სამი წელია რაც ავადმყოფობს,
ადრე „წამლობას“ როგორ უძლებდა
სულ არ მეგონა ლევანის შემდეგ,
ლევანის გვერდით თავს არ დასდებდა
ჩემი ვალია რაღაც ვიღონო, მის „მკურნალობას“ შევუწყო ხელი
არ შეიძლება გერის გულისთვის მიმწარდებოდეს წუთისოფელი

ოსეფა

როცა ბრაზდები, ჩემო ბატონო,
შველს გაკიდებულ ფოცხვერსა ჰგავხარ
ან რა გაბრაზებს, ბატონისათვის, „იმპერატრიცა“ ისედაცა ხარ
ოღონდ არ გაწყრე, არ დაემდურო, რა უნდა უთხრა, არ გაგიგონოს
თან ისე ეტყვი, დალაგებულად,
სოლომონ ბრძენის სიტყვა ეგონოს
მე კი თუ მკითხავ, მეფე მობერდა. ვერ თოკავს შვილთა აშლილობასა
ერთს მოუფერებს, მეორესა სწყინს,
მეოთხის სიტყვა ჭკვაზე შლის სხვასა

ლარეჭანი

ყველაფრის თავი გიორგი არი, იმისგან მოდის რაცა მჭირს მწარი
თვითონ ამაყობს, ტოლად არვის გვცნობს,
შვილი ეზრდება უფრო თავქარი
ხომ კარგად გახსოვს შარშან რა გვიყო,
თურქებს მიეჭრა და შეებრძოლა*
ჩემი თანხმობაც კი არ ითხოვა, არ ეტყობოდა რიდი და ძრწოლა
ჯავახეთს გასცდა, ყარსის მიდამო, მილეწ-მოლეწა და დაარბია
ახალციხეში ფაშა გალახა, ჩამოახია ყბა და წარბია
რომ არა ჩემი მკვახე სიტყვები, ერეკლე ხმას არ ამოიღებდა
იქნებ მეფობაც წაერთვა ჩემთვის და მისგან პასუხს ვინ გაიგებდა
ახლა რაღა ვქნა, თავის მამულში, გიორგი არი გამოკეტილი
მისი დავითი, არაფრად მაგდებს, ჩუმად მემუქრის თავაწყვეტილი

* მხედველობაშია დავით გიორგის ძის მიერ, 1789 წ. ჯავახეთ-ყარსის მიდამოების მორბევა. წვრილ-წვრილი ბრძოლებით მან ართვინს უწია, მაგრამ იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო. სამეფოს შიდა მდგომარეობა სამცხე-საათაბაგოს დაბრუნების საქმეს რეალურს არა ხდიდა.

ოსეფა

შენი გერია თუმცა გიორგი და მავალია იმის გაგება
თავის მამულში გამოკეტილსა, რა აქვს მიზანში, რისი აგება
მეც ვუტრიალებ, მოენეს ვგზავნი და თუმცა ბევრი არი ფარული
უფრო ტყვესა ჰგავს, ვიდრე მოჯანყეს, დათვია დიდ ხეს ამოფარული
ლევანის შემდეგ იგრძნო ხიფათი, სასახლეს ახლოს არ ეკარება
შენ რომ გაგირბის, მამასაც უფრთხის,
არ იტყვის რაც მას არ ეკადრება
მისი ასეთი ქცევა კარგია, მტერი გაგირბის შეშინებული
ცუდია მხოლოდ მეორე მხრიდან, რა მიზნით უცემს ავშარი გული
ისიც ცუდია, მის „მკურნალობას“, იოლად ვერვინ გაიმეორებს
ვინც რას გაბედავს, განწირულია, მფარველებს გასცემს,
თავს აიმძორებს
ამიტომ ჩემი იქნება რჩევა, განმარტოების თუ დასდევს ჩვევა
იყოს თავისთვის კარჩაკეტილი, მეფისგან სანამ მიუვა წვევა

დარეჯანი

შენი რჩევაა რისხვა დავიცხრო, ეს ხომ გიორგის გაათამამებს
მოყვარულ შვილიც, თუ ნებას მისცემ,
არად ჩააგდებს მშობლებსა და ძმებს
ეს კი ჩემ შვილებს ძმობას არ უწევს, დედას არ მეტყვის და მერიდება
როცა ერეკლე აღარ იქნება, მერე, მე რა ვთქვა აქ რა მოხდება?
ამიტომ არი რომ საგამგებლოდ, შვილებს მამული გამოვუყავი
ვერ შეეხება იმათ ვერავინ, მე ავარიდო გერისგან ავი
მეფეს არ სურდა ქვეყნის დაყოფა, ამბობდა რომ ძლივს აერთიანა
არაგვისა და ქსნის ერისთავებს მიწა წაართვა, არ დაახანა
ქსნის ერისთავი, როცა დევნიდნენ,
გიორგი ლტოლვილს უთანაგრძნობდა
რომ დარჩებოდათ ჩემ შვილებს ყველა,
ეტყობა გერის გული თუ გრძნობდა
ახლა ალმასხან* არაგვს პატრონობს,
მთიულთა შორის თავს მეფედა ცნობს

* ერეკლეს ძე ვახტანგის ალმასხანს ეძახდნენ. როცა მეფემ ვაჟებს სამეფო საგამგებლოდ გაუნაწილა, მას არაგვის საერისთაო შეხვდა, იქ ჩაიკეტა და ძმების სტუმრობაც არ უნდოდა. მხოლოდ გიორგის (ტახტის მემკვიდრეს) და ანტონ კათალიკოსს ვერ უთხრა უარი. გიორგიმ იმ მხარეში 1786 წ. და 1788 წ. იმოგზაურა.

ძმას არ იკარებს, ფარნავაზს, სტუმრად,
როგორ მიიღებს გამლელს და უცნობს

ოსეფა

სწორედ ამაზე ხალხში ხმა დადის, კახთა ბატონმა რაზე გვაომა ქართლი, კახეთთან ვუერთიანეთ და ვერ დაიცვა წესი და ზომა ბეჟან ერისთავს ჩვენ გავუსწორდით, არაგვის მხარე ვათავისუფლეთ დუშეთს დავეცით, გზები შევკარით,
ანანურს მივსდგით და დავეუფლეთ
როგორც ქიზიყში, ჩვენი თანხმობით, დადგინდა მხარის მოურაობა ახლა რა ხდება, ვერ გავარკვიეთ, წინ ვინ მიგვიძღვის, მისი რაობა ალმასხან რით სჯობს ბეჟან ერისთავს, ზედ მოურავი წამატებული გავთავისუფლდით, ისევ გვაყმევენ, როგორღა ვიყოთ წარმატებული მთიელთა შფოთი გიორგიმ მოსპო, სიტყვით,
წერილით, არა ხმალითა
ბატონს მთიელნი არ იგუებენ,
თუნდ ძველნი სცვალო სულ ახალითა

ლარეჭანი

მეც ხომ მანდა ვარ როცა ვამტკიცებ, გერისგან მოდის შფოთი და ავი ოთხი წლის იყო, როცა მიხილა და არ ყოფილა ჩვენ შორის ზავი თამარი უფრო პატარა იყო, მაგრამ ახლოს არ მეკარებოდა მერე, ჩემები როცა მეყოლნენ, გერები აღარ მენაღვლებოდა და რა ვიცოდი, ერთიც, მეორეც, ჩემ სიყვარულს ვერ დაინახავდნენ გულში რა მედო, ვინ რა იცოდა, ჩემში დედის გულს ვერა ნახავდნენ ოცდაერთისა დავაქორწინეთ, ქიზიყთა თავის პაპუნას ქალზე თოთხმეტის იყო სარძლო ქეთევან,
მაგრამ არც იმას მოუველ თვალზე
მე რაღა მექნა რძლის დიდგულობა,
დედოფალს რატომ უნდა მეთმინა
მის ძმას* წავართვი, მოურაობა, ჩირად ჩავთვალე თუ კი ეწყინა

* ცნობილია, რომ დარეჯან დედოფლის ბეჯითი მოთხოვნით ჩამოართვა ერეკლემ ქიზიყის მოურაობა რევაზ ანდრონიკაშვილს (გიორგი ბატონიშვილის ცოლის ძმას) და გადასცა სხვა ანდრონიკაშვილს ზაქარიას, რომელიც ელენეს მეუღლე იყო. ელენე ერეკლეს დარეჯანისაგან ჰყავდა.

მთავარი იყო, ანდრონიკაშვილს რევაზს წავართვი მოურაობა
გიორგის ძალა ჩამოვაცილე, რომელსაც მისთვის ჰქონდა მზაობა
მაშინ თამარმა* თავი წამოყო, აამაყებდა სარდლის ცოლობა
ორბელიანი დავითის ცოლმა, მე მომინდომა სწორებ-ტოლობა
ერთხანს ვუთმინე და გადავწყვიტე, ვინც მაწყენინა, მას აწყენინე
რა, ვერ მოვგრიხე იფნის წნელივით. და სახლთხუცობა დავაკარგინე
დავითის ნაცვლად მუხრან-ბატონი, სიძე, ერთგული, თანაზიარი
წინ წამოვწიე, თავზე დავასვი,
ამ მხრივაც მოსტყდა გიორგის მხარი.

ოსეფა

შენ სიბრძნეს ვლოცავ, უფალმა ღმერთმა
არ მომიშალოს შენი იმედი
მეფობა მართლაც დაგშვენდებოდა
და თუ მქონია ამ ქვეყნად ბედი
უნდა მოვესწრო იმ დიადს, როცა „იმპერატრიცას“ დაგიძახებენ
შენი ერთგულნი ვართ დარაზმულნი,
ორგულნი იცი ვერას გავნებენ
ჩვენ კარგად ვიცით, ბატონიშვილი გიორგი
თუ კი მოგვიგდებს ხელში
თავებს დაგვაჭრის, მგლების საძიძგნად,
ტანს გადააგდებს თვალუწვდენ ხევში
ერეკლე სანამ არი ცოცხალი, უნდა შეცვალო მეფობის წესი
განა სულ ყველა მისაღებია, რაც წინაპრისგან არი ნათესი

ДАРЕЖАНИ

ჭკვაზე მოდიხარ. თუ გააგრძელებ, თანდათან გონი გაგინათდება

---

* თამარი – ერეკლე მეფის უფროსი ქალიშვილი, ანა აბაშიძის ქალისაგან. იგი გიორგისთან ერთად დარეჯან დადიანმა როგორც დედინაცვალმა „ჩაიბარა“ ორი წლის ასაკისა. ერეკლემ თამარი სარდალ დავით ორბელიანს მიათხოვა. კაცს შემმართებულსა და სახელიანს. რევაზ ანდრონიკაშვილი თუ ცოლის ძმა იყო გიორგი ბატონიშვილისა, დავითი დის ქმარი და ერთგული. შესაბამისობისად დედოფალ დარეჯანისათვის გრკვეული ხიფათის შემცველი ხელისუფლების საკითხებში. ერეკლემ ცოლის „კეთილი რჩევით“ ჩამოართვა „სახლთხუცობა“ დავითს და მეორე სიძეს იოანე მუხრან ბატონს უწყალობა. გადმოცემით, თამარმა მამის ასეთ მოპყრობაზე ინერვიულა და 1786 წ. გარდაიცვალა.

ვინც მეფიცებით, თუ მიერთგულებთ,
ბოლოს საერთო ნატვრა ახდება
არა და იცი ნადირ შაჰისგან ასე გაიყო ქართლი, კახეთი
თეიმურაზი ქართლს დაეუფლა და მიიწონა გრამი და წვეთი
შემდეგ შვილიშვილს გადაუზომა, შვილი დატოვა სამეფოს გარეთ
ჩემ შვილებს უთხრა გერგოთ კახეთი, მიდით, იმეფეთ და გაიხარეთ
ხვალ თუ გიორგი ავიდა ტახტზე, შენ როგორ ფიქრობ,
აქ რა მოხდება
ვინც ჩემი არი მამულს დაკარგავს, მტრების ოცნება ასე ახდება
საერისთაოს იულონი ფლობს, ქსნის, დვალეთამდე მიდამოები
სხვისი გახდება, თუ დავმარცხდები, მერე იძიე გარემოები
სურამის მხარეს ფარნავაზია, ისიც გიორგის მიეკუთვნება
ვაჟებს, ასულებს თუ დავამატებ, ვინ შეაფასოს საერთო ვნება
ოსეფ, გიორგის გადაურჩები? ყველა ერთად ვართ მისთვის ურჩები
ამიტომ უნდა საერთო ძალით გადავუღობოთ სამეფო გზები

ოსეფა

აზრი კარგია, მაგრამ რა გზებით, რაც ადრე ვცადეთ გამოდგა ფუჭი
ჩაკეტილია თავის მამულში, კედლები იცავს, როგორც ნაჭუჭი
ის რომ ქალაქში მიმოდიოდეს, ან სანადირო ჰქონდეს ხალისი
რისი იმედით უნდა ვიბრძოლო, ან და იმედი დამქონდეს ვისი
მე ერთ გზას ვხედავ, თუ გაგვიმართლა, ჩვენი იმედი უმალ ახდება
სხვაფრივ არ ვიცი რა გვეშველება, რაც გვიშოვია, ისიც წახდება

ლარეჭანი

ღმერთმაც რომ სთხოვოს, ეშმაკი კაცი,
საეშმაკო გზას არ გადაუხვევს
სხვისთვის რომ ცდილობს თავგამოდებით,
საკუთარ მიზანს იქვე ჩაუხვევს
არ შეიძლება შენ არ იცოდე, საქმისა რაა გამოსავალი
შენიც შიგაა წაგებ-მოგება, როგორიც გველის ჩვენ მოსავალი
რა მოიფიქრე ჩვენდა საშველად, მითხარი, რაზე მადარდიანებ
თუ არ მიშველის შენი ნათქვამი,
ხომ აღარ მომკლავს და აღარ მავნებს

ᲝᲡᲔᲤᲐ

მეფობის წესი როცა ვახსენე, მეგონა წამსვე მიმიხვდებოდი
შენი აზრები სხვაგანა ჰქროდა და მოლოდინით თურმე ვცდებოდი
მაშ ღიად გეტყვი, ჩვენ ქრისტიანებს,
უცნაური გვაქვს მეფობის წესი
შვილიდან შვილზე უფროსს ეკუთვნის,
რაცაა ქვეყნად მეფის ნათესი
ამას რომ მივყვეთ, რა გამოგვივა, გიორგი არი მეფის შემცვლელი
გიორგის შეცვლის შემდეგ დავითი
და გაგრძელდება წუთი სოფელი
ახლა შევხედოთ სპარსელთა წესებს,
შაჰიდან შაჰი როგორ იცვლება
უფროს ძმას შეცვლის მისი მომდევნო,
სამართლიანად ეს ჩაითვლება
ჩვენც რომ ასეთი წესი მივიღოთ,
ძმას ძმა შეცვლიდეს და არა შვილი
ასე იულონს მოუწევს მალე, ამაში ჩვენი იქნება წვლილი
მაშინ ვიტყოდი, რომ სამართალი ჩვენ სამეფოში დამკვიდრებულა
მაგრამ ერეკლეს ამას ვინ ურჩევს, რომელი არი ჩვენში ცალგულა

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ

რა ჭკვიანი ხარ, უცებ როგორი, მოძებნე საქმის გამოსავალი
მეფიქრებოდა რა რით შევცვალო და ამიხილე ფიქრიანს თვალი
მემკვიდრეობის წესის შეცვლაა ამიერიდან ჩემი მიზანი
რა ადვილია მისი მიღწევა აქამდე როგორ ვერ შევიცანი
იულონ, ვახტანგ და ალექსანდრე, რიგი არასდროს ჩამოთავდება
გერი როდესაც ამას გაიგებს, გაბოროტდება და გაავდება
მისი ლეკვები ფაფარს აშლიან, მაგრამ ვერაფერს გაარიგებენ
ერეკლე პაპას ხმას ვერ გასცემენ, ჩემ ოინებსაც ვერ გაიგებენ
ასე გადაწყდა, ასე სჯობია, „იმპერატრიცა“ თუ არ გავხდები
მეფის ტახტისკენ გეზს შვილებს მივცემ,
გერის ფერებით კი არ წავხდები

ᲝᲡᲔᲤᲐ

ჩემო მფარველო. აზრი თუ მოგწონს,
ახლა გიორგის უნდა მივხედოთ

აქაც შენია გადასაწყვეტი, ჩვენ სხვანაირად როგორ შევბედოთ
რაც ადრე მოხდა, მისი შედეგი, სახეზეა და არი შედეგი
მაგრამ გაუძლო, რაც იმას ნიშნავს, უნდა გადავდგათ ბიჯი მედეგი
შენი ნებართვა არი საჭირო, მოვძებნი ვინაც დაგვეხმარება
გამოვიტყუოთ უნდა ბუდიდან, კარჩაკეტილი და უკარება
საბაბად იქნებ ის გამოდგება, რაც სასახლეში ამჟამად ხდება
იმერლებია მეფესთან სტუმრად,
ეს ცნობა გერის ყურსაც მისწვდება
მეფე რომ ხვდება სტუმრებს, კარგია,
გაბრუნდებიან იმერეთს ვიდრე
კარგი იქნება თბილისს მოვიდეს
და მიესალმოს სტუმრებს მემკვიდრე,
იქნებ სუფრაზეც მიიპატიჟოს, განდეგილობის წესი დალახოს
მეფეს ეახლოს, პასუხი აგოს, არ აწყენინოს და გაელახოს
ამასობაში ჩვენც მოვიფიქრებთ და დავაჩქარებთ „მკურნალობასა“
თორემ ჯანი აქვს დასუსტებული. საქმე სჯობს, ფუჭად გადაგებასა

ლარეჭანი

შენ მართალს ამბობ, ჩემი მეუღლე მემკვიდრის გამო არი მწუხარი
შვილი ძვირფასი თუ ავადმყოფობს, თან გებუტება, როგორი არი
და რომ მოვულბო ღვაწლმოსილს გული,
ტახტის მემკვიდრე ვამხიარულო
აქ მოვიწვიო, სტუმრებს შეხვდება. რა ვქნა,
რომ მოსვლა აქ ვაიძულო?
შიკრიკს გავგზავნი, თან დავაბარებ,
შვილო გიორგი, მოხუცი დედა
გნატრობს და ფიქრობს, უნახაობა, ბოლო ხანებში რად დამებედა
მე თუ მემდური და გამირბიხარ, მამის ჭაღარას ეცი პატივი
მოწყენილია უნახაობით, მოიკითხავდე, სხვას არას ვჩივი
ან უკეთესი ხომ არ იქნება, მამამ თავისთან მოიხმოს შვილი
ვეტყვი ერეკლეს, ტკბილად მიიღოს,
შეხვდეს ალერსით და გულგაშლილი
ოსეფ, შენ იცი ამასობაში, უნდა მოძებნო გამოსავალი
როგორც ვიზრუნებთ, რასაც დავთესავთ,
იქნება გვქონდეს ის მოსავალი

/მეორე დღეს დიდ სამეფო დარბაზში შეკრებილან: ერეკლე II, მეფე ქართლ-კახეთისა; კათალიკოსი ანტონი; სოლომონ ლიონიძე — მეფის მდივანი-მრჩეველი; ჭაბუა ორბელიანი — მდივანბეგი; დავით სარდალი — მეფის სიძე; ზაქარია ანდრონიკაშვილი — ქიზიყის მოურავი და სიძე მეფისა; მუხრან-ბატონი — მეფის სიძე სახლთუხუცესი; ჯარდან ჩოლოყაშვილი; იოსებ ბარათაშვილი (ყველა ქართლ-კახეთის დიდებული). იმერეთის სამეფოს სარდალი; ზურაბ წერეთელი — სახლთუხუცესი; ევთიმი გენათელი და დოსიეთოს ქუთათელი — იმერეთის სამღვდელოების წარმომადგენლები; სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, ქაიხოსრო ჩიჯავაძე და სხვა დიდებულები./

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲛᲔᲤᲔ

წმინდა მამანო, დიდებულებო, ბედუკუღმართი ქვეყნის შვილებო
გულ ანთებულო მამულიშვილნო,
მისთვის საშველად მომართულებო
მეამაყებით, სამშობლოსათვის, თვითეულს თავი გადაგიდიათ«
თავს ქუდი გხურავთ ნამუსიანი, წელზე ხანჯალი კიდევ გკიდიათ
შევყრილვართ რათა ერთობის ძალით, აერთიანოთ ამერ-იმერი
ძლიერი არი თქვენით ქვეყანა, ამაყი არი მშობელი ერი
რა შეგვიძლია, გავსაჯოთ, ვნახოთ,
რა გველოდება და რა დავლახოთ
მიზნისკენ გზები წვრილად დავსახოთ,
მერე შედეგით არ გავილახოთ
დღეს აფხაზეთი დაკარგულია, იმიერ სვანეთს ზღაპრად ვიგონებთ,
დვალეთის მხარე ოსებს უჭირავთ, არ გვეჩვენება და არ ვიგონებთ
წანართა ხევი, მოხევეები, ალთას და ბალთას ვეღარ წვდებიან
ჩემიას ციხე გამხდარა სხვისი, მიხვალ, ოსები წინ დაგხვდებიან
ლეკებს უპყრიათ კახი და ნუხი, ალაზნის პირი და ფიფინეთი
კაკ-ელისენის სასულთნო შექმნეს, წინ მოიწევენ წვეთი და წვეთი
ბორჩალოსა და დებედას მხარეს უცხოტომელნი გვისახლდებიან
თუ შეგვიძლია უნდა მივხედოთ, თითზე კბენანი არ იყოს გვიან

ᲓᲝᲡᲘᲗᲔᲝᲡ ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲘ

დიდი ხარ მეფე და უფრო დიდი სახელი შენი სოფელმა* იცის

* სოფელი — ქვეყნიერების გაგებით

გვეამაყები, გვეიმედები, ამერს და იმერს ჰყავხარ საფიცი
აქ ვინც მოვსულვართ, ვართ იმერლები,
დავტოვეთ ბევრი აზრის თანმხლები
აფხაზ, გურულნი, ოდიშარები, ალესილი აქვთ საომრად ხმლები
ჯერ კიდევ აპრილს, გრიგორ დადიანს, როცა ქორწილი გადაიხადა
სტუმრად ეწვივნენ ყველა კუთხიდან, დალიეს ღვინო,
გატეხეს ქადა
ჩვენ, მე, ევთიმი, ეს გენათელი, სამღვდელოების მამა მთავრები
ანტონს ვეწვიეთ, ჭყონდიდელს, ცალკე,
გამოიხურა საყდრის კარები
და გვითხრა ყველა, გული გაგვიღო, უფლის სახელით გველაპარაკა
რაც აქ გაეგო ქორწილის ჟამად, როგორ და რატომ, ჩაგვირაკრაკა
ბევრი ვიფიქრეთ, და ქაიხოსრო წერეთელს სარდალს,
ჩვენ გავუმხილეთ
წყვილად და კენტად ყველა დავმოძღვრეთ,
როგორც ზმანება რამე ვიხილეთ
ბოლოს შევთანხმდით, როგორც შეთქმულნი, შევჯერდით,
აზრი გავიზიარეთ
სხვა უკეთესი გზა ვერ დავსახეთ, ერთობით ლიხი გადმოვიარეთ
ახლა აქა ვართ, მეფეს ვეახლეთ, რომელიც ყველას გვეამაყება
რაც მას ვუთხარით, თქვენთანაც ვიტყვით,
სამომავლო გზა დაგვესახება
ჩვენი აზრია, თქვენშიაც ვიცი, კაი ხანია, აზრი ტრიალებს
თუ არ შევერთდით იმერ-ამერი, მტერი მტარვალი გაგვატიალებს

ერეკლე მეფე

ერის შვილებო, მომიწვევნიხართ, მათგან, ვინცაა გამორჩეული
ჭკუა გეკითხვით და ხმალი გიჭრით,
ბევრჯერ გყავთ მტერი ომში ძლეული
ეს საომარი უფრო ძნელია, უფრო მეტს ითხოვს მოთმინებასა
დღეში დაანგრევ იმ ციხის კედელს, წლები რომ უნდა აშენებასა
რის აშენებას, ჩვენ ვეპირებით, ყველა კედელზე უფრო ძნელია
ასე მოვდივართ დასაბამიდან და საბრძოლველი არ დაგველია
მე კარგად ვიცი ამერთა აზრი, იმერთ ნათქვამიც კარგად გავიგე
არ მომეკარა თვალებზე რული, ათასი ფიქრის კოშკი ავიგე

ახლა კი ასე მიბრძანებია, გულში აინთეთ სიბრძნის სანთელი
ეჭვიც რომ იყოს გამოამყღავნეთ, რომ ყველაფერი გახდეს ნათელი
მე აქ დავრჩები, არ მიგატოვებთ, მაგრამ ჩათვალეთ,
რომ აქ არა ვარ
თუ საჭიროა ჩემიც გაკენწლეთ, არაფად ვღირვარ, არსადა ვჩანვარ
არ მეწყინება მკვახედ ნათქვამიც,
რაც ხელს შეგვიშლის უნდა მოვთხაროთ
მთავარი არი ქვეყანას ვარგოთ, მისი სიკეთით ერთად ვიხაროთ.

ᲐᲜᲢᲝᲜ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘ

სულიერ ძმას და სისხლით ბიძისშვილს, ვისი მეფობა მეამაყება
ვის ხმალი სჭრიდა და სიბრძნეცა ჭრის,
არა სჭირდება სხვისი თავდება
სად საჭიროა, იქ მეფე არის, მოღალატეთა არი მჟლეტელი
სად საჭიროა, ფილოსოფოსობს, სვათა აზრების არი მჭვრეტელი
მის მეომრობას როგორ შევაქებ, იმან თქვას ვინაც მეომარია
მან შეაფასოს, ვინც მეტი არი, თუ კი ერეკლემ რამე არია
მადლობას ვწირავ, ვლოცავ, როგორც კრავს,
სამშობლოსათვის გამეტებულსა
ბევრი მინახავს, მეფეს ვერ ვხედავ, ერეკლესავით ამაღლებულსა
თქვენ მოისმინეთ, კი არ გაგვირბის, არა ვართ მისგან მიტოვებული
ჩვენთან იქნება და არ იქნება, უფრო თამამად,
რომ გავხსნათ გული

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲚᲘᲝᲜᲘᲫᲔ

თქვენი ნებართვით, ჩუმი დასტურით,
მე წამოვიწყებ და განვიხილოთ
აქ შეკრებილთა მისწრაფებაა იმერ-ამერი ერთად ვიხილოთ
ამას ჩვენ ვამბობთ, მაგრამ არ ვიცით, როგორი არი სხვათა აზრები
შარვაშიძეთა, გურიელების, იმათ მაგიერ მე ვერ დავშვრები
ან თუ ვიხილავთ მხოლოდ იმერეთს, სამთავროები ცალკე იქნება
უნდა ვიცოდეთ მათი სურვილი, ჩვენსა აზრებში გარდაიქმნება?

ᲥᲐᲘᲡᲝᲡᲠᲝ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

იმერეთიდან ვინაც მოვედით, და აქ სასურველ პასუხს მოველით
ზოგი რამ ვიცით სამთავროების, იმერეთისა ვიცით ყოველი

მე როგორც ვიცი ყველას აზრია, ყოველი კუთხე ვაერთიანოთ
თუ ვერ შევწვდებით, ვეცადოთ მაინც, რაც იყო ძველად,
რომ დასვამგვანოთ
თვითეულ ჩვენგანს სამშობლოს მიწა,
ჯვარივით ჯვართან ერთად ჰკიდია
ვერ იტყვი, რომელს მეტად ვლოცულობთ,
რომელი რომელს განაკიდია
ამ სიყვარულმა ბევრი შეგვძინა და უფრო მეტად დაგვაზიანა
ჩემი ჩემია და მეტად მიღირს, ცივი მდინარე თუ მწვანე ყანა
ჩემი ქოხიდან იწყება ჩემი და მთელ იმერეთს თვალი გასწვდება
ასე გამზარდეს, ასე მასწავლეს, ასე ვიცხოვრე, ასე გრძელდება
მე, იმერელი, რომ ასე ვამბობ,
ნაკლებს რად იტყვის ვითომ კახელი
გურულს გურია, სვანებს სვანეთი, დაყოფილია ქვეყანა მთელი
ანტონ ჭყონდიდელს უთქვია მართლად,
თუ კუთხურობას არ შევეშვებით
ნაწილ-ნაწილად ქვეყანას ვკარგავთ
და ვერც კუთხეში ვიქნებით შვებით

სეხნია წულუკიძე

რაც ითქვა, არის ყველას ნათქვამი,
ყველა ყველაფერს დავეთანხმებით
ლიხის იქიდან ვინაც მოვედით,
შეწყობილი ვართ აზრით და ხმებით
მაგრამ ის კითხვა რაც აქ გაისმა, მე ასე მესმა, ასე გავიგე:
იმერეთი რომ ერთიანია, სამთავროების არი გამრიგე?
რასა ფიქრობენ აფხაზთა მხარეს, გურიის მხარეს, ოდიშარები
იმათ მაგიერ რომ რამე ითქვას, ჩვენ არ მოგვიდონ მერე შარები
ხმები ამ მხრივაც გვაქვს შეწყობილი,
ყველა სამთავროს აზრები ვიცით
სანამ აქეთკენ წამოვიდოდით, იქით ვიარე, შევეკარ ფიცით
აფხაზეთს ვიცი ავი ჟამია,. აფსარები ყავთ შემოსეული
აფხაზთა ძარცვა, მოკვლა, ტყვეობა, მათი ხელობა არი ჩვეული
იყო დრო როცა შარვაშიძენი სამთავროს ქმნიდნენ,
სჭიროდათ შველა

ანაპის მხრიდან, სოჭის მხარემდე, მოსულს დაუთმეს მხარე იმხელა
დღეს მათი ძალა სოჭამდე აღწევს, არავინ იცის, რა მოაქვს ხვალეს
იმდენი არი აფხაზთ წაგება, რამდენიც მეტი მოგება თვალეს
მე თავად გახლდით ლიხნში* სტუმარი,
ბიჭვინთას ჩაველ მოსალოცადა
მეგრელებს იქით აღარ უშვებენ, შავ დღეში ჰყრიან,
თუ ვინმემ სცადა
მონასტერს მიველ, ჯერ კიდევ არის საეკლესიო ლოცვა-ცხოვრება
შეწირულობა მათ აღარ მისდით, წყაროს თუ დაწრეტ,
არხი გაშრება
მთავართა გვარიც დაყოფილია მუსულ მანები, ქრისტი ანები
მრავლად არიან ღმერთის მგმობელნი გვარიანები და უგვანები
ერთი დრო იყო, ენგურს უწიეს, მაგრამ ახლა კი უკან იხევენ
სამურზაყანო მეგრელებს დარჩათ,
გლოვით ჩასაცმელს რად დაიხევენ
აფხაზეთიდან ზუგდიდს დავბრუნდი,
იქაც ჭრელია მთავართა გუნდი
გრიგორის შიშით ორგულებს ადევთ ენაზე კლიტე,
ხელებზე ხუნდი
ამიტომ ვამბობ, სანამ მთავარი არი მეფის და ჩვენი ერთგული
უნდა მივხედოთ და ვაძლიეროთ,
რომ მის მოქიშპეთ გაუსკდეთ გული
ბოლო ესაა, ჯერ და ჯერობით, შარვაშიძენი, დადიანები
ჩვენ მხარს გვიჭერენ და გვაჩქარებენ, არ იყოს მერე ნაგვიანები

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

მეც მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა, გურიელების ხომ ვარ მოყვარე
რამდენჯერ სვიმონ გურიელს შევხვდი,
რამდენჯერ სიტყვით შვება მოვგვარე
სამთავროთაგან თუ ვინმე არი მუდმივ მოჯანყე თავაწყვეტილი
გურულებია ბრძოლით ნაშობნი,
ბრძოლით მცხოვრებნი და გაწყვეტილი
მთები, ტყეები თვალ უწვდენელი, გამხდარა მათი ბინა-საფარი

* ლიხნი — სოფელი გუდაუთის რაიონში. შუა საუკუნეებში შარვაშიძეთა რეზიდენ-ცია და აფხაზური კულტურული ცხოვრების ცენტრი.

სხვამ რომ ეძიოს გლეხს ვერ მიაგნებს, ეს მათ იციან,
ვინ და სად არი
ერთი სული აქვთ, ერთობის მიზნით, დარაზმონ, შარას გამოუყენონ
აშკარა მტერი, ქურდი, ბაცაცა რომ ჩაკლან, თვალი რომ დაუყენონ
ანტონ ჭყონდიდელს, სულიერ მამას,
კაცს ერთობისთვის გადადებულსა
ჩუმად ვესტუმრე, ყველა ამიხსნა, რა გაამთელებს გატეხილ გულსა
რიონს გადაველ, ოზურგეთს მიველ, სვიმონს ვუამბე რაიც ვიცოდი
სისხლის ყივილი რას მავალებდა, რისთვის ვბრუნდავდი,
რაზე ვიწოდი
ასე შევთანხმდით, რომ არ გაუგოს მტერმა, ექნება ჩუმი მზადება
ჩვენც არ გავწელოთ, არ დავაყოვნოთ,
ხელშეკრულების ღიად დადება
რომ გურულებმა გაითავისონ, რაა საერთო ბრძოლის მიზანი
მეც დავეთანხმე, რადგან სვიმონის,
ამ მოთხოვნაში სიმართლე ვცანი
ახლა აქა ვარ და ჩემთან ერთად, სვიმონი თქვენგან პასუხს მოელის
წყლისგან წაღებულს სიტყვა ვერ იხსნის,
საჭირო არი განძრევა ხელის

სოლომონ ლიონიძე

ასე გამოდით, რომ თქვენთან ერთად,
ერთობას ითხოვს სამივ სამთავრო
მეფეს მივმართავ, სხვა რაღა გინდა,
ერთობის საქმე რომ დაამთავრო
არ ახალია ამის მცდელობა, ჯერ კიდევ როდის ვახტანგმა სცადა*
მტრებმაც ივარგეს, არ დააცადეს, დრომ დროის საქმე გადაავადა
ახლა ახალი ვითარებაა, ჩვენც ახლებური გვმართებს ქმედება

* ვახტანგ V (შაჰნავაზად წოდებული) 1658-1675წწ. როდესაც იმერეთის მეფე ბაგრატ ალექსანდრეს ძე. ალექსანდრეს ქვრივმა დარეჯანმა ტახტიდან გადააყენა, იმერეთის თავადებმა ვახტანგი მიიწვიეს მეფედ. ვახტანგი გადავიდა დასავლეთში და იმერეთთან ერთად სამეგრელოც დაიკავა. დადიანების ტახტზე ლევან II-ს ძმისწული შამადავლე დაამტკიცა ლევანIII სახელით. ვახტანგს ეახლნენ აფხაზეთისა და გურიის მთავრები და მორჩილება გამოუცხადეს. ვახტანგმა იმერეთის ტახტი თავად კი არ დაიჭირა და ამით სამეფოები აერთიანა, არამედ ტახტზე ძე არჩილი დასვა, რასაც არეულობის გაგრძელება მოჰყვა

რამდენი თვალი გვიყურებს ლხენით,
ხო, რამდენის გულს მტლად დაედება
ამიტომ, ვფიქრობ წვრილად განვჭვრიტოთ,
მაგრამ ტყუილად დრო არ დავკარგოთ
სამშობლოს ბედი უნდა გადაწყდეს,
ვინძლო ქართველად კიდევ ვივარგოთ

იოანე აბიაშვილი

იმერთა საქმე გამოიკითხეთ და რას ფიქრობენ სამივ მთავრები
იქნება თქვენიც გვითხრათ სიმართლე,
პასუხსაც ნუღარ დაგვეზარები
არ დაგვიმალავს, ჩვენშიც არიან ერთიანობის წინააღმდეგი
ჩვენი სამეფოს დაკნინებაა, ჩვენი გათიშვის მწარე შედეგი
სოლომონ მეფემ ბრძოლით აშენა, როგორაც შეძლო ისე ამშვენა
აერთიანა იმერთა მხარე, უკუღმა როგორ მობრუნდეს ენა
რაც მან აშენა, დავითი ანგრევს,
ერთობის გრძნობას გაუჩნდა ბზარი
შარშან ამიტომ განვდევნეთ მეფე,* ერთიანობის დავრეკეთ ზარი
ნაცვლად არჩილის ძე გავამეფეთ, ისიც დავითი, ჯერ უასაკო
იმედი გვქონდა თქვენი შეწევნის, თორემ ბავშვს რაზე ველაპარაკო
შიში გვქონდა და კიდეც გამართლდა,
თუმცა ვუწოდეთ ყრმას სოლომონი
მეფის ტახტი ვერ შეინარჩუნა და ახლა თქვენთან კაჟდება მგონი
ჩვენი აზრია, დაბრუნებული დავითი კვლავაც ჩამოვიშოროთ
ყველა სამეფო ვაერთიანოთ, ცალკ-ცალკე სული რად ავიმძოროთ
ამიტომ აქეთ ერთად ვიარეთ, სხვადასხვა აზრი გავიზიარეთ
თქვენც გაგვიხსენით გულის კარები,
რაზე რას ჰფიქრობთ ჩვენც გვაზიარეთ

* სოლომონ მეფის გარდასცვალების (1784წ) მოულოდნელობით ისარგებლა მისმა ბიძაშვილმა დავით გიორგის ძემ და ტახტი დაიკავა. სხვა პრეტედენტები დროს ელოდნენ. 1789 წ. დავითი ტახტიდან ჩამოაგდეს და სოლომონის ძმისშვილი, დავით არჩილის ძე (11წლის) გაამეფეს სოლომონ II ის სახელით. იგი ამავე დროს ერეკლეს შვილიშვილი იყო. მეორე წელს დავითმა ტახტი დაიბრუნა და სოლომონმა პაპასთან ჰპოვა თავშესაფარი.

ჭაბუა ორბელიანი

ვინ რას ყვებოდა, ვისმინე ყველა, რასა გრძნობს გული,
ვერ იტყვის ენა
ერთობის გრძნობით ყველა აღვსილა, ცხადში ვარ,
განა, სიზმრად მეჩვენა
მომწიფებულა ქვეყნად ის აზრი, რამაც ყველანი გვაერთიანოს
საერთო ძალით დავდგებით ფეხზე, გათიშვამ ვეღარ დაგვაზიანოს
მონღოლმა თესა გათიშვის აზრი, ულუ დავითი, დავით ნარინი*
ჩვენი სიბეცით ჯერ ორად გაგვყვეს,
მათი მიბაძვით ჩვენც გვეღრძო ტვინი
დიდ თავადებმა ცალკე გასწიეს, დუმნის** თავები, ერისთავები
ასე ნელი-ნელ ერთურთს დავცილდით
და ავიტკიეთ ობლად თავები
რამდენმა შემდეგ ბევრი რამ სცადა,
ზოგი ასრულდა კარგად თუ ავად
სანამ ბრწყინვალემ, დაუნდობელმა,
კვლავ არ აქცია სამშობლო ძალად
მას შემდეგ ბევრი ვინმე ეცადა,
მაგრამ ვერ შეძლო ქვეყნის შეკრება
ახლა იმედი კვლავაც მიღვივის,
ვნახოთ რას მოგვცემს ჩვენი ეს კრება
დღეს, მარგალიტი სამშობლოს ბეჭდის,
სამცხე და ტაო დაკარგულია
თურქეთს უჭირავს აჭარის მხარეც, მუსულმანობაც გადარგულია
სულეიმანს რომ ვინმემ უხსენოს, ფაშა ხარ,
მაგრამ ხომ ხარ ჯაყელი
ახალციხეში მტრის ხატად ზიხარ, ასეთ მოკეთის არ ვარ მნახველი
ეგებ იწყინოს და როგორც თურქმა,
აქეთკენ ქართველს შემოგიტიოს
თუ შეეძლება ჩამოგისახლდეს, მიტაცებულში ვერ ჩაეტიოს
შარვაშიძეს რომ ვინმე ეტყოდეს, რომ უცხო ძალას ემსახურება

* მონღოლებმა XIIIს. ერთდროულად მეფედ დაამტკიცეს დავით გიორგის (ლაშა) ძე და რუსუდანის ძე.

** მონღოლებმა საქართველო დუმანებად (რეგიონებად) დაჰყვეს გადასახადების აღების მიზნით.

არვინ იფიქროს, მოინანიებს, მეტის კეთებას დაეშურება
ანჩაბაძენი, ემუხვარები, ინალიშვილი და სხვა გვარები
აფსარობენ და იამაყებენ თუ შემოტეხეს კერის კარები
აქეთ დვალები უკვე ოსობენ და უფრო მეტის დააქვთ სურვილი
დიდი ლიახვი, მცირე ლიახვი, ქსანმაც ვერ მოკლა მათი წყურვილი
თქვენ ნახეთ კახი, ჰერეთი, ნუხი, ლეკისა დააქვთ ყელზე მარწუხი
აისის ფერი, ნაზი და თეთრი, კახელებისთვის გამხდარა რუხი
ხედავთ? როგორი დაგვიდგა ყამი,
იმერს რომ უჭირს, ამერსაც უჭირს
თუ ვერ მოვძებნით საერთო წამალს, გვარიშვილობა წაუღია ჭირს

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ

ასე არის და ისე არ არის, როგორც ჭაბუამ საქმე დახატა
ქვეყნის ტკივილით ცრემლი მომგვარა,
გვარიშვილობაც ზედ დაამატა
თუ ასეთი ვართ წყალწაღებული, ხელი რაზე გვაქვს გამოღებული
აღარ გვქონია ქვეყნის სიმტკიცე,
კარი გვქონია მტრისთვის ღებული
ეს მართალია, ახლა ოსები ზემო ჯავაში გვისახლდებიან
მეფის ნებართვით ხდება ყოველი, ჩამოსულებსაც ხიზნები ჰქვიან
მე მხოლოდ ერთში დაგეთანხმები,
როცა ჰერეთში ჩასხდნენ ლეკები
ჯერ როგორც გზირნი, როგორც მწყემსები
და მოამრავლეს სოფლად ლეკვები
ახლა ვუწოდეთ ჭარ-ბელაქანი, და ავაზაკთა გახდა საბუდე
ასედაც ხდება, სწორე ჯოხს მოჭრი
და როცა გათლი შეგრჩება მრუდე
მეფემ რამდენჯერ მარცხი აწვნია, ლეკთა ბელადნი დაიმორჩილა
ავაზაკობენ, იმალებიან, როგორც პეპელა არის ჩირჩილა
ეს თავხედობაც ჩვენია ბრალი,
ბევრჯერ დავხუჭეთ სამოყვრო თვალი
ქურდ-ბაცაცობა არ შევამჩნიეთ,
ერთი-მეორეს ვუწყეთ თვალთვალი

ზაქარია ანდრონიკაშვილი

დავამტკიცებდი დავითის ნათქვამს, ვინაც მტერია, იგივ მოყვარე
ასეა ოსი, ასეა ლეკი, მეზობელი თუ მხოლოდ მოგვარე
შორს რად წავიდე, თორმეტი წლის წინ,
ბატონიშვილმა* გულით ინდომა
თაფარავანის ტბასთან ჩამოხდა, თევზი მიიღო, იწყო განცხრომა
ახალქალაქის ფაშას გაეგო ერეკლე მეფის შვილის სტუმრობა
სამასი კაცის, მთელ თვეს სტუმრობდა,
ნუ ეგონება ვინმეს ხუმრობა
ახლა როგორ ვთქვათ, ფაშა მტერია,
მაგრამ ხომ გახდა მტერი მოყვარე
რომელი რომელს რითი სჯობია, თუ დამიმტკიცებ, თითი მოვხარე
კიდევ ერთს ვიტყვი და დავამთავრებ,
გრძელი მსჯელობა არა მჩვევია
განჯის ბატონი ჯავათ ხანია,** ჩვენთან მოყვრობას ხომ ნაჩვევია
ბატონიშვილთან თანაშეზრდილი, ხშირად იგონებს და მოიკითხავს
მისი კაცობა და ყურადღება, რას მივაწერო კეთილსა თუ ავს?
თუ ნებას მომცემთ, ერთს დავამატებ,
ჩემთვის დღემდეა ვით გამოცანა
ვინ დააწესა, საიდან მოდის, აქედან იქით ვინ გაატანა
ჩვენთან ხევსურნი ათენგენობას აღნიშნავენ და მუდამ ღრეობენ
ქისტის მხარეში ათენაგს რქმევენ
და უფრო ძვირფასს სხვას არა ცნობენ
ათინაგი და ათენგენობა, ის მუსულმანი, მე ქრისტიანი
ერთობის გარდა თუ რამეს ნიშნავს,
გამიწყრეს ზენა, გამვარდეს ჯანი
მე მხოლოდ ის ვთქვი მტერი-მოყვარე, შესაფასებლად ცვალებადია
მოყვარე ზოგჯერ თითს არ გაანძრევს,
მტერი შეგწირავს რაც აბადია

---

* ბატონიშვილი – გიორგი ერეკლეს ძე 1778 წ. 300 მეომრის თანხლებით თაფარავნის ტბასთან დაბანაკდა. ახალქალაქის ფაშამ რომ გაიგო, ეწვია, იწვია და ერთი თვე უმასპინძლა. სტუმარ – მასპინძლის ეთიკეტი ამას მოითხოვდა.

** ჯავათ-ხანი – განჯის მფლობელ შავერდი – ხანის მემკვიდრე. იგი თბილისში იზრდებოდა გიორგი ბატონიშვილთან ერთად და მეგობრობა სიკვდილამდე გაგრძელდა. მან ერეკლეს გარდაცვალებაც მიუსამძიმრა გიორგის.

ჯარდან ჩოლოყაშვილი

როცა მტრებს აქებთ, განა ცუდია.
ვაჟკაცს ვაჟკაცის შვენის მტერობა
ლაჩარს დიაციც წერას აუგებს, შვილებს ანახოს ბრძოლის სერობა
ქისტის ვინ ნახა ქვეყნად ლაჩრობა, მათი ხელობა არი ლაშქრობა
არა სჩვევიათ მტრების დანდობა, ქალების ხოცვა,
ტყვეთი ვაჭრობა
ამ მხრივ ქისტები ხევსურებს გვანან, ერთიც არაა მათში უგვანო
ჭიდილის გარდა მეგობრობაც აქვთ,
ერთგულება აქვთ კიდე-უგანო
ეგება ერთ დროს ერთად ცხოვრობდნენ
და კერა ჰქონდათ გაუყოფელი
დაშორდნენ, მაგრამ დღეობა დარჩათ, ასე იარეს წუთი-სოფელი
ვინცა ყოფილა ქისტების მხარეს, მთები მაღალი დაულახია
იმას, საბრძოლო კოშკების გვერდით, ეკლესიები დაუნახია
გამიგონია, ერთი დრო იყო, ყოფილან ჩვენებრ ქრისტიანები
ზოგჯერ ძმა ძმასაც მტრობას გაუწევს,
თუმცა რჩებიან ძმისა მგვანები
დღეს ათინაგი ერთი ძმისაა, მეორე ღრეობს ათენგენობას
საუკუნენი გადასძახებენ, ძმობას და ჭიდილს და ჩემ-შენობას

ზაქარია ანდრონიკაშვილი*

სიტყვას შევაწევ ჯარდანის ნათქვამს,
მე ჯავათ-ხანის** კაცობა მხიბლავს
სიტყვა-პასუხი და მასპინძლობა,
ყველას ატყვევებს, ვინაც იხილავს
ქართული იცის კახელზე უკეთ და ისტორიაც არ შეეშლება

---

* ზაქარია ანდრონიკაშვილი — ერეკლესა და დარეჯანის სიძე. დარეჯანის მოთხოვნით ერეკლემ გიორგის ცოლის ძმას რევაზს ჩამოართვა ქიზიყიდ მოურაობა და ზაქარიას უწყალობა.

** სვიმონ ანდრონიკაშვილი — გიორგი ბატონიშვილის ქალიშვილ ბარბარეს ქმარი (1789 წ.) იგი განჯის სახანოში (ერეკლეს ყმადნაფიც ქვეყანაში) ვექილის მოვალეობას ასრულებდა. (ფაქტობრივად იყო მეფის წარმომადგენილი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების მაკონტროლებელი).

უყვარს ქართული ნადიმის წესი, ნადირობისას მათი თანხლება
სვიმონი ყვება, განჯის ვექილი შაჰს ჯავათისთვის შემოუთვლია
რომ ერეკლესთან უშუამდგომლოს.
იცის ქართლისკენ ვისაც უვლია
მასზე ღრმად არვინ იცნობს ქართველებს
და არც არავის დაუჯერებენ
ხო და ჯავათი, სვიმონთან ერთად,
თანამზრახველებს თუკი შეკრებენ
თუ განჯელები, განჯის სახანო, ერეკლე მეფის ხელდებულია
ყმა ბატონს მიწყივ, რომ ერთგულობდეს,
რომ მსახურობდეს ვალდებულია
ჯავათი, როგორც მეფის მსახური, სვიმონთან ერთად თუ გვესტუმრება
გაიცნობთ, თანაც გაგვაგებინებს, რა არი შაჰის წინადადება.
ჭაბუა ორბელიანი
რატომ ველოდოთ ჯავათის მოსვლას,
რატომ ვინატროთ სვიმონ ვექილი
რაც იცი, მოდი გაგვაგებინე, რა არი შაჰის გამოქექილი
გვეცოდინება, მოვემზადებით, ცოდნა ამით სჯობს უცოდინრობას
ტყუილად ხომ არ შემოუყენებს, შაჰი ჯავათის აქეთკენ გზობას

ზაქარია ანდრონიკაშვილი

ვინც იცის, კარგი. ვინაც არ იცის მინდა, რომ კრებას გავაგებინო
ჩავიყოლიო დიდ განსასჯელში, პასუხი ვთხოვო და ვაგებინო
ორიოდ სიტყვით შევახსენებდი: მეფეს ეს კარგად ემახსოვრება
ორმოცდა ათი წლის წინანდელი, როგორი იყო ჩვენი ცხოვრება
ჩვიდმეტის იყო პატარა კახი, როცა ინდოეთს ლაშქარს ვიდოდა
და იმას შემდეგ წელს არ აცდენდა. როცა საომრად არ დადიოდა
ათი წლის შემდეგ ნადირი* მოკლეს და აირია დიდი სპარსეთი
არ იყო ხანი სხვას რომ არ მტრობდა,
სისხლს რომ არ წოვდა წვეთი და წვეთი

* ნადირი – შაჰ თამაზის სარდალი. მან დასუსტებული სპარსეთის სახელმწიფო ფეხზე დააყენა. 1728 წ. ავღანელები დაამარცხა და განდევნა 1732 წ. თამაზი გადააყენა და შაჰი გახდა. 1735 წ. აღმოსავლეთ საქართველო, რომელიც რუსეთის თანხმობით ოსმალეთს ეკუთვნოდა, დაიბრუნა. 1744 წ. მან ქართლი თეიმურაზ II, ხოლო კახეთი ერეკლე II დაუმტკიცა. 1747 წ. ნადირ შაჰი მოკლეს და ქვეყანა აირია.

მაშინ ერეკლემ მოიღო ხელი, სახანოების გახდა დამცველი*
ჯერ სასომხეთი შემოიერთა, ნახიჭევანის სახანო ძველი
ბაბა ხანისგან თხოვნით მიიღო. ნახიჭევნის და ერევნის ხანი
მფარველობაში შემოსულები, ხარკს გვირიცხავენ მთელი ეს ხანი.
იმავ დროს იყო, ყარაბაღელი, თავზე გასული, თამამი, ხელი
განჯას, უტევდა. ნახიჭევანი, როცა იხილა მან დაუცველი
შემოუტია, დაიმორჩილა და ფანა ხანი გახდა ბატონი
აცეტებულმა, კიდეც იფიქრა, ხანები ქვეყნად დარჩნენ მარტონი.
შავერდი ხანმა სთხოვა ერეკლეს, მეფის პატივი დაიმსახურა
ერეკლემ რქები შემოამტვრია, ვინც იხმაურა და გაახურა
ერეკლე მეფეს თავის ბატონად მას შემდეგ სახავს ყველა სახანო
მეფეც მზადაა, თუ გაუჭირდათ, მიეხმაროს და არ დაახანოს
შორს რად წავიდე, თავად შაჰ როჰმა**

ერეკლეს სთხოვა მხარში დადგომა
მეფემ ილაშქრა თავრიზის მხარეს, ხანებს ანანა მტრის მხარეს დგომა
ხოლო აზატ ხანს,*** რომელმაც შეძლო,

ჯარით ერევანს დამუქრებოდა

---

* 1747 წ. ბრძენი მმართველის, ნადირ შაჰის მკვლელობის სემდეგ სპარსეთის იმპერია ქაოსმა მოიცვა. ყოველი ხანი მეორის ხარჯზე გაძლიერბას ლამობდა. შაჰობის პრეტ-ედენტები ერთი-მეორეს დაერივნენ. ქართლ-კახეთის მეფენი, თეიმურაზ II და ერეკლე II სიტუაციის მიხედვით ერეოდნენ ამ შინა ომებში და თან პოპულარობას იხვეჭდნენ. 1749წ. ერევნის ხანმა დახმარება სთხოვა ქართველებს. ერეკლემ დაამარცხა მოძა-ლადე მაჰმად ხანი და ერევნის სახანო (სასომხეთი) ყმადნაფიცის სტატუსით, მოხარკე გახდა. იმავე წელს ქართველებს (იმავე პირობით) ნახიჭევანის მფლობელი ბაბა ხანიც დამორჩილდა. იმავე ხანებში ერეკლეს სხვა სახანოების საქმეში ჩარევამაც მოუწია. ყარაბაღის მფლობელი ბაბა ხანი განჯისა და ნახიჭევანის სახანოებს ავიწროებდა. ნახიჭევანის დაცვა ქართველების ვალდებულება იყო. ამასთან განჯის მფლობელმა შავერდი ხანმაც ითხოვა დახმარება. ერეკლეს სარდლობით ფანა ხანი დამარცხებული იქნა. განჯის ხანმა ცნო თავი მეფის ყმადნაფიცად. სწორედ მაშინ ერთგულების ნიშნად ჯავათი (გიორგი ბატონიშვილის ასაკისა) გამოაგზავნეს თბილისში აღსაზრდელად.

** იმავე ხანებში, 1750წ. სპარსეთის შაჰმა როჰმა, ქართველებს დახმარება სთხოვა. სპარსეთის შინაომში ჩაბმულმა ქართველებმა ერეკლეს სარდლობით თავრიზის მიდამ-ოებს უწიეს. ერეკლეს ავტორიტეტი უკვე ევროპის მასშტაბით ამაღლდა. იქ ბევრი მოელოდა, რომ ერეკლე შაჰის ტახტს დაიკავებდა, რაც არც თუ ისე რთული იყო.

*** განსაკუთრებული სახელი ერეკლე II მოუტანა შაჰობის პრეტედენტ აზატ ხანის დამარცხებამ. აზატ ხანმა ავღანელების დახმარებით სცადა ტახტის დაკავება. 1751 წ. იგი ნახიჭევანისა და ერევნის სახანოებს დაემუქრა. ერეკლემ 4 ათასი მეომარით შეძლო 18 ათასიანი ჯარის დამარცხება და როგორც სახანოებში, ისე მსოფლიოში ავტორიტეტის განმტკიცება.

რომელმაც თავი შაჰადაც იგრძნო,
მაგრამ ვერ მიხვდა გარს რა ხდებოდა
აზატ ხანს, მეფემ მარცხი აწვნია, თავის სახელი ცამდე აწია
ავღანელები ისე გარბოდნენ, მდევარმა ცხენი ვერ დააწია
დღეს შაჰმა იცის, მასთან ხანებმა, მეფის შეძლება და სიძლიერე,
ჯავათ ხანს მიტომ გვიგზავნის თხოვნით,
არაა ჩვენთან ხმლით მოსიმღერე.

ჭაბუა ორბელიანი

ეს ყველაფერი გასაგებია, რაც იყო, არის, ჩვენც ხომ ვიცოდით
მაინც გისმენდით გაფაციცებით,
ცნობის სურვილით კიდეც ვიწოდით
და ვერ გავიგეთ შაჰის განზრახვა, მეფეს რას უთვლის, რაშია საქმე
ან არ დაგეწყო ამბის მოყოლა, ან დაამთავრე სათქმელი აქვე
ამირან გულში თუ კი მღეროდა, მთებს ბანს რაღაზე ედავებოდა
ამბის მომყოლი თუ არა ყვება, მაშინ მოყოლით რაზე ცდებოდა?

ზაქარია ანდრონიკაშვილი

არც არას ვმალავ, მაგრამ სათქმელი ისეთი არი, ხო ვთქვა თუ არა
მას საიდუმლო აღარა ჰქვია თუ იმეორებ, თან წარა-მარა
მაგრამ რადგანაც თხრობა დავიწყე, გეტყვით რა არი დანაბარები
შაჰი სთხოვს მეფეს, წყენა დაიცხროს
და სამეგობრო გახსნას კარები
უხსოვარ დროდან თუ რამ ყოფილა გაუტანლობა,
სისხლით მტერობა
მიხდომ-მოხდომა, ძარცვა და ტყვევნა,
კარის შემტვრევა, შურით მზერობა
წარსულს ჩაბარდეს, თავიდან ვიწყოთ,
ხელის გამართვა და მეგობრობა
რადგან საერთო ყოფილა მტერი, რომელსაც უნდა ჩვენი მიმხრობა
შაჰი იფიცავს და სდებს პირობას, ის გამოიჩენს ნამდვილ გმირობას
სახანოებს ჩვენ შემოგივმტკიცებს,
აღარ იდავებს, მოსპობს ცილობას
ექვსი ათასი მეომრის ხელფასს, ყოველ თვიურად გამოაგზავნის
თანაც ლეკების თარეშს აღკვეთავს, მომცემი არი პირობის თავნის

მხოლოდ ერთს ითხოვს შაჰი სანაცვლოდ, რუსს არ შევეკრათ,
არ შემოუშვათ
ლარსთან ჩავკეტოთ ხეობის კარი,
და მეგობრობას ხელი შევუშვათ
ვფიქრობ განსჯად ღირს ასეთი საქმე, და თუ წინასწარ გვეცოდინება
ავწონ-დავწონოთ წაგებ-მოგება, გვეყოფა აზრი და მოთმინება

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲣᲮᲠᲐᲜ—ᲑᲐᲢᲝᲜᲘ

შაჰის პირობა არაა ცუდი, მაგრამ თვით შაჰი არაა სანდო
როგორი არი მტერს შეურიგდე და საიდუმლო შენი გაანდო?
რუსებისაგან შეწუხებული, რუსეთის შიშით უკან თუ იხევს
ჩვენი შეწევნით თუ გაძლიერდა,
რა ჩვენი ხათრით ხალათს დაიხევს?
არა მგონია სპარსელთა ნდობა, ქვეყნის მომავალს გამოადგება
სუსტს ჩვენი უნდა სახანოები, რას იზამს როცა ფეხზე დადგება?

სოლომონ ლიონიძე

შენი ნათქვამი გამკვირვებია, ამბობ, რომ შაჰის არა გაქვს ნდობა
რუსისგან ნეტა სად გინახია მხარში დადგომა, შენდობ-დანდობა
ახლა კი არა, როდესაც მძლავრობს, დარიალს არი მობჯინებული
როცა უჭირდა და ვჭირდებოდით, მაშინაც დავრჩით მოტყუებული
საერთო წარსულს თუ გადავხედავთ,
რუსის არ მახსოვს რამე სიკეთე
ეგებ შენ იცი, ყველას გვითხარი და ამით გული გამოგვიკეთე
არ ამბობ, რადგან არ გაგონდება, რაც არ ყოფილა, რას გაიხსენებ
საცხვირულს მაინც თუ არ ამოსდებ,
გაჭენებულ ცხენს ვერ დააყენებ
სანაცვლოდ ვიტყვი მე ასეთ ამბავს, ძველ ისტორიას გაგახსნებდით
იყო დრო, როცა ვაუკაც საქმროებს,
თამარ მეფისთვის ყველგან ვეძებდით
ბოლოს შევჩერდით გიორგი რუსზე, გიორგი არა, ერქვა იური
ცვედანი თურმე და გამხედველი, დაუნახავი, ხარბი, ტყიური
როცა მიუხვდნენ არა კაცობას,
სურდათ მშვიდობით მოგვშორებოდა
რა არ იკადრა, არ იყო ბილწი, რაც რუსისაგან არ მოხდებოდა.

ახლა სხვას გეტყვით, ნაზარალი ხანს*
თუ არ გვინახავს, ხომ გაგვიგია
კახეთში ერთ ხანს კიდეც მეფობდა, იქიდან რუსეთს გზა დაუგია
რუსეთში მეფის ცოლს ჰყვარებია,
კიდეც ეყოლათ მისგან მემკვიდრე
ქართველებს კიდეც ემოყვრებოდა,
დიდ სახელმწიფოს შეჰქმნიდა ვიდრე
ალბად გენიშნათ, პეტრეზე ვამბობ,
ტანით და ჭკუით ვინც იყო დიდი
მამას მიჰგავდა, მასავით იყო შარის მოთავე, ხისტი, სარიდი,
მან მოატყუა მეფე ვახტანგი, დესპანის პირით შემოუთვალა:
სპარსეთზე ვაწყობ მე დიდ ლაშქრობას,
შემომიერთდი რაცა გაქვს ძალა
ერთად დავარტყათ, მოძალადეზე თუ გინდა ჯავრი ამოიყარო,
რაც წაუღია საქართველოდან, დააბრუნო და ამით იხარო
შოთას უთქვია, მირონცხებულსა,
გველსაც მოხიბლავს ნათქვამი ტკბილი
ბრძენი ვახტანგიც კი დაატყვევა და ლაშქრობაში დაიდო წვლილი
და რა მივიღეთ სამაგიეროდ, პეტრემ დაგვტოვა, უკან გაბრუნდა
მტერმა დრო ნახა შურსაძიებლად, ის დრო დაუდგა,
რომელიც სურდა
ბოლოს თურქეთმა ჩაგვიგდო ხელში, ისიც რუსეთის დახმარებითა**
როცა ასეთი გვყავს მოკავშირე, მე მეგობრობა შევაქო ვითა?

ჭაბუა ორბელიანი

ჩვენი სათქმელი, ჩემო სოლომონ,
მოკლედა თქვი და სწორად განსაჯე

---

* ნაზარალი ხანი – თეიმურაზ I შვილიშვილი ერეკლე I. იგი ორჯერ იყო რუსეთში წასული. პირველად 1661 წ. დაბრუნდა სამშობლოში. დამკვიდრება ვერ შეძლო და 1666წ. კვლავ რუსეთის გზას დაადგა. მისი კავშირების შესახებ, რუსეთის სამეფო კართან, ბევრი რამაა ცნობილი.

** რუსეთის იმპერატორი პეტრე I შეუთანხმდა ვახტანგ მეფეს სპარსეთის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის საკითხზე, დესპან ვოლინსკის სახით. იგეგმებოდა ლაშქრობა 1721 წ. 1722 წ. ვახტანგმა დაიწყო მოქმედება ლეკების წინააღმდეგ. იმავე ხანებში რუსებმა დარუბანდი დაიკავეს. შაჰ სუთან ჰუსეინს წინააღმდეგობის უნარი არა ჰქონდა (ის ავღანმა მირ ვეისმა 10 000 ცხენოსნით დაამარცხა და ტახტი წაართვა).

რუსების გამო გვემტრო თურქეთი,
რუსთა თანხმობით კიდეც დაგვსაჯეს*
შორს რად წავიდეთ, ორმოცი წლის წინ,
აჯი ჩალაბმა ორჯერა გვძლია**
თეიმურაზი ეხვეწა რუსებს და საჩუქრები უხვად აძლია
დაგვხმარებოდნენ ოღონდაც ერთგზის,
შარვანის ხანის დამარცხებაში
დღესაც არ ვიცი რუსების მეფეს ჩვენი წაგება აწყობდა რაში
უარი გვითხრა დახმარებაზე, არ წაგვეშველა დამაშვრალს გზაზე
ქრისტეს ფიცავენ, ისლამს იცავენ, მათი იმედი მექნება რაზე?
ან და ავიღოთ ასპინძის ომი, რუსთა სიმართლის არი საზომი
ტოტლებენს მაშინ არ ეღალატა,
არ გამხდარიყო სიბილწის მდომი
ჯავახეთ-სამცხეს დავიბრუნებდით,
თურქებს ოლთისის იქითა ვსდევდით
რა იქნებოდა, რას მივაღწევდით, მოსაგონები გაგვიხდა სევდით.
მხოლოდ მას მერე რაც გავიმარჯევეთ,
მერე სოლომონს შევუთანახმდით***
ერთად ვილაშქრეთ, ართვინს ვუწიეთ,
საგრძნობი ძალა ერთობით გავხდით
რუსეთმა იგრძნო, ჩვენ ჩამოვცილდით,
როგორც ნაცნობებს გამოვეთხოვეთ
მათთვის ეს მართლა მარცხსა ნიშნავდა
და გაიხსენეს, რაც ადრე ვთხოვეთ

---

* 1723 წ. პეტრე I ომი შეწყვიტა და უკან გაბრუნდა. გათამამებულმა თურქეთმა მთელი საქართველო დაიკავა. 1724 წ. რუსეთმა ცნო თურქეთის უფლება საქართველოზე, რასაც 1727წ. მეფობის გაუქმება მოჰყვა.

** შაქ-შარვანის ხანი აჯი ჩალაბი ორჯერ შეეჭიდა ქართველებს და დაამარცხა, თეიმურაზ-ერეკლემ დახმარება რუსებს სთხოვეს და უარი მიიღეს. ერეკლემ ჯარი დაიქირავა, გაძლიერდა და აჯი-ჩალაბის ჯარი გაჟლიტა. რუსებმა ვითომ ვერ გაიგეს ეს. იყო 1752წ.

*** 1774 წ. ერეკლე II და სოლომონ იმერთა მეფე შერიგდნენ და თურქეთისათვის სამხრეთ საქართველოს ჩამოცილება დაგეგმეს. ერთი წლის შემდეგ მოქმედება წარმატებით დაიწყო, მაგრამ სოლომონის ავადმყოფობის გამო შეწყდა.

აფორიაქდნენ, აგვიყოლიეს, ტრაქტატი* დადეს და მოგვცეს ფიცი
და რა მოვიგეთ, რა მოჰყვა ტრაქტატს,
ღალატის მეტი, თუ ვინმემ იცის.
გახსენებაც კი არ უნდათ ზოგებს, უნდათ, არ უნდათ, მე გავახსენებ
შარშან წინ იყო და იყო შარშან,
ომს რომ ვიწყებდით რა უყვეს ჩვენებს
ტრაქტატით, რუსი უნდა გვიცავდეს, არ თაღლითობდეს,
ხატზე ფიცავდეს
მაგრამ სადაა რუსების ჯარი,
რომ მათი სიტყვის სიმტკიცის მწამდეს
ასე გამოდის, როცა მათ აწყობთ, ვიქნებით მათი მოკავშირენი
როცა არა და ფეხზე ვკიდივართ, კიდეც გვეტყვიან, შენიო, შენი

სოლომონ ლიონიძე

რატომ წიწმატობ, ნუთუ ვერ ხვდები,
შენ თუ რუსების იმედით რჩები
იმათ საერთოდ არ ანაღვლიხარ, აღარ იქნები, თუ გადარჩები
გეორგიევსკის ტრაქტატი მათთვის ფანდი იყო და ასე დარჩება
სხვა დროს, სხვა ტყუილს ეტყვიან იმას,
შემოსეულ მტრებს ვინც გადარჩება
შარშან დავითმა ბატონის შვილმა ყარსს შეუტია, სად იყო რუსი?
ტრაქტატმა უკვე ძალა დაკარგა და მიხვდებიან თუ აქვთ ნამუსი

ზაქარია ანდრონიკაშვილი

აღარ დამცალდა, ჯავათ ხანს უთქვამს და შიკრიკები იმეორებენ
სპარსეთი ომს თუ გამოგვიცხადებს, რუსები ამას კი არ დაგმობენ
ვითომ ამგვარი არც გაუგიათ და მოლოდინი სულ არ ჰქონიათ
სპარსეთის მხრიდან ჩვენზე მუქარა. ზღაპრადაც კი არ გაუგონიათ
შაჰი არ მალავს, თუ უარს ვეტყვით
და მეგობრობას ვერ შევიფერებთ
მერე ნურავის დავემდურებით, შეგვახსენებენ არ დავიჯერებთ

---

* რუსეთის ხელისუფლებამ, რომ იგრძნო საქართველოს ჩამოცილება, დაუტკბა და 1783 წ. მათ შორის ურთიერთდახმარების ტრაქტატი გაფორმდა. ამის მიუხედავად რუსეთი საქართველოს დახმარებას არა ჩქარობდა, ხოლო 1787-1789წ. თურქეთთან ომის დროს ჯარი საერთოდ გაიყვანა და ხელშეკრულება ჩაიშალა.

რუსეთი სპარსეთს თუ იმედს აძლევს,
რომ ომში ჩვენ არ დაგვეხმარება
მათთან ტრაქტატი რაღაში გვაწყობს,
მათკენ გახედვაც დამეზარება

ᲮᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

რაკი დავიწყეთ გულღიად განსჯა და დაფარული გამოვაჩინეთ ძველი, ახალი, დავიწყებული, რაც შევინახეთ, და დავარჩინეთ მეც გავიხსენებ, ტოტლებენმა ჩვენც,
ენით და ქცევით დაგვაზარალა
შემდეგ ოდიშის მხარეს წავიდა, თავისი ქცევით ხალხი აწვალა ამ მხრივ ერთია ყველგან შედეგი: ვინც უვარგისობს, უვარგისია რა ბედენაა ვისა ღალატობს, ქცევა ბუნების შესატყვისია.

ᲭᲐᲑᲣᲨᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ

მეც ხომ მანდა ვარ, რუსეთისათვის, ორივ ერთია იმერ-ამერი გუნებაში აქვს ჩვენი დაპყრობა, ნაბიჯები აქვს ამის საფერი ქართველებისთვის რა ბედენაა, ვინ შეიქმნება მისი დამპყრობი თავისუფლებას თუ კი დავკარგავთ,
მოწმე გავხდებით ტახტის დამხობის
რაღა რუსი და რაღა სპარსელი, ორივ ერთია, ორივ მტერია უფრო ძნელია, მომხდურთა შორის, თუ ქრისტიანი გამოერია არა და როცა თურქეთს შევთახმდით,
ამ ოთხი წლის წინ, მოგვცეს პირობა:
ვიცით რაც გინდათ, მის მისაღწევად,
არ დაგჭირდებათ ომში გმირობა
ჩვენ ხელს შეგიწყობთ, როგორც გინდოდეთ,
თქვენი სამშობლო აერთიანეთ
არ ჩავერევით თქვენს საქმეებში, ვინც უარს გეტყვით,
მიუხტით, ავნეთ
ლეკებს, რომლებიც ძარცვავენ კახეთს და ახალციხეს ეფარებიან იქიდან ქართლში გადასულები, მორიგ ჯარს, მთებით ეპარებიან ჩვენ მოგაშორებთ თუ შევთანხმდებით,
თუ დამყარდება ჩვენში მშვიდობა
და ამას გარდა ფულს გამოგიყობთ დასადგურდება ერთობა, ძმობა

ყველაფრის ნაცვლად ერთი გვაქვს თხოვნა,
არ გადმოუშვათ რუსეთი აქეთ
ჩვენ თუ დავარღვევთ მოცემულ სიტყვას,
გადმოიყვანეთ, უფერეთ, აქეთ
თქვენ გამადლიან, თუმცა რუსეთი, უთქვენოდ აქეთ« მოემართება
კავკასიონის იქითი მხარე დაპყრობილი აქვს, ვინ ემართლება
აბა დაფიქრდით, რას ნიშნავს „გროზნი“
კავკასიონის იქითა მხარეს
„ვლადიკავკაზი“, ჩვენი სირცხვილი,
ხომ მოიაზრებს ქართველთა არეს
სანამ დრო არი მოდი შევთანხმდეთ
და არ დავკარგოთ ოცნებით გონი
მტერი მტერია, ვითომ მოყვარეს,
ზოგჯერ მტერი სჯობს ასეა მგონი

ქაისოსრო წერეთელი

ჩვენ მოვისმინეთ ბევრის ნათქვამი, ზოგისა ტკბილი, ზოგისა ავი
მეფის მრჩევლები სიბრძნეს აფრქვევდნენ,
თავდახრილები, როგორც თავთავი
ბევრი რამ იყო დასაფიქრები, ხვალე როგორი გავკვალოთ გზები
როგორც გავიგებ სიკეთით ნათქვამს,
იქითკენ წავალ, არ გადვიხრები
ქიზიყელთ თავი რასაც ყვებოდა, კარგად იცოდა, განა ცდებოდა
ალბად ფიქრობდა შაჰის სურვილი, ერთობას ფეხქვეშ გაეგებოდა
მე დამაფიქრეს მისმა სიტყვებმა,
სპარსეთმა ვიცით, დაკარგა ძალა
წარსულს ჩაბარდა შაჰ აბასის დრო, შაჰებს საყრდენი გამოეცალა
კასპიის ზღვაზე ბატონობს რუსი, კავკასიონთან მოსდგა ნაპირებს
სპარსეთი ვერას გაუმკლავდება, მასზე თავდასხმას თუ დააპირებს
მიტომ შაჰი სთხოვს ერეკლე მეფეს, ათას სიკეთეს კიდეც პირდება
ერეკლეს ფასი სპარსეთისათვის, კი არ მცირდება, უფრო იზრდება
დასარწმუნებლად კიდეც გაუთქვამთ,
რუსთა ხელმწიფის გულის ნადები
რუსეთი თქვენ არ დაგეხმარებათ, ამის სარწმუნო არი თავდები
ის, რომ ჯარები გაუყვანია, დასახმარებლად რომელიც ჰყავდა
შაჰს სხვა რა უნდა მეტი საბუთი, თუ ყოყმანობდა, ეჭვი გათავდა

ᲭᲐᲑᲣᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ

რაც იმერისთვის გამხდარა ცხადი, ამერებს კიდევ გვაეჭვიანებს
ვიცით როგორი გვყავს კარზე მტერი,
ვინ, როდის, როგორ, დაგვაზიანებს
ამიტომ ვფრთხილობთ და არა ვჩქარობთ,
უნდა ავწონოთ ყველა შედეგი
გუშინ ვიცოდით დღეს რა იქნება,
გვინდა გავიგოთ ხვალის შემდეგი

ᲥᲐᲘᲮᲝᲡᲠᲝ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

შენი წუხილი გასაგებია, დინჯად ირჯები, არა ხარ ცეტი
საკუთარს ხომ არ მისდევ სიკეთეს, ქვეყნის ბედია გადასაწყვეტი
შე დალოცვილო, აბა იაზრე, მტრები გვყავს ირგვლივ შემოსეული
არავინაა იმედის ნიშნად, მგლების ხროვაში ვრჩებით ეული
ვფიქრობდით რუსი დაგვიფარავდა, ქრისტიანობით გაჩნდა იმედი
ვატყობ სხვებისგან არ განსხვავდება, ასეთი მოგვცა უფალმა ბედი
ამიტომ კარგად ავწონ-დავწონოთ, ფუჭი ოცნებით არ გავისარჯოთ
ისე არ მოხდეს, დაპირებებით ჭაში ჩავვარდეთ და დავისაჯოთ
აგერ სპარსეთს რაც შემოუთვლია,
თურქეთიც თითქმის იმას გვპირდება
ჩვენც გადავწყვიტოთ ვისი რადა ღირს,
რაში გვადგება, რა დაგვიჯდება.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ

აქ საფიქრალი არაფერია, ჩვენ კარგად ვიცით სპარსეთის ძალა
ჩვენი სამეფო გაუმკლავდება, ერთობით ყოფნა თუ დაგვეცალა
ამას დაურთეთ სახანოები, ერევანი და განჯა ჩვენია
მათგან სხვაობით ნახიჭევანი, ვის მიემხრობა, დასადგენია
ეს ჩვენ რომ ვიცით, სპარსეთმაც იცის, ასე იოლად ვერ დაგვესხმება
მაგრამ რუსეთმა თუ მხარი მისცა,
ჩვენ რომ ვიცოდეთ რუსების ნება
ამიტომ გვამრთებს დიდი სიფრთხილე,
რას გადაწყვეტენ უნდა გავიგოთ
სიტყვით მივენდოთ, საქმით ვიეჭვოთ
და უნდობლობის კოშკი ავიგოთ

მე არც ერთს წინ არ დავაყენებდი,
ჩვენთვის არ უცემთ საგულეს გული
არ გვენდობიან, ჩვენც ნუ ვენდობით,
რატომ გავხდებით მათთვის დაგული
ამ შვიდი წლის წინ ტრაქტატი დავდეთ
და მეგობრობა ცხადი გავხადეთ
აბა, სადაა რუსეთის ჯარი, ასეთი დაცვა ჩვენ მტრებსა ყავდეთ

იოანე მუხრან-ბატონი

დავითს არავინ ეპიტნავება, რუსების კილვის რა გვაქვს მიზეზი
თურქეთთან ომობს, ამით ხომ გვიცავს,
ომის გულისთვის შეცვალეს გეზი
ეს არა ნიშნავს, რომ მიგვატოვა, და აძლიერებს სპარსეთის მხარეს
სპარსეთს, ხომ ამბობ, ჩვენც მოვერევით,
ჩვენით დავიცავთ ამ არე-მარეს

დავით სარდალი

მე როცა ვამბობ, განა იმიტომ, სხვა გავაცურო, ვაგულიანო
მტერზე მივუშვა, მე უკან დავდგე, მოყვარე ჩემი დავაზიანო
სპარსეთის ძალა მეც კარგად ვიცი, და მეფისგანაც გამიგონია
მასზე უკეთ თუ სპარსეთის საქმე, ვისმე ესმოდეს, არა მგონია
მხოლოდ ერთია, რუსმა დაგვტოვა, არ უნდა გვქონდეს მისი იმედი
უნდა ვემზადოთ, მუდმივ მზად ვიყოთ
და დაგვიფარავს ჩვენ შემოქმედი
მაგრამ თუ დავრჩით რუსის იმედით,
ჩვენ დავიყავით და დავძაბუნდით
თუ არა ვლესეთ მჭრელი მახვილი,
მომხდურს არ დავხვდით შეკრული გუნდით
მეფის წულები და თავადები, თუ მამულებში გამოიკეტნენ
საერთო ძალით მტერს არ შეებნენ,
ციხე-დარბაზთან მასპინძლად შეხვდნენ
მაშინ ცხადია სპარსეთს კი არა,
ლეკთა გუნდსაც ვერ გავუმკლავდებით
თავს ვერ დავიცავთ დაქსაქსულები,
იმერეთს როგორ გამოვადგებით

ᲥᲐᲘᲮᲝᲡᲠᲝ ᲬᲔᲠᲔᲗᲘᲚᲘ

მომწონს დავითის ღიად ნათქვამი, პირდაპირობა ვაუკაცსა შვენის
არც მე დავდივარ თვალდახუჭული
და არც ვყოფივარ ამყოლი ენის
მაგრამ ბოლო ხანს მეფიქრებოდა, მეფის გარშემო ეს რა ხდებოდა
ქართლის, კახეთის ერთად შემკრები,
ხომ არ მობერდა, ხომ არ ცდებოდა
სამეფო როცა დაუყო შვილებს,
სად თვითეული თავს მეფეთა გრძნობს
გვერდით რომ ძმაა, სისხლი და ხორცი,
ძმად კი არა და, ტოლად არა ცნობს
ასე დაყოფა დროებითია, ასე მგონია და ასე მჯერა
გაჭირვებისას ვიცით ერთობა, ჭირის დათმენა, ბრძოლაში მღერა
ქართლსა და კახეთს თუ იმერეთი თავისი ნებით შეუერთდება
ცალკ-ცალკე თუ მტერს ტოლს არ დავუდებთ,
ერთობით ძალა იქით მიწვდება
ამიტომ უნდა მოვრჩეთ მსჯელობას, სამეფოები ვაერთიანოთ
დრო მოსულია, უნდა ვიჩქაროთ,
რომ დაყოვნებით საქმეს არ ვავნოთ.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲣᲮᲠᲐᲜ—ᲑᲐᲢᲝᲜᲘ

იმერლები რომ საქმეს ჩქარობენ, აჩქარება ხომ სტუმრის წესია
მასპინძელს რა აქვს ასაჩქარები, სიდინჯე მისთვის განაწესია
ჩვენ კარგად ვუწყით მათი ამბავი, სამეფო ათად გაყოფილია
მეფეს მეფე ცვლის, თავადს თავადი, ის ყმაწვილია, ის ყოფილია
ყმაწვილი ჩვენთან შემოხიზნული, ერეკლე მეფის შვილის შვილია
იმერეთს ტახტი რომ დაეკარგა, მასში სტუმრების დიდი წვლილია
ქაიხოსრო ხომ არი სარდალი, რად არ დაიცვა მეფის უფლება
განა ყოველი ივარგებს მეფედ, რომელიც გვირგვინს დაეუფლება?
ახლა ვინც გმეფობთ მოძალადეა და უკანონოდ ტახტის მფლობელი
უნდა შეიძლოთ ერთიანობა და გამოიღოთ საშველად ხელი
ჩვენ კი, ჩვენ ჩვენი გვაქვს საწუხარი,
რით დავეხმაროთ ტახტის მემკვიდრეს
ამერ-იმერი გვერდით დავუდგეთ,
ის სრულწლოვანი გახდება ვიდრე

თქვენ სათხოვარს კი რაც შეეხება, იმერთა მხარე შემოვიერთოთ
მეფის შვილი შვილს ტახტი წავართვათ,
მისი სისუსტით კიდეც გავერთოთ
ამ მხრივ თქვენც ხედავთ, ჩვენ თავს ძლივს ვუვლით,
რომ შევიერთოთ ხომ გაძნელდება.
მე ასე ვფიქრობ, არ შეიძლება ერეკლესათვის, თქვენზე ხელდება
მაშინ ხომ მტრები აიშლებიან, სპარსეთ-თურქეთი მოგვეძალება
ერთობით ძალას ჩვენ ვერ შევიძენთ,
შეგვრჩება მხოლოდ ფუჭი წვალება

დავით სარდალი

მუხრან-ბატონის გამკვირვებია, შიში ლაჩარის თანამხლებია
ქვეყნის ერთობას ზურგს ის შეაქცევს, ვისაც მახვილი დასჟანგებია
მამული ითხოვს ქართველთ ერთობას,
ჩვენც დედამ ძუძუ მიტომ გვაწოვა
რომ სამშობლოსთვის თავი გადავდოთ,
როცა მოგვთხოვს და, როცა დრო მოვა
ახლა იმერი ითხოვს ჩვენ შველას და ერთობისკენ მოგვიწოდებენ
აქეთურებმა რატომ ვიყუჩოთ, იქეთურები თუ თავსა სდებენ
მუხრან-ბატონს თუ ხმალი არ უჭრის, არაა ჩვენთვის იმის მიზეზი
ძმის შეძახილი ვერ გავიგონოთ, გვერდზე გავდგეთ
და შევცვალოთ გეზი.

/დავითის სიტყვებზე ერეკლე აენთო. მისი საყვარელი ქალიშვილის ქეთევანის ქმარს, თანაც მასაც ბაგრატიონების ჩამომავალს და სარდალს ვაჟკაცობა დაუწუნეს. ამასთან, ეს გააკეთა მეფის უფროსი ქალიშვილის, აწ გარდაცვლილი თამარის მეუღლემ, სახელოვანმა სარდალმა და მამულიშვილმა. ერეკლე მეფემ დაითმინა სიძეების სიტყვიერი შერკინება, მაგრამ იწყინა და სხდომის დარბაზი დატოვა. მეფეს დიდებულები მიჰყვნენ და ამით დამთავრდა გაერთიანების მიზნით მოწყობილი თათბირის პირველი დღე./

/სხდომის ჩაშლის შემდეგ მეორე დღეს დედოფალი დარეჯანი ეთათბირა პირად ამილახვარ ოსეფა ყორღანაშვილს, შემდეგ მიიღო იმერეთის დეპუტაცია. შემდეგ გაუწყრა გაერთიანების მომხრე ჭაბუა ორბელიანს და ბოლოს თავად ერეკლე მეფეს „მოეთათბირა“. ასე გვამცნობს ისტორია./

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ

ოსეფ, ჩემი ხარ ამილახვარი, მე აგარიდე მეფის ლახვარი
გენდობი, წვრილად შემატყობინე, გუშინ თათბირი იყო რაგვარი
რაც სმენას ჩაწვდა, ისე ვიგრძენი, ყველა გიორგის მოწყობილია
იმერლისაგან არი ნაშობი, შიგნით მტკიცეა, გარეთ რბილია
მაგრამ მე ვერას გამომაპარებს, ვიცი გულში რა ბოღმას ატარებს
ჩემი შვილების დაყმევება სურს, ეგ დამიჩაგრავს ამ ჩემ პატარებს
მე თუ მივეცი ამისი ნება, ისეც გამირბის, არი თავნება
სხვის დასანახად დედას მიწოდებს, მაგისგან მოდის ყოველი ვნება

ᲝᲡᲔᲤᲐ

ჩემო ბატონო და ქალთ ბატონო, შენი წყალობა ნუ მომაკლდება
თუ შემომწყრები, შენი ერთგული,
მტერი არ უნდა, დარდით მოკვდება
გუშინ მთელი დღე, მერე საღამო, იმერლებს გარე ვუტრიალებდი
მსახურებს ვცვლიდი, შემხვედრებს ვთვლიდი,
სადაც შევძელი პირადად ვსდევდი
და უნდა გითხრა, ზაქიჭამია, წამითაც არსად გამოჩენილა
თუმცა იმერლებს სურდათ გაეგოთ,
თავის მამულში რად დარჩენილა
არვინ იკითხა იქ ალმასხანი, ფარნავაზი და თვით იულონი
შენი გერი კი ყველამ იკითხა, ადრე თანხმობა ჰქონიათ მგონი
ალბათ, წინასწარ შეატყობინეს,
როგორ და რისთვის უნდა გვწვეოდნენ,
აზრს, რომ არავის მოუწონებდი,
უკვე იცოდნენ, ადრევე გრძნობდნენ
დღეს აპირებენ თხოვნით მოგმართონ
და მხარში დგომას შეგახვეწებენ
შენი იმედი ჰქონიათ დიდი და ერთგულების ფიცსაც დასდებენ
იციან კარგად, ერეკლე მეფე,
მხოლოდ შენ ნათქვამს დაჰყაბულდება
მეფის ვალია ისე აკეთოს, დედოფალს რა სურს და მოუნდება

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ

შენ ეს მითხარი, იმერელთაგან, რომელმა რა თქვა, რა უპასუხეს

გერზე რა ჰკითხეს, როგორ მიზეზით,
როგორ აძაგეს ან როგორ უქნეს

ოსეფა

ეგ ადვილია მოსაგონებლად, მოსაყოლადაც არაა ძნელი
აგიაშვილი და წულუკიძე, ყველაზე მეტად კი წერეთელი
სამეფოს ამბებს მოახსენებდნენ და დახმარებას მეფესა სთხოვდნენ
ერთობისაკენ მოუწოდებდნენ,
გათიშულობას ჩვენ შორის ჰგმობდნენ
აბაშიძე კი თუმცა ფრთხილობდა, არ შეემჩნიათ გიორგის მხარე
ოსეფამ ყველა ზეპირად იცის, მოდი სცადე და გამომაპარე
თუმც შენი გერი არვინ ახსენა, მაგრამ ისედაც ხომაა ცხადი
თუ შეერთდება სამეფოები, ყმა გაუხდება ყველა თავადი
ტახტის მემკვიდრე სხვა არვინ არი
და ტახტზე ხელი არ მიუწვდება
სამთავროებიც ქედს მოდრეკავენ, სადადიანოც მისი გახდება
ეს კიდევ რაა, ასატანია, დიდი დღე მაინც არ უწერია
მაგრამ შვილები ჰყავს დაგეშილი, შენი ვაჟები მათი მტერია
არა და გრიგორს შემოუთვლია, ზაქიჭამიას მხარში უდგება
სადადიანო თუ დაიჭირა, მას აფხაზეთი წინ დაუდგება?
გურიელზე ხომ არა ითქმება, სულ მეგობრობას იფიცებოდა
ეშმაკი არი, ალბად თუ გრძნობდა, საიმისო დრო რომ დადგებოდა
ასე გამოდის, თუ იმერეთი ერეკლემ თავად შემოიერთა
მერე უომრად დაიმორჩილებს,
მთისა და ბარის იმ წვრილ-წვრილ ერთა
მხოლოდ ერთია გამოსავალი, ერეკლემ იმერთ უთხრას უარი
ყმაწვილ სოლომონს* როგორ გაწირავს, არ ჩაიდინოს საქმე საზარი

/შემოდის მსახური, იმერელ თავადთა მოსვლას აუწყებს. ოსეფა დარეჯანის ნიშანზე მეორე ოთახში გადის. შემოდიან ქუთათელი, გენათელი, იოანე აბაშიძე, ზურაბ წერეთელი და სხვა. დაუჩოქებენ, ხელზე ემთხვევიან დედოფალს და ადგილს იკავებენ/

* დავით არჩილის ძეს, სოლომონ იმერთა მეფის ძმის წულს, გამეფების შემდეგ სოლომონ II უწოდეს.

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ

მადლობელი ვარ, რომ მინახულეთ, ამით საამო წუთი მომაგვარეთ
გამოკეტილი ვარ, როგორც ჭურში,
რა ხდება ირგვლივ, შინა თუ გარეთ
არავინ მეტყვის, ქვეყნის ამბავი, თუმცა ვარ ქალი, მინდა ვიცოდე
კაცები მხოლოდ კაცებს ენდობით,
ქალად რომ გავჩნდი, ამით რა ვცოდე?
თქვენი სამშობლო ჩემიც ხომ არი,
თქვენთვის ტკბილია და ჩემთვის მწარე
ჩემ მეუღლეს რომ ეთათბირებით, მისი მეუღლე უგვარი არი?

ᲮᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

შენ, დედოფალო, საყვედურს ამბობ,
ჩვენთან კი რა გაქვს სასაყვედურო,
რომელი არი ჩვენში უზრდელი, რომ გაწყენინა და დაემდურო
სტუმარი, როდის იყო მასპინძელს, მოქცევის წესებს უკარნახებდა
ვინ ნახა ქვეყნად ის იმერელი, მასპინძელს თავზე კალთას ახევდა
ეს მართალია, ჩვენ მეფეს ვსტუმრობთ,
გვაქვს მასთან საქმე გადაუდები
გვინდა მიგვიღოს როგორც სამწყემსო,
ჩვენი ერთობის გახდეს თავდები
გუშინ ამაზე თხოვნა მივართვით, დღეს,
ვიდრე ფიქრობს თქვენ გეახელით
მოვსულვართ როგორც თქვენი შვილები,
მხურვალე გულით, გაშლილი ხელით

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ

თავადო, ვატყობ, აზრი რომ გიჭრის,
არც სიტყვას ვისმეს დაესესხები
ერეკლეს გუშინ ვინ და რა სთხოვა, ამბავი მომდის, არ შევეხები
და არც გიწყრებით, გამკვირვებია, მანამდე რატომ მე არა მნახეთ
ქუთათისშივე ხომ ითათბირეთ და სააქაო გეზი დასახეთ
აქ ჩამოსვლისას მეფეს რომ შეხვდით, დედოფალი კი არ ინახულეთ
საქმის გამგები, თქვენი დამხმარე,
სხვა ვინ გეგონათ, ვინ დაიგულეთ?

ჩემი ვაჟები აქ არ არიან, მამულს უვლიან და პატრონობენ
თბილისს რომელი, როდის ეწვია, ეს არც იციან და არცა გრძნობენ
თქვენი მოსვლაც არ გიცნობებიათ, თუმც იქვე ახლოს გამოიარეთ
ფარნავაზი ხომ სურამში მკვიდრობს, ისიც არ ნახეთ არ გაახარეთ
ეტყობა, ძალზე სასწრაფო არი, რომ არ შეყოვნდით, აქეთ იარეთ
მეფეს თუ ენდეთ, იმის მეუღლეს, სმენა დამიტკბეთ, გამიზიარეთ

ქუთათელი

როცა სამღვდელო საეროს ერთვის, ნიშნავს საქმეა გადაუდები
საერთო საქმემ ჩამოგვიყვანა, ამდენი ერთად, გეტყოდნენ, ხვდები
ჩვენი მიზანი, აქ რომ ავხსენით, არც ქუთათისში დაგვიფარია
მართალი საქმე არი მახვილი, მართალი სიტყვა მისი ფარია
გელათში ვწირეთ, მოვითათბირეთ,
ბაგრატში უფალს ვთხოვეთ წყალობა,
სწრაფად ვიარეთ, თავადთა შორის, დაიწყებოდა ვიდრე ცალობა
ყველა როდია საერთო აზრის, და განა ყველას მოეხაროდა
ორი მეფე გვყავს, ორად ვიყოფით და ჩვენი აზრიც ორადა ქროდა
ქუთათისში ზის დავითი მეფე, სოლომონი კი თქვენთან იზრდება
ორ მეფეს შორის ტრიალებს ერი და ერთ-ურთს ებრძვის,
ვინ რას მიწვდება
იმერთა მხარეს ერთიანობა, ორ მეფეს გამო ვერ დამყარდება
სამეფო, მუხლზე დაჩოქებული, თავს ვერ დაიცავს,
ვერ გამყარდება
ფაშა, ჯაყელი სულეიმანი, დავითს მოძღვრავს
და ზურგსაც უმაგრებს
თუ იაზრებენ, თურქნი შემოვლენ,
დამსგავსებულნი მშვიდობის მაყრებს
რაც უწინ იყო, აღსდგება კვლავაც, ტყვეთა გაყიდვა,
ძარცვა, თარეში
არა მგონია ამერს აწყობდეს, გლეხის წაქცევა იმერთ მხარეში.

ლარეჭანი

მაშ თქვენ მოსულხართ სოლომონისთვის
გინდათ ამეფოთ იმერთა მხარეს
ჩემ შვილის შვილს თუ ტახტს დაუბრუნებთ,
თუ დაუბრუნებთ იმერთა არეს

ხომ პაპა არი ერეკლე მეფე სოლომონს რად არ დაეხმარება
ბიძები გვერდში გაუდგებიან, გარჯა არავის დაეზარება
მხოლოდ გიორგი, ის შეიძლება ამის მოსურნე სულაც არ იყოს
მას ურჩევნია იმერთ სამეფო, ორად კი არა, ათად გაიყოს
ჩვენ უმისოდაც იოლად გავალთ,
მე სიტყვას გაძლევთ, ვით დედოფალი
ფაშასაც თვითონ მოვურიგდებით,
რომ იმერეთზე დახუჭოს თვალი
ერეკლეს ვეტყვი ჯარი შეკრიბოს,
სოლომონს მისცეს დასახმარებლად
და იოანე მუხრან-ბატონი,
ქვისლის შვილს გაჰყვეს მცველად და მხლებლად

ᲮᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

შენ, დედოფალო, ცუდად გვისმინე,
ჩვენ რასა გთხოვდით ის ვერ გაიგე
ან არ ინდომე მისი გაგება, არ განიხილე, არ დაგვარიგე
დავითი მეფე როცა გავდევნეთ
და სოლომონი სანაცვლოდ დავსვით
გვეგონა დადგა მშვიდობის ჟამი,
ბიჭი შევიტკბეთ, ვაჭამეთ, ვასვით
მაგრამ დავითმა არ დაისვენა, მასთან ნაწილმა დიდებულების
გაგვხადეს მოწმე უკან მოქცევის,
ბიჭის გაქცევის, თურქების ხლების
ახლა ეს ბიჭი თქვენთან კაჟდება, იქ კი დავითი ბატონად გვიზის
დავაჟკაცდება, ძალას მოირთავს, ესაც იქნება გამკვალავი გზის
თავადს არ ვიტყვი, გლეხმა რაღა ქნას,
მეფეებს შორის ყმადა ტრიალებს
ერთი წავა და მეორე მოვა, ყველა მის კერას გაატიალებს
გვინდა იმერეთს ეს ავარიდოთ და არ გავხადოთ სხვათა საწილე
თურქს არა ჰქონდეს ფეხის საწმენდად,
ჩვენი შვილების ღამით საძილე

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ

თქვენი წუხილი გასაგებია, თქვენსავით ჩემი ოდიში ცდილობს

გრიგორ დადიანს აუბით მხარი,
რას ეფარებით ფარდაგს და ჭილობს
ერთობით უნდა შეიძლოთ მეტი, ძველი სამეფო აერთიანოთ
მაშინ მტრებს თქვენი შიში ექნებათ,
თავს არ დაესხათ, იქით არ ავნოთ

ზურაბ წერეთელი

თქვენ პირს შაქარი, ასე რომ იყოს ადვილი ჩვენი ერთიანობა
ყველას თავისი გაგვჭირვებია
და ვერას გვშველის ერთობის გრძნობა
ამიტომ ვფიქრობთ, ქიშპობის სურვილს,
მოთოკავს მხოლოდ ერეკლეს ძალა
მთლად აფხაზეთიც* მხარს დავუმშვენებთ
და არ დავტოვებთ ბრძოლაში ცალად
ჩვენ მხლოდ მისი სახელი გვიხსნის,
მის ნებას ყველა დამორჩილდება
ვერც სოლომონი და ვერც დავითი,
მისი შემცვლელი ხომ ვერ გახდება
ეს კარგად ვიცით, განა უაზროდ, ქუთათისიდან აქეთ ვიდოდით
პაპა შვილიშვილს რომ დაიცავდა,
ჩვენ დედოფალო, ისეც ვიცოდით
მაგრამ სულ სხვაა ერის განწყობა და მოლოდინი ჯანგაცლილ ერის
როგორც ტაძარში ბაგრატის სურათს,
ერეკლესკენ გზას ისე გასცქერის
თუ ვერ მივაღწევთ მეფის თანხმობას, ჩამოიშლება ერის იმედი
ცოდვაც და მადლიც მეფის იქნება,
ჩვენ სხვა არა გვაქვს გამოსახედი
ვიცით, შენ რჩევას ძირს არ დაუშვებს,
არც გაგიმტყუნებს დაპირებულსა
ისე ურჩიე, როგორც ერჩიოს,
ჭაში ჩავარდნილ ქართველის გულსა.

ლარეჭანი

თქვენ იმერელები დღევანდელს ჩივით,
თითქოს ზღვაში ხართ გასული ტივით

* მთლად აფხაზეთი — დასავლეთ საქართველოს ეწოდებოდა შუა საუკუნეებში

მე ყველას ტკივილს უნდა ვუშველო,
ვის ვარგო ცხელით, ვის ვარგო ცივით
დასავლეთი და აღმოავლეთი, ჩემთვის ერთგვარად საფიქრელია
ოდიშს მივხედო, კახეთს მივხედო, თავში სახლელი არ დამელია,
ახლა თქვენ გინდათ, რომ იმერეთიც, ჩემს სამეფოში ვაერთაინო
თქვენზე ვიფიქრო, მტრისგან დაგიცვათ,
მომხდურმა არვინ დააზიანოს
თუ გიფიქრიათ ჩემი ვაჟები, დაფანტულები, ისეც გიცავენ
დაემატებათ იმერთა მხარე, ერთგულებას თუ დაიფიცავენ
მხოლოდ გიორგი მყავს უდარდელი,
თავის მამულში განცხრომით მყოფი
ის გიპატრონებთ? ჩვენ არ გვპატრონობს,
ჩვენი სისხლია და განაყოფი
გირჩევნით ჭკუას დაუალაგდეთ და ჩემი რჩევა გაიზიაროთ
თუ სოლომონის ყმები გახდებით,
ნიშნავს რომ ჩვენთან ერთად იაროთ
პაპა შვილიშვილს არ მიატოვებს,
განუყოფელნი კვლავაც ვიქნებით
მოგხედავთ, ძალა-ღონეს შეგმატებთ,
უძლეველ ძალად გარდაიქმნებით,
ასე შევთანხმდეთ და დავამთავროთ, ჭაბუა მყავდა დაბარებული
რად დავაყოვნო, ისეც ლოდინით ხშირად მყოლია მომდურებული

/იმერელი დიდებულები ცივად ეთხოვებიან დედოფალს. შემოდის ჭაბუა ორბელიანი/

ᲭᲐᲑᲣᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ჩემი მიღება მოგსურვებია, ჩემგან რჩევა გსურს, ჩემთან თათბირი
იცი, ტყუილი არა მჩვევია, სიტყვა მაქვს მწარი და პირდაპირი

ᲓᲐᲠᲔᲭᲐᲜᲘ

რომ არ გიცნობდე, რომ არ ვიცოდე, არ ხარ ორგული და გამხედავი
ცალკე ჩემთან არ დაგიბარებდი, არც ვისურვებდი მქონოდა ზავი
მეფის მრჩეველთან და მდივან ბეგთან.
მაგრამ რადგანაც იცვალნენ დრონი

თქვენ ითათბირეთ, მეც შევიქენი,
ნათქვამ აზრების, მცირედ გამგონი
მინდა პირადად შენგან ვისმინო,
რატომ არ მოგწონს შენ სოლომონი
მეფის შვილიშვილს რატომღა ებრძვით,
მცირეს ასაკით და აზრის წონით
რატომ არ გინდათ, რომ იმერეთში,
კვლავ გავამეფოთ, როგორაც იყო
შარშან იყავით ყველა თანახმა, ახლა დარბაზი შუა გაიყო
ჭაბუავ, შენ ხარ მეფის მრჩეველი, პირში სიმართლე შენი ვალია
ის მდივან ბეგი რაში მჭირდება, ვინც დაივიწყა რაც ავალია

ჭაბუა ორბელიანი

ჩემო ბატონო და დედოფალო, როდესაც მეფეს ვემსახურები
ასი თვალი მაქვს ზედ გამობმული, გაფაციცებით ისმენს ყურები
ჩემი ვალია, ავწონ-დავწონო და მეფეს აზრი გავუზიარო
ლიონიძესაც დავეკითხები, ნათქვამი იყოს, რამ საზიარო
სოლომონი ხომ ბრძენთა-ბრძენია, ერეკლესათვის ასევე ფასობს
თუ შემეშალა, შემეშველება, არა და სიტყვის მახვილს დამასობს
თათბირზეც ის ვთქვი, რაც მეფის მრჩევლებს,
ათასჯერ მაინც ადრე გვითქვია
აზრის წისქვილში, დაუღალავად, გვირაკრაკია და დაგვიფქვია
შენ, დედოფალო, შვილის შვლის იცავ,
ასაკითა და აზრით მცირესა
შენი სიტყვები გავიმეორე, მერე არა თქვა, რად გამწირესა
ერთი წლის უკან ტახტზე რომ დასვეს, ვერ ივარგა და შეინარჩუნა
ერმა მოსთხოვა საკეთებელი, რაც ვერ შეიძლო, ის დაუწუნა
ახლა დავითი ზის მეფის ტახტზე,
მაგრამ ქვეყანას ვერც ის უძღვება
მხოლოდ მას ფიქრობს ვის რა წაგლიჯოს,
მშრომელებისთვის არი უძღება,
ერის შვილებმა მიტომ იფიქრეს: არც ერთი ვარგა და არც მეორე
ერეკლე მეფე ექცათ იმედად და თხოვნა ბევრჯერ გაიმეორეს
მე რა მერჩია იმერლებისთვის, მეთქვა: ერეკლე ისე მობერდა
ქართლს ვეღარ უვლის, შვილებს დაუყო,
მეფობაც მგონი უკვე მობეზრდა

სანდრო პაპა ▬▬▬

ყველა მეფობას ცალკე მიელტვის, ძმასაც უმტრობენ, გაუდგებიან
უფრო მეტს გეტყვი, არა საწყენად,
დასაფიქრებლად გონის კარს გქონდეს
ტახტის მემკვიდრე ბორჩალოს უზის,
მოკვდება, იქნებ არც მოაგონდეს
შენზე ამბობენ და გული მწყდება, გერია, მაგრამ მაინც შვილია
ოთხი წლის დაგხვდა, მაგის აღზრდაში,
რამდენი ტანჯვა გამოგილია
ისიც უთქვიათ, როგორც რუსეთში ქალი თუ მეფობს, ამასაც უნდა
ერეკლე მასთან ვერაფერს ხდება და არც გაუვა, ინდომოს თუნდა
მოენე ვიყო, ოსეფასავით,
ჩუმ-ჩუმად თვალთვალს ხომ ვიკადრებდი
მადლობა უფალს, ასეთი გავჩნდი, ასე ვიცხოვრე, ასე დავბერდი

ლარეჭანი

ოსეფა ჩემი ერთგული არი, ალბად ამიტომ ბევრი ვერ იტანს
სხვაც ბევრი არი, სიტყვაც რომ დაგცდეს,
ბუს სპილოდ აქცევს, ისე გაიტანს
რაც შეეხება ოსეფას ამბავს, მისი ნათქვამი რა გაგიგიათ
რასაც მიყვება, აქვე თავდება, მხოლოდ ჭორების კლდე აგიგიათ
მასავით შენც რომ მყავდე ერთგული,
როგორიც გინდა გარეთ არ ჩანდე
რად გაგიკვირდეს მეც გიერთგულო,
მეც დაგიფარო, კიდეც მიყვარდე
ვიცი არ გჯერა და არ მენდობი,
შენთვის მე მხოლოდ მეფის ცოლი ვარ
მე მხოლოდ ვშობე, ვზარდე შვილები,
მაინც ქალი ვარ, თუ რამედ ვღირვარ
არავინ იცის წინ რა მოგელის, ხალხში ნათქვამი ზოგჯერ ახდება
ვინც ვერ აუღებს ალღოს მომავალს,
საქმეს შორდება, კიდეც წახდება

ჭაბუა ორბელიანი

მეც ჩემსას ვიტყვი, ორბელიანთა, ვინ ნახა ფლიდი, და ქვემძრომელი

ჩვენსავით, ქვეყნის სადარაჯოზე,
სულს რომ ტოვებდეს, არი რომელი
ჩემი ცხოვრება მეფის და ქვეყნის ერთგულებაში მიტარებია
არ დავმალვივარ ბრძოლის სიმძიმეს, დრო ქეიფში არ მიტარებია
ახლა თუ მთხოვენ გავხდე ორგული,
მეფესთან პასუხს როგორღა ვაგებ
სჯობს დღესვე საქმეს ჩამომაშორონ,
სხვას გადვულოცავ, რასაც განვაგებ
ბატონ დედოფალს ამას მოგიგებ,
იმას ნუ იტყვი, კეთილს ვერ ვხედავ
ქვეყნის ბედია გადასაწყვეტი,მისი გულისთვის სიტყვას გიბედავ.
გსურს დაითმინე ეს თავხედობა,
მართალი სიტყვა წყრომად გამიგე
გსურს გამაძევე, პატიმარ მყავი, განრისხებულმა, წერა ამიგე
მე სხვანაირად არ მეცხოვრება, არც მინდა ვიყო ჭორის მქსოველი
დიდებისათვის არ მიღვაწია და არც მადლობას ვისგან მოველი
მე ჩემს სამშობლოს ვემსახურები, სხვა საზრუნავი არცა მქონია
მეფესაც მიწყივ იმას ვურჩევდი, რაც სასიკეთო მომიგონია
სიამე მოსვლით თუ ვერ მოგგვარე,
მოსვლა ხომ მაინც არ დავიზარე
წავალ, საფიქრალს თან წავიყოლებ,
ღმერთო ნუ მიწყენ, შენ დამიფარე

/ჭაბუა ორბელიანი გადის. გამოჩნდება ოსეფა ყორღანაშვილი/

ᲝᲡᲔᲤᲐ

გეუბნებოდი, არ მიჯერებდი, ზაქიჭამიას ერთგული არი
დარბაზობაზე თავი გადადო, მის სადიდებლად ჩამოჭკრა ზარი
მისი ნდობა რომ არ შეიძლება, თავად დარწმუნდი, გახდა ნათელი
შენი გერისთვის თავსად გაწირავს,
მისთვის უნთია დღისით სანთელი
მაგრამ არ ამხელს თავის ხვაშიადს და საქმეს ისე ჩაარაკრაკებს
თითქო ერთგული არი მეფისა და მასზე ზრუნვა ალაპარაკებს
იმერთ თავადებს აგულიანებს, ერთიანობის მოწოდებითა
შეერთებულებს შეჰპირებია დასაჩუქრებას მამულებითა

დარეჯანი

ოსეფ, დავრწმუნდი, შენებრ ერთგული ამ სამეფოში არავინ არი
ქართლს და კახეთში ვთესავ სიკეთეს
და მაინც ვრჩები უნდო და მწარი
დადიანის ქალს ჭაბუასაგან უკადრებელი მეკადრებოდა?
სამეფოს ბედზე ეგ თუ ბევრს ზრუნავს, მე არაფერი მედარდებოდა?
მარტო ის რად ღირს, სოლომონ მეფეს, რა დაემართა, შენ შეადარე
უმემკვიდრეო დარჩა სამეფო, რადგან მეუღლე ჰყოლია მდარე
თავად ერეკლეს, წინამორბედმა, ერთი ჭიანი ძლივს გაუჩინა
კვდება არ კვდება, მაგრამ სივდება, ჩემმა ქალობამ გადაურჩინა
შენ ახლა ნახე ჩემი შვილები, ერთი-მეორეს ტოლს არ უდებენ
ზაქიჭამიას რად ეყმევიან, შეძლებენ? გზასაც გაუმრუდებენ
არ მომკვდარიყო ჩემი ლევანი, არ გამხდარიყო შემთხვევის წერა
სულ იმას ვფიქრობ, გერის მაგიერ,
იმ ქყვეყნად წასვლა რატომ ეწერა

ოსეფი

ლევანზე ჯავრი უნდა ჩაიკლა,
რამდენჯერ გითხარ, როგორ, რა იყო
არვინ ელოდა მის მიბრძანებას, მივიდა, სუფრა შუა გაიყო
ზაქიჭამია შეხვდა ღიმილით, გვერდით მოისვა და მიეფერა
ღვინო იგემეს, ლუკმა გატეხეს, ვერ მივადევნე მეც კარგად მზერა
ბატონიშვილი რომ ცუდად გახდა, ზაქიჭამია უკვე კვდებოდა
ვინ იფიქრებდა ჭირს გაუძლებდა, თუმც დაავადდა, გადარჩებოდა
სამი წელია უკვე სივდება, სადამდე მივა, არავინ იცის
ამაში ბრალი ჩემი არ არი, დავრჩი ერთგული მოცემულ ფიცის
დარეჯანი
ლევანის სიკვდილს შენ არ გაბრალებ, მაგრამ გადარჩა ზაქიჭამია
მართალს იტყვიან, სიკვდილ-სიცოცხლის
გზა გასაყარი ერთი წამია
ახლა რაღა ვქნა, რა ვიმოქმედო, ახლა ეგაა მეფის მემკვიდრე
ჩემ შვილებზეც ეგ გაბატონდება და იზეიმებს,
იცოცხლებს ვიდრე
შემდეგ შვილები მაგისი მოვლენ დავითია თუ იოანეა
ისინიც მაგის ჯიშისა არი, შვილი ყოველთვის მამის მგვანეა

ჩემი შვილები, შვილთა შვილები,
ერთ-ურთზე კარგნი, მხარგაშლილები
ზაქიჭამიას უნდა ეყმოდნენ, ჩემგან სამეფოდ გამოზრდილები
მე ვერ ავიტან ამდაგვარ ყოფას, დადიანის ქალს არ მეკადრება
მიზნისთვის ყველა ხერხი კარგია, მოძებნა რატომ დამეზარება

ОЛЕФА

თუ დამიჯერებ, ჩემი აზრია, ყველაზე უფრო გამოსადეგი
ქმარი თუ მოტყდა, ცოლმა იმეფოს,
ქვეყნისთვის მყარი იყოს შედეგი
რუსეთმა მოგვცა ეს მაგალითი, ქალთა მეფობა დაჭბედებია
ერთს მეორე ცვლის, შემდეგ მესამე,
ერთამნეთს ჭგვანან როგორც დებია*
„იმპერატრიცა“ ხომ არი ქალი, კაცებზე მეტი უკეთებია
რამდენიც ვიცი, მისი აუგი რუსეთში არვის უხსენებია
არა და არი ყველგან ცნობილი, ქმარი საყვარლებს მოაკვლევინა
მეფედ ქალი სჯობს თუ მამაკაცი, მიდი განსაჯე, ვინ არი ვინა
ჩვენთან ვერ ვიტყვით მეფეზე აუგს, დუნიაზეა** სახელიანი
მაგრამ მოხუცდა, შენ დედოფალო, იფიქრე, რომ არ იყოს გვიანი
გინდა არ გინდა, ერეკლეს მერე, „იმპერატრიცა“ რომ დაგიძახონ
გერი იქნება თუ გერის შვილი, შიშობდნენ, შენგან არ გაილახონ
თუ ეს გამოვა, ყველაზე კარგი, მაშინ, შენ გამო, მეც ავმაღლდები
როგორც რუსეთში არი „კანცლერი“
მარჯვენა ხელი შენი გავხდები
მაგრამ თუ გაძლო ზაქიჭამიამ და დროზე ადრე არ მიიცვალა
ჩაკეტილია თავის მამულში,
ჩვენც ვერ შევძელით დაგვეტყო ძალა
მაშინ ყველაზე უპრიანია მემკვიდრეობის წესის გამოცვლა
ოჯახში უფორსს მომდევნო შეცვლის,
სხვა უკეთესი რაღა გინდა სვლა
თუ ეს მოხერხდა, ზაქიჭამიას, ასეთი მომწონს მისი სახელი
მერე რა, ცოტას თუ შეექცევა, ვინაა მოწმე და დამნახველი
ზაქიჭამიას უწოდებს ბევრი. ხო და თუ მოკვდა ზაქიჭამია

* მხედველობაშია პეტრე პირველის შემდეგ ეკატერინეს, ანა, ეკატერინე II მეფობა.
** დუნია – ქვეყნიერება

არეულ დროში ვინ გაარკვიოს, რა უწერია და რა ყამია
მთავარი არი, შეცვლილი წესით, მისი დავითი ვერ გამეფდება
ჯერ იულონი, შემდეგ ალმასხან და უსასრულოდ ეს გაგრძელდება
ბოლოს გამოვა, აბაშიძის ხაზს, მოიშორებენ დადიანები
შენი შვილები, შვილის შვილები არ დარჩებიან დარდიანები
მე ჩემი გითხარ, უფრო უკეთესს, სხვა, არა მგონი, მოიფიქრებდა
არც არი რამე გამოსავალი, რაც შენ მომავალს ერთად შეკრებდა
კარგად იაზრე მე კი დაგტოვებ, ერეკლემ შენთან არ დამინახოს
ყორღანაშვილი, ბაგრატიონებს, ტყუილად რაზე შემოელახოს.

/ოსეფა მოწიწებით ემშვიდობება და გადის/

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ

ლომის და კატის იგავის მსგავსად, ოსეფას ღონე ქვეყნად რა არი
ერთგულებისთვის არ ვიფარავდე, დაეცემოდა საწყალს თავზარი
ღონე არა აქვს, ეშმაკობით კი ათჯერ ერეკლეს გადააჭარბებს
სიკვდილის ტოლი არი მაგისთვის,
თუ შეიჭმუხნის ბატონი წარბებს
სანამ მე ვიცავ უბედურის შვილს, თითის დადებას ვინ გაუბედავს
თვით ჩემი ქმარი, ენასა ყლაპავს, თუმცა ოსეფას ოინებს ხედავს
თუნდ დღევანდელი, მე სად შემეძლო,
ერთად შემეჭდო ამდენი ხრიკი
სოლომონ ბრძენად ვქცეულიყავი,
საყვარელივით მეწყო ტიკ-ტიკი
დავკვალიანდი. ახლა მე ვიცი, როგორ შევაბა კატას ეჟვანი
მიზანი საზღვრავს საშუალებას, რა ბედენაა თუა უგვანი
პირველ, იმერლებს უთხრას უარი და გაამართლოს ეს სატყუარა
თვით იმერლებზე ზრუნვის საბაბით
და თუ მორჩება ამ ამბავს ჩქარა
სხვა დავალება არ დააყოვნებს, ესაა დღეის და ხვალის საქმე
როცა ყაბული გახდება მეფე, მესამე თხოვნა დავურთო აქვე
მე თუ ვუყვარვარ, ვინაც დღე და ღამ თავგამოდებით ვემსახურები
თუ ვურჩევნივარ თავადთა ცოლებს,
არ სურს დამასვას თავს მსახურები
თუ სიყვარულით წამომიყვანა, ხასად კი არა, დამსვა დედოფლად

კეთილ ინებოს, ჩემი შილები, არ დამიტოვოს მინდორში ობლად
შეცვალოს ტახტზე ასვლის წესები,
რაც სპარსეთშია, ის დაადგინოს
თუ არ უნდა, რომ მისი ცხოვრება, დადიანების მოდგმამ აგინოს
მაგრამ მანამდე ქართლი, კახეთი ჩემ შვილებს შორის დაანაწილოს
თუ არა, მორჩეს ცოლ-ქმრობის თამაშს,
მონასტერს წასვლა ვერ ამაცილოს
მორჩა, დადგინდა, დროა ვემზადო,
სარკეში კარგად შევხედო ჩემ თავს
არავინ იცის დღევანდელი დღე, ვის გაუღიმებს, ვის მოუტანს ავს.

/ემზადება. მალე მოდის მეფე ერეკლე II./

/მეორე დღე: იგივე სამეფო დარბაზი. იგივე შემადგენლობა. მოთათბირეთა შორის არის გიორგი ბატონიშვილი/

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲛᲔᲤᲔ

ჯერ არ მოგმართავთ მე, როგორც მეფე,
რომელმაც უნდა დააგვირგვინოს
ვისი როგორი არი ნათქვამი, ვის მოუწონოს, ვის დაუთმინოს
ბევრი რამაა ჯერ დასადგენი, როგორი გვინდა მომავლის დღენი
ვინ რა მირჩია, როგორ მივიღო, არი ბეგარა თუ არი ძღვენი
ამიტომ მინდა, რაც ადრე ითქვა, გავიმეოროთ და გავაგრძელოთ
აზრთა ომი გვაქვს გაჩაღებული,
მოფიქრებულიც ბოლომდე ვწველთ
მხოლოდ მანამდე, კათალიკოსს ვთხოვ,
გულით დაგვლოცე მამაო წმინდა
ჩვენი ნათქვამი, არ იყოს ჩვენი;
მხოლოდ სურვილი, მინდა არ მინდა
და ამას გარდა, გიორგი არი დამტკიცებული ტახტის მემკვიდრე
ვალდებულია დარბაზს აუხსნას,
საბოლოო აზრს ვიტყოდე ვიდრე
რადგან ჩემ შემდეგ, მეფობის ტვირთი,
წესის თანახმად, მასზე გადავა,
მან უნდა გვითხრას რას ეთანხმება, რაზე რას ეჭვობს, ექნება დავა,
ყველას ერთად კი, კი არ გიბრძანებთ,
დაჩოქილი გთხოვთ, დაკვალიანდით,

გულიდან მოსულ გრძნობებს მიენდეთ,
ნუ ისაუბრებთ ხერხით და ფანდით

ანტონ კათალიკოსი

ღმრეთი სამობით მოვლინებულა, სამების მადლი არ მოგეშალოთ
ჩვენსას კი არა, ქვეყნის ბედს ვწყვეტავთ,
თავს არ ეცრუოთ, არ შეგეშალოთ
სამების დარად, მესამე დღეა, ვმსჯელობთ,
ვკამათობთ და ვერ შევჯერდით
უნდა დადგინდეს საერთო საქმე,
პირადი ბედი გადავდოთ გვერდით
წინასწარ გლოცავთ, ღვთისმშობლის მადლი
საქართველოზე გადმოსულია
ერთს მეორეზე არ დაგვრჩეს აზრი, უკან იხევს ან სულ წასულია
დიდ საქმეს მართებს დიდი მსჯელობა,
ასეთი არი ბრძენთა ხელობა
ნურც ავჩქარდბით და ნურც დავაკლებთ,
არ იყოს ფუჭი ჩვენი მცდელობა
მაგრამ იცოდეთ, როგორც გადაწყვეტთ,
ისეთი გველის ჩვენ მომავალი
თავზე კი არა, შვილზე იფიქრე, ასეთი არი მშობელის ვალი

გიორგი ბაგონიშვილი

მეფემ როდესაც აქეთ მაწვია, გუმანით ვიგრძენ საქმის რაობა
ქვეყნის ბედია სასწორს დებული, არვის ეგონოს მასხარაობა
მე ფეხს ვითრევდი არა იმიტომ, რომ ქვეყნის ბედი არ მადარდია
ან როგორ ვიტყვი, ჩემი და ერის ბედი-ყისმათი თანაფარდია
მაგრამ როდესაც დიადზე ფიქრობ, იქვე მცირედიც არ გავიწყდება
ჩვენ მცირენი ვართ, კაცნი ცალკ-ცალკე,
თუმცა დიადი ჩვენითა წყდება
ასეც შევხედოთ, ჩემი – საერთო, ერთამნეთშია გადახლართული
სხვისი კარგია, ჩემსას რითა სჯობს, განცალკევება ძალზეა რთული
მით უფრო, როცა ჩვენი მეობა, ჩვენ შორის უკვე არეულია
საერთო, ჩვენი, ჩემად რომ მიჩანს, მასში საერთო გაბნეულია
ამიტომ, რაკი მეფე მიბრძანებს, მამა კი არა, მეფე დიადი

დაუფარავად ყველას ვაუწყოთ გულს დაფარული რამ ხვაშიადი
გულღიად ვიტყვი. წინასწარ ვიცი ნათქვამი ვის არ მოეწონება
და მაინც ვიტყვი, ამას მოითხოვს ერის სურვილი და მეფის ნება
გავბედავ, თქვენთან ის გავამხილო,
რაც გულში მტკიცედ დაფარულია
ზოგია ჩემგან ნაოცნებარი, ზოგი ნასესხებ-მოპარულია
მე ასე ვიცი, ასე მასწავლეს, ერთობა არი სიმტკიცის ძირი
ასე ვიზარდეთ, ამას შევცქერით,
ასეთ სიბრძნეზე როგორ ვთქვა ძვირი
ქართლი, კახეთი და იმერეთი თუ ერთ სამეფოდ ერთიანდება
მტერმა მოყვარემ, თავიდან ვიცით ერთიანობით აქ რა მოხდება
დაქსაქსულობას, გათიშულობას,
ერთბაშად შეცვლის სიმტკიცე ერის
უკან დახევად გარდაიქმნება, აქამდე ჩვენზე შემტევი მტერი
მეფეს მივმართავ, მამას კი არა, მეფევ, თუ მოხდა ჩვენი ერთობა
იყავ სარდალი, „პატარა კახი," ხვალე მოგელის ერში ღმერთობა
თავად განსაზღვრე, გუშინ კახობდი,
„პატარა კახი" მიტომ გიწოდეს
მეტი შეიძელ, მეტად მოგენდნენ, ერთობის თასი გამოგიწოდეს
არ მავიწყდება ის შემართება, ფეხქვეშ გაიგე თვით ინდოეთი
სადაც იყავი, ჩვენთვის იყავი,
ქართველობისთვის გწყალობდა ღმერთი
დღეს რაღა მოხდა, დღეს ხომ არ გთხოვენ,
ბრძოლის ყიჟინა აახმაურო
გეუბნებიან, ვიყავით ძმები, მსურს ძმობის ქუდი რომ დამახურო
შენც კარგად იცი, იმერთ სურვილი, არი სიმტკიცე აქ მეფობისა
თუ უარს იტყვი, სხვას რას ისურვებ,
გახდები მსხვერპლი შემდეგ გმობისა,
და ამას გარდა, შენი მეფობა, ერთობით უფრო გაძლიერდება
ვინც გემუქროდა, აქეთ გებრძოდა, დაგემონება, ასედაც ხდება
ამიტომ გეტყვი დიად ხელმწიფეს,
დიად მეომარს, უბრალოდ მამას
ცხოვრებამ ბედით რაც მოგიტანა, კარგი გაგება სჭირდება ამას
მე რად აგისხნა, რად შეგახსენო, სიძლიერეა ქვეყნად ერთობა
ყველა წახდა და ყველა დამიწდა, ვინც მოინდომა მარტომ ღმერთობა

ჩვენ თუ ის გვინდა, რომ საქართველო
აღორძინდეს და ძლიერად ჩანდეს
უნდა ერთობას საყრდენად ვექცეთ, რომ აქეთ-იქით არ გადაქანდეს
და ამას გარდა, ყველა დაფიქრდეს,
რა გადასძალავს ქვეყნის ერთობას
ურთიერთ დგომას, ქვეყნის სიყვარულს,
ხორცის სიმტკიცეს, სულის ღმერთობას
და ყოველს გარდა, მეფეს ვეტყოდი, მეფეც ბრძენო და უძლიერესო
გამოიარე წუთი-სოფელი, ეჭვების დაღი როდის დაგესო
თუ გინდა მართლა თავს კი არ არგო,
ქვეყნად ქართველი გააძლიერო
უფალო შეგთხოვ, მოგვეც გონება, საქმე გავჭედოთ საქვეყნიერო
ჩვენ ყველამ ვიცით, თუ გვისწავლია, ჩვენი დაცემა მაშინ დაიწყო
როცა გამოჩნდა ჩემი და შენი, ჩვენმა ჩვენ შორის, დაყოფა იწყო
დღეს ეს დაყოფა სამეფოს ელტვის,
ყველას სურს მეფედ იწოდებოდეს
ამდენი მეფე, მეფე არ არის, ბევრიც უძახო, ბევრიც ხდებოდეს
მე გაგახსენებთ წარსულის ამბავს
და ვინც ამ ნათქვამს აზრებს მიაბავს,
შეძლებს, ქვეყანას რომ ემსახუროს, გამოარჩიოს სასარგებლო ავს
იყო დრო, როცა ებრაელობა, ქვეყნად ყველაზე ძლიერი იყო
მაგრამ დაეცა, როცა სამეფო ორად, ოთხად და ათად გაიყო
ჩვენც დაყოფილნი დავალთ მიწაზე,
თუ არ ვუწამლეთ, ასე დარჩება
მტერი ვერაგი ჩაგვყლაპავს ყველას,
ვინ იმკითხაოს, ვინ გადარჩება
ვასრულებ, მხოლოდ იმედს გამოვთქვამ,
თუ ერის შვილებს უნდათ ერთობა
უარის მთქმელი მათხოვარია, ხო-თი იწყება ყველას ღმერთობა

ჭაბუა ორბელიანი

ბატონიშვილის სიტყვა მეამა. სიტყვაშიცა ჩანს მამულიშვილი
დავლოცავ დედას, დავლოცავ მამას,
ვინც მოგვივლინა ასეთი შვილი
მე ბევრს არ ვიტყვი, გიორგის შემდეგ სალაპარაკო არაფერია

ცალკე, ვაუკაციც ცოდვაა ქვეყნად, ამირანს მარტოს არ უმღერია
გავიმეორებ, ბატონ დედოფალს, როცა მიბრძანა, რაც მოვახსენე
ვერ ვუღალატებ მეფეს, სამეფოს და ვერ გავხდები ფუჭად მოენე
აზრს ვერ შევიცვლი, ქვეყნის სიყვარულს აქ ვერ მოვრჩები,
თან ჩავიყოლებ
ჯანს აქ დავხარჯავ დაუნანებლად,
სულს არ გავტანჯავ და ავიყროლებ
ვჭგონებ იქმნება რამ საეშმაკო, ზოგს უკულმართი გულს ახატია
ბოროტ კაცთათვის ქვეყნის დაქცევა,
როგორც მრევლისთვის წმინდა ხატია
არ დაიშლიან ჭორვას და ფურჩვნას,
დროს მონახავენ, შემოგვიტევენ
ნებას თუ მივცემთ, გავათამამებთ,
ერთგულთ სასუნთქსაც არ დაგვიტევენ
მაგრამ თუ შევძლებთ, გავძლიერდებით,
გადაიშლება ბოროტის კვალი
არ დაგვჭირდება მათი ძიება,
ახლოთ განჩხრეკა, შორით თვალთვალი
საჭირო არი მხოლოდ ხო ვუთხრათ, სამშობლო ჩვენი ვაერთიანოთ
ძალა შევაჭდოთ, ფეხზე დავდგებით. არა-თი რატომ დავაზიანოთ

იოანე მუსრან—ბატონი

კარგი სურვილი საქმე არ არი,
მათ შორისა ძევს უსაზღვრო ზღვარი
კარს მოგვდგომია თურქი, სპარსელი,
მოანგრევს ჯებირს ღვარცოფის ღვარი
რუსეთი გვყავდა თითქო იმედად, ახლა რუსეთიც აღარსად არი
ასეთ დროს თქვენი სურვილ-ქადილი
ჩამესმის როგორც ბალღებს ზღაპარი

დავით სარდალი

რაც ჭაბუამ თქვა, კიდეც მენიშნა, ეშმაკეული არ მოისვენებს –
თავის მოჭორილს, სხვას დააბრალებს,
გადაგვაყოლებს მფურჩნავთა ენებს
გარკვევით ითქვა რაც ყველამ ვიცით,
არ ღირს ზედმეტად განმეორება

სამშობლო თუ მე, მე თუ სამშობლო,
ამას სჭირდება ხმების სწორება
სხვა ყველაფერი მონაგონია, მიზეზ-მიზეზი არ დაილევა
თუ ვიხმაურეთ და ვერ შევჭერდით,
დაქსაქსულობა ვერ დაიძლევა.
სამშობლო გველის, იმერ-ამერში გაჩენილია დიდი იმედი
ვინძლო პირადულს ზურგი ვაქციოთ,
საერთო შევქმნათ გადასახადი
ვიცით სპარსეთი რასა გთავაზობს,
თურქეთს რა უნდა და რას გვპირდება
რუსეთმა „ტრაქტატს“ ზურგი აქცია,
და ფეხზე დგომა გაგვიძვირდება
თუ არ ჩავკიდეთ ერთმანეთს ხელი,
არ ვაძლიერეთ ჩვენი სოფელი
მტერი გვიყელებს ჩასაფრებული,
გაგვიმწარდება წუთისოფელი

ქაისოსრო წერეთელი

ჩვენ, იმერლებმა, ყველას გისმინეთ და ხმა არავის ამოგვიღია
რა არი ბევრი სალაპარაკო, გული ძმობისთვის თუ არი ღია
ჩვენ აქ მოვსულვართ არა სავაჭროდ,
რათა გულები ჩვენი შევაჭდოთ
პირდაპირა თქვით თუ არ გინდივართ,
არ მიგაჩნივართ საქმეში სანდოთ
მე ასე ვიტყვი: გუშინ, გუშინს წინ აქ ბევრი აზრი გავიზიარეთ
ვინ რა გვისურვა, რა მოინდომა, რა გვსურდა, აქეთ რაზე ვიარეთ
შევაჯამეთ და დავკვალიანდით, და ჩვენი აზრი ასეთი არი
ქართლსა და კახეთს თუ სურს ერთობა,
აქა ვართ, ერთად ჩამოვკრათ ზარი
თუ არას გვეტყვით, ძმობის ღალატის
ცოდვა იკისრეთ და გაიტანეთ
ნუ დაგვაბრალებთ ისე და ასე,
ერთობის გრძნობას თქვენ თავად ავნეთ
მაშინ გვექნება იმისი ნება, აქეთ გიწოდოთ ძმები თავნება

რომელთაც რაღაც-რაღაც მიზეზით, ორივე მხარეს აწიეს ვნება
და უფრო მეტი, მაშინ ჩვენ თვითონ,
ვიტყვით ვინ გვინდა რომ მეფედ გვყავდეს
თვითონ განვსაზღვრავთ რა მოვიქმედოთ,
რომ იმერეთი კვლავაც აყვავდეს
მაშინ სამდურავს ნურავინ გვეტყვის,
არ გვეშინია სიტყვების სეტყვის
მწარე განსჯისას არ დაივიწყოთ, ვინ უღალატა, როდისა და ვის

ᲛᲔᲨᲕᲔ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ

სამასი ომი გადამიხდია, სამასჯერ მაინც სიკვდილი ვცანი
უკან არასდროს დამიხევია, სამშობლო იყო ჩემი მიზანი
როცა ავღანეთს სისხლი ვადინე, ინდოს ვიბრძოლე საკმაო ხანი
ხმალს მივიქნევდი, ხმალმაც იცოდა, სამშობლო არი ჩემი მიზანი
თავრიზს დავეცი, სპარსელთ ხანები, დავახარისხე მგვანი-უგვანი
იქით რა მრჯიდა, აქეთ მტკიოდა, სამშობლო იყო ჩემი მიზანი
სომხეთი, განჯა შემოვიერთე, ნახიჭევანის მიწები ვხანი
რაც იქით ვთესე, აქეთ მოვიმკე, სამშობლო იყო ჩემი მიზანი
დღეს ამ სამშობლოს შვილებს შეგხარით,
რისთვის ვიბრძოდი, მასწავლით აქეთ
კაცს ხომ საქმენი გამოაჩენენ, სიტყვით აგინეთ და გინდა აქეთ
არვინ იფიქროს, კაცი ბერდება და ვეღარ არჩევს ჩემი და ჩვენი
სამშობლოსათვის ერთიანდება, ცაკლე ნაპოვნი, ერთად ნაშენი
მე ჩემი კალო გამილეწია, რაც შევიძელი, არი შედეგი
ხელი მოიღეთ, მეტი შესძელით, ვინც უნდა იყოს, არი შემდეგი
დარბაზობაზე რაც თქვენგან ითქვა, და რაც არ ითქვა, ისიც გავიგე
ვერ შეარყიეთ ციხის კედელი, რომელიც ჩემთვის, მე-ვე ავიგე
სამწუხაროა, არ არის ძალა, რომელიც გარეთ გამომიშვებდა
შვებას მომგვრიდა,
ჟამს დაუნდობელს მომაშორებდა, დაამარცხებდა
მე შემიძლია დღეს მხოლოდ ერთი,
რასაც შეგპირდით, ის აღვასრულოთ
ბევრის მსურველი, ცოტას ვჯერდები,
ვახ შენს ერეკლეს, თავო ბედკრულო

1790 წ. კიდევ ერთხელ ჩაიშალა საქართველოს გაერთიანების მცდელობა. ქართლ-კახეთის სამეფოს იმერეთთან გაერთიანებით საფუძველი ჩაეყარებოდა დანარჩენი კუთხეების შემოერთების საქმეს. არა და გაერთიანების აუცილებლობას გრძნობდა ყველა და შესაბამისი ნაბიჯებიც იდგმებოდა. ერეკლე II უარმა კი სავალალო შედეგები მიიტანა. ამით ყველაზე მეტად რუსეთმა ისარგებლა. მან სათითაოდ, პრაქტიკულად წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა საქართველოს სამეფო-სამთავროები.

სამწუხაროდ, 1790 წ. დარეჯან დედოფლის „დასმა“ ავჯობა ერეკლესას, შეთანხმების ჩაშლის მოთავე დარეჯანი ამით არ დაკმაყოფილდა. მან აიძულა ერეკლე ქართლ-კახეთი მისი შვილებისათვის დაენაწილებდაეკანონებინა. ამას ემატებოდა ტახტის დაკავების წესის შეცვლა. ტრადიციულად ტახტს უფროსი ძე იკავებდა. დარეჯანის პროექტით, ტახტზე ოჯახში უფროსი უნდა გამეფებულიყო. უფროსი ძე, შემდეგ მომდევნო და ა.შ. დარეჯანი ამითაც არ დაკმაყოფილდა. მან შვილები აუჯანყა მამას. არც ერთი მათგანი მხარში არ დაუდგა მოხუცს 1795 წ. ომის დროს. გიორგის ეს არ გამოვუვიდოდა, რადგან აღა მაჰმად ხანმა მისი საგამგეო ბორჩალო და ყაზახის სახანოს ნაწილი მანამდე დაიკავა. თავად გიორგის ავადმყოფობის გამო აქტიურობა არ შეეძლო. თავი მისმა ძემ გამოიჩინა. რაც შეეხება მის სასახლეს, იგი განჯის მფლობელმა ჯავათ ხანმა გადაარჩინა ძველი მეგობრობის გამო. ერეკლე პრაქტიკულად მარტო შეხვდა უბედურებას, რომელიც აღა მაჰმად ხანმა რუსეთთან შეთანხმებით მოამზადა. რუსეთი მხოლოდ შემოსევის შემდეგ ამოქმედდა და პრაქტიკულად განადგურებული სამეფო ადვილად მოაქცია გავლენის ქვეშ.

შეცდომას შეცდომა მოსდევდა. „გეორგიევსკის“ ტრაქტატი რუსეთმა გააუქმა, როცა საქართველოდან ჯარი გაიყვანა და სპარსეთს ასპარეზი გაუთავისუფლა. არ იქნა გამოყენებული თურქეთის წინადადება საქართველოს გაერთიანებაში დახმარებისა და ლეკების თარეშის აღკვეთის შესახებ თუ საქართველო რუსეთს არ შემოუშვებდა და ა.შ.

ბევრი რამ იყო დაკავშირებული 1790 წ. გაერთიანების საკითხთან. ამ შეცდომის კასკადს, საბოლოოდ შეიძლება ერთი შეფასება მიეცეს — დიდი ცოდვა. ცოდვა ერის წინაშე მეფისა, მისი ოჯახისა, დიდებულთა ერთი დასისა და ა.შ.

ცოდვის განეიტრალება სამეფო კარმა იმით სცადა, რომ ოთხი ათასიანი ჯარი იოანე მუხრან-ბატონის სარდლობით, ქიზიყის მოურავის ზაქარია ანდრონიკაშვილის, ჯარდან ჩოლოყაშვილის და რაც მთავარია, დარეჯან დედოფლის დასის აზრით, მეფობის უეჭველი კანდიდატის იულონ ბატონიშვილის მონაწილეობით, გადავიდა დასავლეთ საქართველოში და სოლომონ II ხელმეორედ გამეფდა. ჩემი და ჩვენი, სახელმწიფო საქმეში კვლავ აირია.

აქვე, როგორც დამატება, ერთ მცირე საკითხზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: 1786 წ. 16 აგვისტოს გიორგი ბატონიშვილი ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე ესტუმრა დუშეთის რაიონს. აქედან მხლებლებთან ერთად ფშავ-ხევსურეთი მოინახულა-მოილოცა. იქიდან ქისტებს ესტუმრა. უკან თიანეთი ერწოს გზით წამოსულმა (ერწოს მიდამოებში მას თავადმა ტუსიშვილმა უმასპინძლა) მეფე არჩილ II –ს მიერ აშენებული ბოკოწნის (ბოკორნის) მონასტერი მოილოცა და შემდეგ ბულაჩაურში გავლით დაბრუნდა.

საფიქრებელია რომ VIII ს. ეს ძეგლი უნდა იყოს ახლანდელი დავათის ღვთისმშობლის ეკლესია, რესტავრირებული ადგილობრივი მაცხოვრებლის, დიდი მორწმუნისა და მოღვაწის გივი ოდიშელიძის მიერ. სწორედ ამ ეკლესიასთან აღმოაჩინეს ცნობილი „დავითის სტულა“, III ს. დამწერლობის ნიმუში (იხ. რამაზ პატარიძის გამოკვლევა). თავად ძეგლი და მისი ისტორია, ცალკე შესწავლას საჭიროებს.

ცეზარი
(ცხელი ზამთარი _ 2013)

18 იანვარი

ცეზარი

ვინ ოხერია, არ მასვენებენ. დავსვი წერტილი. რაც იყო, იყო რამდენს ავიტან, ბოლო არ უჩანს, რასაც ვუყურებ ორად გაიყო ხო, დამაცადეთ. „კურიერს“ ვუსმენ, ეგებ ახლი რამე გავიგო „სპეციალური რეპორტაჟიო“, რომელი არის, არ ჩანს ურიგო პრეზიდენტია? არა, რას ამბობს? ირაკლიაო ღარიბაშვილი აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორია, დიდი აქვს წვლილი ირაკლი? კაცს ეს რა დამართია, ჭაღარა როგორ გაშავებულა ზომითაც თითქოს შემცირებულა, მეტყველებითაც დაშავებულა რას ამბობს? რაო? ფარულ ჩანაწერს... ფარულ ჩანაწერს...

პრეზიდენტი

„ჰელოუ გიგი“

თბილისის მერი

„მისტერ პრეზიდენტ, სავსემ ჰელოუ“,

ჩემს სამეფოში გათენებულა

თორმეტი ხდება. პარასკევია. სამუშაო დღე არ დაწყებულა?

პრეზიდენტი

რა დროს ეგ არის, გუშინ შევთანხმდით,

აეროპორტში გველოდებიან

მუდმივ მზად ყოფნა მათი ვალია, ჩემი ლოდინით კი არ ცდებიან
სხვაა შეიხი. არაბთა შეიხს. რასაც შევპირდი, ვერ ვალოდინებ
ინვესტორია შეუდარები. დოლართა წყაროს მისგან ვადინებ

ᲝᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ

ჩვენ რა არაბეთს მივემგზავრებით?

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

გიგი რა მოგდის, ისუნთქე შვებით
ჩავალთ, ჩვენ საქმეს უცებ გავჩარხავთ,
ტყუილი შრომით ხომ არ დავშვრებით
ორ-სამ დღეს ისეთ დროს გავატარებთ,
სიცოცხლეში არ დაგავიწყდება
ზოგი ჭირი რომ მარგებელია, ხომ გაგიგია, ასედაც ხდება

ᲝᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ

კი მაგრამ, რატომ ასე სასწრაფოდ, ბაქოს* მერე არ დამისვენია
რაც რთული იყო, იქ მოვაგვარე, გაზის ტარიფი ისევ ჩვენია
გამომივიდნენ ქვეყნის მხსნელები, დაპირებებით ეღრძოთ ენები
ქალაქის მერი ვარ უგულავა, მაგათ პატარად რად ვეჩვენები

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

შენ მაგარი ხარ, შენი მოქცევით,
რაც ბაქოში ჰქმენ, ვარ კმაყოფილი
მაგრამ მხოლოდ შენ ხომ არ იყავი,
ნიკოლეიშვლს არ უძევს წვლილი?
რამაზი მუდამ იყო ერთგული, არცა მგონია გზას გადუხვიოს
ჩვენ გვიღალატოს, ოცნებას** აჰყვეს,
აქ მიგვატოვოს, იქით ეწვიოს

ᲝᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ

ფიქრი არ არის. ჩვენი პარტია მონოლითივით არის შეკრული

---

* პრემიერ-მინისტრი აზერბაიჯანში ვიზიტისას სხვა საკითხებთან ერთად გაზის ტარიფის საკითხებსაც განიხილავდა. ბაქოში ჩასვლა მას გიგი უგულავამ და რამაზ ნიკოლეიშვილმა დაასწრეს და პრემიერის მცდელობა უშედეგო გამოდგა.

** იგულისხმება „ქართული ოცნების“ კოალიცია.

ჩვენ ღალატს ვინმე თუ განიზრახავს,
სანამ ბიჯს გადგავს, გახდება კრული
თქვენი მცდელობით და ბელადობით, ისეთი არი მთელი სისტემა
ერთის მოგება დანარჩენებს რგებთ, ერთის წაგება სხვისაა გვემა

პრეზიდენტი

სწორედ შენიშნე. ახლა კი სულ სხვა, ამოცანაა გადასაწყვეტი
ჯოჯოები გვყავს დასამარცხები, პრემიერი ჰყავთ გიჟი და ცეტი
რამდენჯერ ვუთხარ, მოდი შევთანხმდეთ
და დავივიწყოთ რაც ადრე იყო
რასაც იშოვი, რასაც იპოვი, ვალდებული ხარ შუა გამიყო
უარი მითხრა, მაგისი დედაც, ხედავ, როგორი გახდა თავხედი
შევცდი ქვეყნიდან არ გავაძევე, აქ დავუტოვე გადასახედი

თბილისის მერი

ძველზე ახალ წელს თითქოს შეთანხმდით,
სულ სიყვარულზე ილაპარაკა
პატიოსნება, სათნოებაო, როგორც ლოცვანი, ჩაარაკრაკა
ოთხი დღე არი მხოლოდ გასული, ოთხ დღეში განა რა შეიცვალა
რატომ გავიქცეთ არაბეთისკენ,
თავდაცვისათვის არა გვაქვს ძალა?

პრეზიდენტი

მე შენი მიკვირს, ისე იძახი, თითქოს მაგ ჯოჯოს სულაც არ იცნობ
სიტყვა-პასუხი არ შეეშლება, თავს მოგაწონებს და კიდეც იძმობ
მაგრამ რა უდევს იმ ბოროტ გულში, ან რა აზრები უტრიალებენ
თვით ახლობლებიც ვერ მიხვდებიან,
მეოცნებენიც მიტომ უძლებენ
სხვამ თუ არ იცის, მე კარგად ვიცი, თუ სიყვარულზე ალაპარაკდა
ნიშნავს, რაღაცა აქვს ჩანაფიქრი,
რაც იყო, მორჩა, საქმე გატრაკდა,
პატრიარქთან რომ პირისპირ შევხვდით,
სხვა გზა არ იყო, უნდა მეთმინა
ჩუმად ვიყავი და მაინც იგრძნეს, ორივეს ერთად ნახვა მეწყინა

მაგათი დედაც, საქმეს მივხედოთ,
ნაკლები შეგვხვდეს ეგებ ზარალი
რაც გვიშოვია, სხვას რად დავუთმოთ,
უფალი გვაძლევს, არი ალალი

თბილისის მერი

იქნებ აქ დავრჩე. იქ არ გჭირდები. სჯობს შეიხს ცალკე ელაპარაკო
აქაურ ამბებს ისე გააცნობ, საქმე ეგონოს რამ საარაკო
ჰარამხანაშიც, თუ გამოვიდა, ზედმეტი მოწმე რაში გჭირდება
თუ აქედანაც გაიყოლიებ, დროსტარება არ გაგიჭირდება
ამასობაში მე აქ ვიზრუნებ, რომ გავიმყარო პოზიციები
„ვაუჩერებსაც“* ჩამოვარიგებ, ბრიყვებს ვეგონოთ ტკბილი ძიები

პრეზიდენტი

სწორედ ვერ მსჯელობ, სანამ რას იტყვი, უნდა ასწონო სიტუაცია
მეოცნებენი სკამებს გვართმევენ. სკამი არც ერთმა არ გააცია
შენი დროც მოვა. რაც გიშოვია, უკან უწყალოდ ამოიღებენ
არ დაგინდობენ, შენ დასაცავად, უბრალოდ ხმასაც არ გაიღებენ
შენ რაც იშოვე, ჩემით იშოვე, მშიერი იყავ, როცა მიპოვე
ქალაქის მერად წამოგასკუპე, მილიონების სისხლი გაწოვე
ახლა შენ იცი, იცვალნენ დრონი,
წყალი შეგიდგა შენც ცოტა მგონი
თავს არ უშველი, დღეს დაგაწევენ, არავინ იყო მსგავსის გამგონი

თბილისის მერი

ეგ არ მოხდება. ვარ არჩეული, თვით პრემიერი ვერ შემეხება
ორი წელი მაქვს ვადის გასვლამდე. გავიტან, როგორც მომეხერხება
და ამას გარდა, საახალწლოდ ხომ, მიმართვა იყო გავრცელებული
პირად ცხოვრების ხელ უხლებლობა, იყო ხმამაღლა გაცხადებული
ამ აზრს დავიცავ, ვის ეკითხება, რაც მიშოვია, არი პირადი
ძალა მაქვს, ძალით გავატიალო, ავის მოსურნე, ცერად მზირადი

პრეზიდენტი

თავს გაგივიდა ვატყობ მერობა, არ დაივიწყო ჩემი წყალობა

* ქალაქის მერიამ თბილისელების ყოველ ოჯახს 100-ლარიანი ვაუჩერი მისცა დენის, წყლისა და ნაგვის გადასახადებისათვის.

მე აღაგზევეთ, მე ავაყვავე, ზოგის კაცობა, ზოგის ქალობა
ახლა, როდესაც გეუბენბიან უნდა წამომყვე, წამომყვე უნდა
ვთქვი, გადავწყვიტე, საჭირო არი, აქაურობა დაიქცეს თუნდა
ნუთუ ვერ ხვდები, მე ამ ჯოჯოებს ამინისტია რომ შევთავაზე
უნდა შევიძლო მყარად დამალა,
წლების მანძილზე ვეწვალე რაზე
თუ არ ეცდები, შენს მილიონებს, რომელიც შრომით გიგროვებია
უმუშევრები მიითვისებენ, სხვის ხარჯზე ყოფნას ნაჩვევებია
ამინისტია* რომ შევთავაზე, ხედავ? მაშინვე მითხრეს უარი
მსურდა დამეცვა თქვენი ნაშოვნი, არ გადაყლაპეს ეს სატყუარი
ახლა რაღა ვქნათ? უცხო მხარეში,
სჯობს მონაგარი რომ გადავმალოთ
აქ თუ დავტოვებთ, ბოლოს მოგვიწევს,
ჩამორთმეული წლობითა ვთვალოთ

თბილისის მერი

სად მაქვს იმდენი, სად შეგედრები, ამ საცოდავი მილიონებით.
მაგრამ რაც არი, ხომ ჩემი არი,
უმუშვებრებს რად დავუთმო ნებით?
არც ისე მინდა, აქ მიშოვნია. საზღვრების მიღმა რატომ დავმალო
უკან როდის ღა ჩამოვიტანო. ან ხეტიალით რად დავიღალო?
ანდა, ვინ იცის, რამდენი რამე, რამდენზე არი გაფორმებული
გამოვაჩინო, ფულად ვაქციო, სხვას მივაბარო დახვავებული?
აქ არ მინდობენ, იქ დამინდობენ? ვინ მომცეს ამის მტკიცე პირობა
აღმომიჩენენ, ჩამომართმევენ, შემრჩება ხელში ფუჭი ვირობა
ეგება სჯობდეს ოქროდ ვაქციო, აქ სადმე დავფლა და ვუდარაჯო
ისევ ღარიბი იქნებ ვეგონო, იქნებ გადავრჩე, არ დავისაჯო?

პრეზიდენტი

გამკვირვებია შენი აზრები, შოვნა შეიძელ, შენახვა ვერა
შენსას მიხედე, სხვისას რას ითვლი,
ჩემ ქონებისკენ გაგირბის მზერა

* პრეზიდენტის წინადადება იყო ეკონომიკური ამნისტიის გამოცხადება. 2013 წლამდე ვისაც რა ჰქონდა ნაშოვნ-მოპარული, ჩამოეწერებოდათ. მისი წინადადება უარყოფილი იქნა.

მე თუ მაქვს მეტი, მეტი ვიშრომე,
ქვეყნის ტვირთი მაქვს აკიდბული
ისიც მეყოფა, ოქრუაშვილმა, დამაბეზღა და მომიკლა გული
იცი ირაკლი კაცად ვაქციე იუსტიციის სამინისტროში
დაჭერისგანაც გადავარჩინე, როცა უზომოდ დათვრა „ბისტროში“
ვეღარ მოზომა, მილიციელებს, გაუდიდკაცდა, აუყირავდა
გადაავიწყდა სოფლის წარსული, სად გაიზარდა და რასა ჰგავდა
ჩემით იშოვა მილიონები, და მერე აქეთ შემომიბრუნდა
რაც ხელთ მოიგდო ვერ დაუთვლია,
ჩემი ქონების დათვლა მოუნდა
ტელევიზიით გამოაცხადა, ამდენი აქვსო მილიარდები
სხვის ნამუშევარს ცერად რად უცქერ,
ყველას თავისი დააქვს დარდები
ახლაც ასეა, თავად უყურებ, მთელი ქვეყანა არეულია
ჩემი პარტია, ქვეყნის იმედი, არჩევნების გზით წაქცეულია
გავერიდები, იქნებ ჩაწყნარდეს
და კვლავ მშველელად მოვევლინები
სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობია, თავდადებული* ხომ არ ვიქნები

თბილისის მერი

მივხვდი, ხვალ ზევით ოცი რიცხვია,
პრეზიდენტობის ბოლო დღე არი
უსაქმურები იკრიბებიან, სასახლის ირგვლივ დამდგარა ჯარი
ქალაქის მერი ვალდებული ვარ, აქ თუ ვიქნები, რამე ვიღონო
როცა არავინ მემორჩილება, რა შემიძლია რა მოვიგონო?
მეორე მხრივ კი საზღვრების გარეთ,
კარგად მიცნობენ, მერად ვითვლები
პატივსა მცემენ, მეც შევიფერებ,
უცხოთა თვალში რად შევიცვლები
თან თუ დაგვჭირდა დიდხანს დარჩენა,
პრეზიდენტობის ვადა გავიდა
მერობის ვადა ხომ ძალაშია, არ დაგვჭირდება „ვიზა“ თავიდან
ამასობაში კიდეც ჩავიცვი, წამოსასვლელად მოვემზადები

* თავდადებული მეფე დემეტრე, რომელმაც თავი სამშობლოს შესწირა.

მაგრამ მერიას რა დავუბარო, რაზე მივდივარ, რა მაქვს ვადები?

პრეზიდენტი

უსუსური ხარ, როდემდე გდიო, გზარდო, გასწავლო, გელაპარაკო
უნდა შეიძლო კონცენტრირება, რომ ტყუილი თქვა, რამ საარაკო
დაურეკე და უთხარი ასე, ხაჩირიშვილი, ახვლედიანი
რომელიც შეგხვდეს დაუბარებდე:
ზრუნავ არ იყოს ბოლოს გვიანი
თბილისის შიგნით მშენებლობები, აღარ შენდება, გაყინულია
ამ საქმისათვის, ჯოჯოებისგან, თანხის მიღების შანსი ნულია
და ნახე ახლა გამოსავალი, ემირატებში ფულს გპირდებიან
თუ პრეზიდენტი თავდებად მიგყავს,
კრედიტებს აღარ დაგზარდებიან
მეც რაღა მექნა, ქვეყნის გულისთვის,
მერიის თხოვნა გავიზიარე
თუ კი სიკეთეს დამინახავენ, თბილისელების გამო ვიარე
ინვესტიციებს ვთხოვთ ემირატებს, ჩვენი არაა რამე მოგება
თუ მიხვდებიან, დაგვიფასებენ, სიკეთეს უნდა კარგი გაგება
ნუ დააყოვნებ, არ მიყვარს როცა ხელქვეითები მალოდინებენ
უჩემოდ მაინც არაფრად ღირან,
უჩემოდ ქვეყნად ვერას შეძლებენ.

/პრეზიდენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია, მოქალაქეთა შეკრება/

მიხეილ ანდღულაძე*

ერთსულოვნება გამოვიჩინეთ, ბინაში ერთიც არ დავარჩინეთ«
ვიბრძოლეთ სიტყვით, ვიბრძოლეთ ძალით,
შვილები დავთმეთ და ვერ ვარჩინეთ
ვიარეთ მგლურად, გვეგონა ადრე და თურმე მაინც დავაგვიანეთ
ეს ლოზუნგები, მასთან ცოცხები, დავწვით ქუჩები ვანაგვიანეთ
თურმე რად გინდა დიდი მცდელობა,
გაგვიგო, გაჭქრა და გაგვერიდა

* საზოგადოება „ერთსულოვნების“ თავმჯდომარე.

სასახლის კარი გამოიკეტა და რომ გვეგონა ქედს მოიხრიდა
თვითმფრინავიდან თუ გადმოგვყურებს,
ჩვენს საქციელზე გაეცინება
ჩვენ ვერ ვივარგეთ, ჩვენი ბრალია, ასეთი იყო უფალის ნება

ᲔᲚᲝᲠ ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ*

ვადა გაუდის პრეზიდენტობის, ველარ დაიცავს კანონის ძალა
ცხრა წელი გვეჯდა თავზე ბატონად და ბერკეტები გამოეცალა
ხვალიდან უკვე მოქალაქეა, ხვალიდან ჩვენში ხდება რიგითი
გზა გაუგნია, უნდა ვიფიქროთ, მოსაბრუნები ჩავკეტოთ რითი
და ამას გარდა, იმპიჩმენტისთვის, შექმნილი არი ყველა პირობა
მოვითხოვოთ და დავაკანონოთ, გამოვაჩინოთ ჩვენი გმირობა
სასახლის კარებს კლიტე დავადოთ
და დავაყენოთ ირგვლივ მცველები
ცოცხით გავგაოთ მისი ხსენება, დავიკაპიწოთ მისთვის ხელები
კარვები დავდგათ, მომხრეებს ვთხოვოთ,
დასხდნენ, დაიწყონ შიგ შიმშილობა
ერთხმად ვიყვიროთ, კიდეც ვიგინოთ, ისე,
არ აჩნდეს ჭკვა აშლილობა
მე კი და ჩემი მომხრე ბიჭები, პროვოკატორებს ჩავუსაფრდებით
არ დავანებებთ მიტინგის დაშლას,
წინ აღვუდგებით, არ დავნებდებით

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲭᲧᲝᲘᲫᲔ**

დავაგვიანეთ. სულ ვიძახოდი, უნდა დაგვეწყო ბრძოლდა თავიდან
სანამ საცოდავ გეგმებს ვაწყობდით,
დრო გამონახა, სადღაც წავიდა
ახლა რაღა ვქნათ, ვიდგეთ ღობესთან,
რკინებს შევძახოთ და დავემუქროთ?
„პირველი ლედი“*** გამოვიყვანოთ, ვუთხრათ,
რად დარჩა თბილისში უქმროდ?
ეს არ ივარგებს, უმჯობესია, გაქცევა ყველას გავაგებინოთ

---

* ყოფილი პოლიტპატიმარი.
** ** „მეფე ერეკლე II“ საზოგადოების თავმჯდომარე.
*** პრეზიდენტის მეუღლე – სანდრა რულოვსი.

„ნაცებს“* მივუხტეთ, რაც უძარცვიათ,
პასუხი ვთხოვოთ და ვაგებინოთ
მე ჩემ ბიჭებს ვთხოვ მხარში დამიდგნენ,
დღეს მხარში დგომა დიდი ვალია
გამოვიკვლიოთ, ვის შეუთანხმდა, საით წავიდა, რა გზა გალია
გამოვადევნოთ უკან მდევრები, იქ მივაწვდინოთ მუქარის ხმები
რომ არ იფიქროს უკან ჩამოსვლა,
ვუთხარათ ნუ ცდილობ, ტყუილად შვრები

ᲛᲔᲚᲝᲠ ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ

დაგეთანხმები. თუ გაგვეპარა. ჩავთვალოთ,
თითქოს ჩვენით გავუშვით
რა გვჭირს გიჟების მოსაბრუნები,
დაბმული გვყავდა, ახლა აუშვით
მთავარი არი აღარ დაბრუნდეს, დარჩეს საითაც დილას წასულა
მსოფლიოს ვუთხრათ, ჩვენ კანონს ვიცავთ,
პრეზიდენტობის ვადა გასულა
კონსტიტუციას ჩვენ კი არ ვარღვევთ, პირიქით, ვიცავთ და ვეფერებით
ვცდილობთ წავშალოთ რაც ჩაგვიმატა,
შესწორებებით ათასფერებით

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲭᲧᲝᲜᲫᲔ

უცნაურია. კაცი, რომელიც აღმაშენებელს ეტოლებოდა
სხვა არც ერთ მეფეს ცალად არ სცნობდა,
თავდადებული ეცოდებოდა
რუსთველს ფიცავდა. ახალციხეში , შემოეხარჯა ორი სტრიქონი**
ილია მართლის კვალს მიჰყვებოდა, სურათი ჰქონდა მისი ნაქონი
სიზმარა იყო შეუდარები, და სიზმარივით ჩუმად წავიდა
დარჩა ლაზიკა ასაშენები, უნდა დავიწყოთ შექმნა თავიდან
რა კაცი იყო, როგორ დაგვტოვა,
როგორ უეცრად მოგვიკლა გული

---

* ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები.

** ახალციხეში პრეზიდენტმა თავი მოიწონა რუსთაველის ცოდნით, მაგრამ შ ეშალა და შერცხვა.

ის დაგვრჩენია გამოვიტიროთ, დავრჩით ბედისგან დაობლებული
ხვალ მცხეთას წავალთ, სვეტიცხოველთან,
რომ პარაკლისი გადავიხადოთ
ილიას ძეგლთან მიტინგს გავმართავთ,
საცინლად თავი არ გავიხადოთ
თემო ქორიძე, პეტრე მამრაძე,
შეგვთანხმდნენ, იქ მხარს დაგვიმშვენებენ
ცოტა სიტყვასაც შემოგვაწევენ, საბრძოლო გეგმებს აგვიშენებენ
დიდი აქვთ ამ მხრივ გამოცდილება,
თუმც დრო და ჟამი სწრაფად იცვლება
გადუტანიათ მრავალი ჭირი, ხელეწიფებათ ახლის გაძლება

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲐᲜᲓᲦᲣᲚᲐᲫᲔ

თუ თქვენი გუნდი წიწამურს მივა, იქ დაგჭირდებათ ჯიპი ან ნივა
მიხვალთ და ნახავთ ტანმაღალ კიბეს,
ქვების წინდები უწესოდ სცვივა
რომ არ დაშავდეთ კლდეზე მცოცავნი, თოკი წაიღეთ და წარაყინი
ვინც ზევით ავა, ის დაინახავს,
ძეგლების მცველებს ჰღრძობიათ ტვინი
და უფრო მეტად ტვინ ნაღრძობია,
ვინაც სახალხოდ ილიას ფიცავს
მისი ძეგლი კი არაფრად უღიროს,
მისკენ მისასვლელ გზასაც არ იცავს.

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲭᲧᲝᲘᲫᲔ

ორჯერ მივმართეთ თავად პრეზიდენტს,
ვთხოვეთ საქმეში დაგვხმარებოდა
რომ აღგვედგინა ძეგლის წინ კიბე, რომელიც გზაში გვეღობებოდა
ილია მართალს რად მიხედავდა, მისახედი აქვს სასახლის ხედი
რიყის მიდამო, ხიდი შუშისა, ავლაბარიდან გადასახედი
მოთხოვნილ საქმეს რა სჭირდებოდა,
კიბის აღდგენა, ძეგლის გაწმენდა
ვერ გაიმეტა ილიასათვის, მისი ფიქრები სხვაგვარად ფრენდა
ახლა რაღა ვქნათ? იმედად გვრჩება ივანიშვილი, დიდი ქართველი
იმდენი ძეგლი აღუდგენია, არავინაა მათი დამთვლელი

აქ ბევრი ხარჯი არ დასჭირდება,
სანაცვლოდ ვიტყვით, რაც სათქმელია
მიშას გავლანძღავ, ბიძინას ვაქებ, ენას სათქმელი არ დაელია
ასე შევთანხმდეთ, თქვენ აქ გამაგრდით,
საბრძოლო ბანაკს ნუ მიატოვებთ
ჩვენ წიწამურის გზას გადავკეტავთ,
თუ გამოჩნდება, იქვე დავტოვებთ.

/თვითმფრინავში/

პრეზიდენტი

რა ჭკვიანი ვარ. მომიტინგეებს ორიოდ წუთით გამოვასწარი
შენ ფეხს ითრევდი. რატომ გგონია,. არ მოგადგება მათი ამქარი?
ტყუილად ფიქრობ, კანონი გიცავს, მერი ხარ, არას დაგიშავებენ
აკაკის* ნახე რა დღე აყენეს, შენც ლამაზ ცხვირ-პირს გაგიშავებენ
მერე ისევ მე უნდა გიშველო,
პრეზიდენიტი ვარ, ვალდებული ვარ
სანამ გჭირდები, კიდეც შემაქებ,
ისე გახვრეტილ შაურად ვღირვარ

თბილისის მერი

ასე რად ამბობ. აკაკის მადრი, ლოთს და დებოშირს თავაწყვეტილსა
როცა ბრაზდება, არავის ინდობს,
ერთ-ურთში ურევს დედას და შვილსა
პარლამენტშიაც უნახავთ მთვრალი,
სულ ერთი იყო კაცი თუ ქალი
მამრაძეს სცემა, იმნაიშვილსაც ჩალურჯებული დაჭქონდა თვალი

პრეზიდენტი

მამრაძეს სცემა, მერე ამით ხომ, იქ ერთგულება გამოიჩინა
ის ჟურნალისტიც, ენა უსწრებდა და დაუსჯელი არ დაარჩინა
ამიტომ იყო მე ერთგულება, დავუფასე და გზა გავუხსენი
ვინცა გმფარველობს, მას ემსახურო,
რატომ გგონია ნაკლი და სენი?

---

* პარლამენტის წევრი აკაკი ბობოხიძე. ზუგდიდში მას კვერცხი ესროლეს.

თბილისის მერი

მამრაძის ცემა რა გმირობაა, თანაც იცი რომ არ გიპასუხებს
არ გაპატიებს, მაგრამ იყურებს, სასამართლოსაც არ შეაწუხებს
იმნაიშვილიც ჟურნალისტია, პროფესიულად აიდგა ენა
ვერ შეუბრუნა აკაკის ხელი, დეპუტატს შერჩა, მსახურის ცემა
ამ ჩხუბს გმირობად არ ჩაუთვლიდი, გამომივიდა ეგ „დედ ჰასანი“*
ჩვეულებრივი მედროვე არი, და იბოგინებს საკმაო ხანი

პრეზიდენტი

ეგ მეც გავიგე. გუშინწინ თურმე, მოსკოვში, სადღაც ჩაუცხრილიათ
რამდენიც ჰქონდეთ ავტორიტეტი,
ქურდებს ქურდები მაინცა ჰქვიათ
ისიც მიამბეს, ქურთი ყოფილა, კუკიაზეა** თურმე გაზრდილი
რაც გიწერია, ის არ აგცდება, რამდენიც გინდა იყავი ფრთხილი

თბილისის მერი

მართალი უთქვამთ, იეზიდია*** აქედან იქით არი წასული
კუკიაზე აქვს ადგმული ფეხი, თბილისი არი მისი წარსული
ასე ამბობენ, აისორები, ქურთები, მისგან აღზევებულან
რომელიც არი რუსეთში შავი, აქედან ყველა მასთან წასულან
კალაშოვი ხომ ჩენ ჩავსვით შაქრო, ავტორიტეტი მისგან ქებული
იქ შოულობდა, აქ ხარჯავდა, ამიტომ იყო დაფასებული
„დედ ჰასანს“ თურმე ანდერძად ჰქონდა,
რომ დაეკრძალათ მშობლების გვერდით
მითხრეს და მთხოვეს ნება მიმეცა,
რადგან იცავენ მის სურვილს მკერდით

პრეზიდენტი

მერე, რა ჰქენი, მიეცი ნება? და არა მკითხე საქმეზე რჩევა?
ვატყობ დიდკაცობ, არ მეპუები, მოღალატური დაგყვება ჩვევა
ქურდები მიტომ ჩავსვი ციხეში,
გვერჩოდნენ, თანაც გვეცილებოდნენ

---

* რუსეთში კრიმინალური სამყაროს ლიდერი, რომელიც 16 იანვარს მოკლეს მოსკოვში.

** უბანი თბილისში.

*** იეზიდობა – ქურთების ნაწილის რელიგია. ხშირად იგი ეროვნებად მიაჩნიათ.

მაგათ გასაყოფს რასა ვშოულობთ, შოვნაში მაინც გვეჯიბრებოდნენ
რატომ გავხადოთ გასაყოფელი, სჯობს ჩვენი იყოს მთელი სოფელი
სასახლე ჩვენ და საკანი მათი, იტყვის ყოველი ჭკუათმყოფელი

თბილისის მერი

კვალში მოგყვები, ბრძოლის ტაქტიკა, კარგა ხანია, გავიზეპირე
ამიტომ იყო არ ვუთხარ „არა“, „ხოც“ არ ვუთხარი, გავინაპირე
ხო მეთქვა ამით კანონს ვარღვევდი,
არა არღვევდა კაცობის წესებს
მიცვალებულთან ვინაც იბრძოლებს,
არავინ უწყის სად დაიკვნესებს
დღეს ვიცი ქურთებს უარს ეტყვიან,
არ შესრულდება მათი სურვილი
შავებიც ბოღმით აღივსებიან, შურისძიების მოკლავთ წყურვილი
ჩვენ გავეცლებით, საერთო რისხვა „მეოცნებეებს“ მიუბრუნდება
წვეთი და წვეთი ზღვად გადიქცევა,
მერე ვინ იცის სად რა მოხდება

პრეზიდენტი

მომწონს ნათქვამი, ტაქტიკური სვლა,
არი მრავალ მხრივ მომგებიანი
ჩვენ თავსაც ვიცავთ და თავსაც ვესხმით,
ისე, არ შეგვხვდეს რამე ზიანი
მხოლოდ არ მესმის, თავათ ქურთები, რად ეყოფიან იეზიდობას
რწმენის მიხედვით ქურთთა გათიშვა,
ვერ წაადგება რიცხვით დიდობას
რაც არი არი, სად დამარხავენ, პასუხი ჩვენ არ მოგვეკითხება
ჩვენ მართლები ვართ ისეც და ასეც,
ამათ შეხვდებათ წყვევლა-ფურთხება.

თბილისის მერი

მიცვალებულთან ბრძოლა არ გვარგებს,
ისეც ბევრი გვყავს ჩასაფრებული
„ამინისტიით“ თუ გამოვიდნენ, თბილისში ყოფნა იქნება რთული

პრეზიდენტი

ვხედავ, მოტვინე, ქვეყნიდან გაცლა,
რამდენიმე დღით არი საჭირო
მომიტინგეებს გავერიდებით, ამაზე ფიქრით რად გავიჭიროთ
თან საზღვარს გარეთ ფინანსურ საქმეს,
გადაგვიწყვეტენ უმტკივნეულოდ
უფალმა არ ქნას დაგვჭირდეს გაცლა,
ხომ ვერ დავრჩებით წლობით უფულოდ

თბილისის მერი

მიზეზიც კარგად შერჩეულია, არაბეთისკენ ვისაც ულია
იცის ვაჭრობით ქალსაც იყიდი და უფულობაც დაძლეულია
ჩვენთან პირიქით „ოცნების“ *
ხალხმა უმუშევრობის რიგები ზარდა
ინვესტორებიც აღარსად ჩანან,
და რა გვიშველის გაქცევის გარდა?
რაც იყო, იყო. ოცი ათასი იმათ რიგებს რომ მიემატება
ციხიდან გარეთ გამოსულებიც, ვინ წარმოიდგენს აქ რა მოხდება

პრეზიდენტი

ათას ხუთასი მე შევიწყალე, ხუთი ათასი მაგათი არი
მშივრები მშიერ ხალხს დანამატი, დატრიალდება ცირკი მაგარი
ვერც გაამტყუნებ, არ მოიპარონ,
რა ქნან ცხოვრება ხომ მაინც უნდათ
იყაჩაღებენ, რასაც ნახავენ, დაეცემიან, გუნდათ და გუნდათ
ჩვენ გავმართლდებით, ხომ ვაფრთხილებდით,
„ამინისტია“ საზიანოა
ახლა დაიცვან თავის ქონება, რითიც შეძლებენ, ვისიც რა შნოა

თბილისის მერი

კრიმინოგენურ სიტუაციას რომ მაღლა ავწევთ, ეს ხომ ცხადია
დაეთხოვება მრავალი ქვეყნად, რაც უშოვია და აბადია
ბიზნესმენებიც აბუნტდებიან, თუმცა მშივრები არ დარჩებიან
ჩვენსავით ვინაც დროით დამალავს, მხოლოდ ისინი გადარჩებიან

* კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები.

პრეზიდენტობის ვადა თუ გადის, ჩემზე იქნება ახლა შეტევა
და რა იციან, კვალი წავშალე, ჩემს „დოსიეში“ რაც ჩაეტევა
ახლა დავიწყებ თვითონ შეტევას,
თავდასხმა არის კარგი თავდაცვა.
თანაც მივუშვებ, რომ ბევრმა შეძლოს,
მეტის მიღება და მეტის ძარცვა
საწყალ ხალხს ვინაც მე მაბარია, თბილისელები, ეს მათხოვრები
ას-ას ლარს ვჩუქნი, ოღონდ გაჩუმდნენ
და ნაწყენობის დაწვან დავთრები
ჩემს ხელქვეითებს, აპარატის ხალხს, უკვე მივეცი დიდი ხელფასი
თუ გაჭირდება გვიერთგულებენ, მოქრთამულების ავწიე ფასი
დაცვაც შევქმენი, უწყების დაცვა, პირად დაცვას რომ დაემატება
მადლიერები ძალას შეკრებენ, ვისაც „ოცნება“ არ ეხატება
ამასობაში მომიტინგენიც დაიღლებიან, დაიშლებიან
შეეშვებიან იმ მაღალ ნაყოფს,
რომელსაც ხტომით ვერ შეწვდებიან.

პრეზიდენტი

გარდა პირადი მოსაზრებისა, საერთო საქმეც თუ გავარიგეთ
ჩვენი მომხრენი მოიქცევიან, როგორც ვითხოვეთ და დავარიგეთ
ათი დღის წინ ვთქვი, რომ არაბულმა
„დაბი ჯგუფმა“ თქვა ჩვენზე უარი
ახლა შევხვდებით, რომ განაახლოს ეს დაპირება და სატყუარი
იმიტომ ვთქვი, რომ გამართლება ჰქონოდა ამ ჩვენს გამგზავრებასა
სინამდვილეში, მათ ვინ დაუწყებს, ცნობილ მიზეზთა მოძიებასა
ორი წელია კონტრაქტი შეწყდა, მე კი ისე ვთქვი, რომ არ ვიცოდი
პარლამენტის წინ რას აშენებდნენ,
ცოდნის წყურივლით მიმოვიდოდი
შენც კარგად იცი, ზედ რუსთაველზე ახალ შენების მივეცი ნება
თან ვუკარნახე როგორ გაეყოთ წილები ვისაც არ ეწყინება.
დედის მაგათმა, თურმე უნდოდათ, უწილოდ რამე ეშენებინათ
წილი მოვთხოვე, იუკადრისეს, არიფები ვართ ჩვენზე ეცინათ?

თბილისის მერი

სამი ედვარდსი, მათი უფროსი, კორუფციაში გამოქექილი

პროცენტზე როგორ ბედავდა კამათს, გაუმაძღარი,
გიჟი, დებილი

პრეზიდენტი

სანერვიულო არაფერია, რაც დაიკარგა, ის საწყენია
უფრო ლაზიკის ბედი მადარდებს, ამათგან როგორ დასათმენია
ანაკლიას და ენგურის ახლოს, დიდი ქალაქის ვიწყე შენება
სასტუმრო ჩავდგი, ჭაობებს მივდგი
და დავაშრობდი როგორც მენება
ახლა რაღა ვთქვა, ამ ჯოჯოებმა, შეწყვიტეს მისი დაფინანსება
მიტირებია ამათი დედა, ამათი ყოფა, ფუჭი არსება.

თბილისის მერი

ლაზიკის საქმემ, ასე იტყვიან, წყალი დალია ჩაილურისა
ტრაკი არ გვქონდა რაზე ვიწყებდით,
გადამდგარები მქმნელი ვართ რისა

პრეზიდენტი

არ გააგრძელო, როგორ წამოგცდა, ჩვენში არაა ჯერ გადამდგარი
შემოდგომამდე როგორმე გავძლებ, შენი მერობაც ჯერაა მყარი
ეს იმას ნიშნავს ბრძოლა გრძელდება, ასე იოლად არ დამთავრდება
ვინაც საკუთარ სისუსტეს იგრძნობს, ვადაზე ადრე გადაგორდება
შენ მარტო ნახე, რამდენ პრობლემას,
ჯერ არ მოსულან, გადაეყარნენ
ამ გამარჯვებას ბევრი ინანებს, ინატრებს ჭაობს სადაც ეყარნენ
მარტო ის რად ღირს მოსახლეობას რამდენ რამეზე მისცეს პირობა
რა შეუსრულეს, უკვე გამოჩნდა, უუნარობა, ქცევით ვირობა
ხელისუფლების წართმევა უნდათ და არა ყოფნით გამბედაობა
რა რით შეცვალონ, ვერ გაუგიათ, ვინ და ვინაა, მათი რაობა
ეს იმას ნიშნავს, შანსი დიდია, ერთი-მეორეს არ ენდობიან
თუ ბრძოლას იწყებ, ნუ შეჩერდები, ამ შეგონებას ვერა ხვდებიან

თბილისის მერი

ეგ თავისთავად, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ,
ლაზიკის საქმეს რა ეშველება
დაწყებულ საქმეს ვერ მივატოვებთ, არც უწერია მას გაგრძელება

პრეზიდენტი

შენ რა გადარდებს, ლაზიკის საქმე, ვით სატყუარა მოგონილია
ფულის მახეა. თან რუსებისთვის სანერვიულოდ „შეტენილია“
გახსოვს, შევპირდი მოსახლეობას
წართმეულ მხარის დაბრუნებასა
ცხინვალს და ჯავას, სოხუმს და გაგრას,
კავკასიის მთებს, სხვასა და სხვასა
რაც არ შემეძლო, რას გავაწყობდი,
მაგრამ პირობის დარღვევას ვგრძნობდი
პუტინს ვებრძოდი, ვერა ვჩაგრავდი,
მაგრამ არც ძალას რუსისას ვცნობდი
და მოვიგონე, ლაზიკა ერთ დროს, ანაპის მხარეს იყო ქალაქი
სკოლაში გვითხრეს. დავიმახსოვრე.
მიუღწეველზე გვქონდა ლაქ-ლაქი
ბავშვობის ნატვარა ამოტივტივდა. აზრმა გონება გაასხივოსნა
მოგონებებმა კიდეც გამართო და აფხაზეთზე დარდები მოხსნა
გავმხიარულდი. მაშინ ვიფიქრე, იქნება სხვებიც ვამხიარულო
ქალაქს დავიწყებ, ლაზიკას ვარქმევ,
რომ ამით ნატვრა სხვებს ავუსრულო
მეოცნებენი ჰქვიათ ჯოჯოებს, მაგრამ არა აქვთ ოცნების თავი
რაც მე მიხარის – მათ ის აწუხებთ, რაც მათ უხარით ჩემია ავი
ახლა ხელს ვიბან, მე ჩემი ვქენი, გინდ ააშენონ და გინდა არა
მათი სურვილი, ჩაკლან ლაზიკა, არც გამეხარდა და არც მემწარა.

თბილისის მერი

ლაზიკის გარდა რამდენი რამე, ბოლო ხანს იყო წამოწყებული
ზოგი საჭირო, ზოგი ნაკლებად, მაგრამ ყველაა შეჩერბული
ჰიდრო სადგური ზედ ხონის წყალზე,
ელექტრო წყაროს კარგი იმედი
არავინ იცის ამ მშენებლობას, ხვალე როგორი მოელის ბედი
თავად თბილისში, აეროპორტში, ასაფრენი გზის, მეორე ხაზი
რომლის შენება გვეჩქარებოდა, დარჩენილია, როგორც ნახაზი
ან შემოვლითი რკინიგზის ხაზი, უკვე წელია, დაწყებულია
რამდენი ხიდი და ბაიდუკი, უკვე ნახევრად აგებულია

ჩვენ თუ ვერ შევძლებთ,
რა ეშველება, მშენებლობები გაჩერებული
დრო და ამინდის ანაბარია, უხმარ-უვნებლად დაძველებული.

პრეზიდენტი

გენიალური იყო ნაბიჯი, როცა დავიწყე მშენებლობები
ყოველი კუთხე ავაწრიალე, ყველას შევავლე ზრუნვით ხელები
სვანეთში აველ, ტურბაზა გავხსენ, ზემო აჭარა მოვინადირე
იქიდან კახეთს გადავუძახე, ჯოჯოს თვალებში გავჭედე დირე
ვადები დავთქვი, თუმცა ვიცოდი, იმდენ ხანს არვინ გამაჩერებდა
მე წავიდოდი, სხვა არვინ იყო,
ამ მშენებლობებს ერთად შეკრებდა
ბავშვი არა ხარ, იმდენს ვერ მიხვდე,
ქალაქი ერთ დღეს არ აშენდება
ადამიანი იმედით არი, ყოველი დილა ასე თენდება
ადამიანებს იმედი მივეც მშენებლობების წამოწყებითა
ხმა რომ მოეცათ იმ არჩევნებზე, იმედით სავსეს, თავის ნებითა
ამიტომ იყო, პარტიას ვენდე, მისი მოგების მიზნით ვიარე
საბავშვო ბაღი, სკოლა და კლუბი, სოფელ და სოფელ შემოვიარე
არ დამიჯერეს? თავს დააბრალონ, მშენებლობები თუ შეაჩერეს
არ დაივიწყონ, რას ვპირდებოდი, ვის უღალატეს, ვის მიუფერეს

თბილისის მერი

შეჩერებული მშენებლობები თვალებს მატკიებს,
როგორც მაზოლი
აეროპორტის ბედიც მაწუხებს და ასაფრენი ახალი ზოლი
რა ეშველება ქალაქის ხვალეს, კაფე-ბარები დაიხურება
ტურისტთა ნაკადს ვერაფრით გავზრდით,
შეგეზარება ქვეყნის ყურება
ამათ რომ ჰკითხო, აქვთ წარმატება
და სამართალსაც დაამკვიდრებენ
თედო, მინდია* მიუწვევიათ, მათგან მომავლის ამბებს იგებენ

* თედო ჯაფარიძე, მინდია უგრეხელიძე – ე. შევარდნაძის პერიოდის კადრი.

აბაშიძე* ჰყვავთ შუამავალი, მისგან რუსებსაც ეტენებიან
მოგზავნილია ივანიშვილი, ამას მიხვდება ქვეყანა გვიან.

პრეზიდენტი

შენ მართალი თქვი. ივანიშვილი,
შევარდნაძის ხნის კადრებს ეყრდნობა
შემოიკრიბა ყველა წარსული, ვისაც არ ჰქონდა ჩემგან შენდობა
ხადურს** უყურე, როგორი რიხით და რა აპლომბით დაიარება
მისი წარსული, ქრთამებით სავსე, ნახოს ვისაც არ დაეზარება
როგორი არი, როდესაც ქურდი, პატიოსნების წესებს გასწავლის
ხაზინის ვირთხა ფინანსებს მართავს,
ხელში ჩამგდები სხვისი ნადავლის
გინდ კირვალიძე***, რა ესმის სოფლის,
გლეხკაცს სატკივარს როგორ გაუგებს
ნახნავ-ნათესებს რომ მიადგება, მოსავლის პატრონს წერას აუგებს
ძველ კადრებს ენდო. ეს იმას ნიშნავს,
ახლები არ ჰყავს მცოდნე და სანდო
ძალა-უფლებას მეცილებიან. ასეთებს ჩემი ნაშენი ვანდო?
რაც მე შევიძელ, სხვა ვინ შეძლებდა, ქვეყანა იყო დიდების გზაზე
ისე არაა, ამათ რომ უნდათ, ხალხი ამღეროონ შეწყობილ ხმაზე
ცოტაც ვაცალოთ, თავადაც ნახავ, ძველნი, ახლებში აირევიან
დრო მოვა, ისევ ჩვენ დავბრუნდებით, დემოკრატია ამასა ჰქვიან

ოპოზიციის მერი

აირევიან, მაშ რა იქნება, სხვისი, თავისი ვერ გაუგიათ
ივანიშვილის მილიონები, ქვაფენილივით ქვეშ დაუგიათ
ამათ ჰგონიათ რომ მილიარდებს, ამდენ დამშეულს შეაჭმევინებს
დოლარს რომ მოგცემს, ათს გამოგართმევს,
მწყურვალს წყალსაც არ დაგალევინებს.

პრეზიდენტი

ივანიშვილი აღარ მიხსენო. ეგ ჯოჯოების მეთაურია

---

* ზურაბ აბაშიძე – რუსეთთან ურთიერთობის საქმეებში სპეციალური წარმომადგენელი.

** ნოდარ ხადური – ფინანსთა მინისტრი.

*** დავით კირვალიძე – სოფლის მეურნეობის მინისტრი.

წლების მანძილზე რაც დავალაგე, ეგ შემოგვიჩნდა და აურია
რაც მე სიკეთე მაგას ვუყავი, რაც ჰქონდა, ვთხოვე და გავუყავი
თანავუგრძნობდი, ბევრს არ ვძალავდი,
ბრიყვი ყოფილა, ძუნწი და ავი
გაუგონარი მოხდა ამბავი. წლობით ვიცავდი და ვმფარველობდი
მაგის ჰაბიტუსს არად ვაგდებდი,
ვეფერებოდი და თითქმის ვძმობდი
გამითამამდა. სამას მილიონს ვეღარ მოგცემო, შემომითვალა
მამაცხონებულს რად გაუკვირდა,
ბატონს ბეგარაც უნდა და ღალაც
მე ერთში შევცდი, როგორც აგენტი, პუტინისაგან შემოგზავნილი
არც დავიჭირე, არც გავაძევე, არც მივუჩინე მკვლელი – აჩრდილი
მართალი უთქვამთ, სიკეთე მუდამ სიბოროტეთი მოგიბრუნდება
არ გაგიკვირდეს, რწყილს თუ დაისვამ,
მალე ქოჩორზე აგაფრინდება.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ

გვინაღა არი თითზე კბენანი.
დრო გვქონდა, დრო ვერ გამოვიყენეთ
ის ვაპატიეთ, ეს ვაპატიეთ, ხმა არ გავეცით, წინ დავაყენეთ
მინის კოშკი რომ ავაგებინე, განა ქვეყანას გავაგებინე
ბოტანიკურ ბაღს ფართი მოაჭრა, მასზე პასუხი არ ვაგებინე
შემოგვიბრუნდა, ერთი ის შევძელ, პატრული შუა გავაყოფინე
მერიის დაცვა ცალკე შევქმენი, ყულფში თავი არ გავაყოფინე
არა და მქონდა შესაძლებლობა, მომეწყო რამე პროვოკაცია
მაგრამ ვიფიქრე, რა ფეხებს მომჭამს, რა შეუძლია, ან რა კაცია
ხედავ ფხა როგორ გამოიჩინა, ჩემთვის ნაწილი არ დაარჩინა
ხალხის გულისთვის ვითომ თავსა სდებს, ასე ეშმაკი რამ გააჩინა.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ვერას დაგვაკლებს, კონსტიტუცია ისე მივჭერი, ასე მოვჭერი
იმუნიტეტი გვიცავს ორივეს, არავინაა ჩვენი დამჭერი
ღარიბაშვილი* მინისტრად დასვა, თამაზაშვილის სიძე უგვანო

* ირაკლი ღარიბაშვილი – შინაგან საქმეთა მინისტრი. თამაზ თამაზაშვილი მისი სიმამრი და გამოცდილი კადრი.

ეგ შეედრება ახალაიას*, თუ გავუტოლო ორივეს ვანო?
ამათ ჰგონიათ „ჩარეცხილების“ დრო ისევ უკან მოტრიალდება
იმას ვერ გრძნობენ, ვინც მიღალატებს,
მათთვის ცხოვრება გატიალდება
ასე მოვიქცეთ, ემირატებში, ვითომ მოგველის დიდი საქმენი
ორი-სამი დღე იქ გავატაროთ და გადავმალოთ, რაცაა ჩვენი
შემდეგ იქიდან სტრასბურგში წავალ,
ორი კვირის წინ მივიღე წვევა
სიტყვით მივმართავ, იმათ ლიდერებს,
ჩემი მოსმენის დასჩემდათ ჩვევა
შენც დაბრუნდები თბილისში ამ დროს, რომ გაამაგრო პოზიციები
ჟურნალისტებმაც ფართედ გაშალონ, როგორი მქონდა ოვაციები.

თბილისის მერი

გეგმა კარგია. მაგრამ რაღა ვქნა, თუ არ გაჩერდნენ მომიტინგენი
თუ შენს სასახლეს ალყა არ მოხსნეს.
თუ გაუმყარდათ ვირობის გენი?
ეხ, რა დრო იყო. და რა კადრები,
დაუნდობელი დამრტყმელი ძალა
„სოდ-ი “თუ „კუდ-ი“**, კეჟერა, ბაჩო,
ყველა ერთბაშად შემოგვეცალა

პრეზიდენტი

ჩავიკლათ წარსულ კადრებზე დარდი. ასე გვეტყოდა დიდი ილია
ერთს მეორე ცვლის, მოდის მესამე, მოსაგონარიც არ დაილია
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ჭორებს,
წავახალისოთ ვინც ააგორებს
სიმართლე არი ღარიბთა ხვედრი,
მდიდართა ჭორი ხალხს აამძორებს
დაგეგმილი მაქვს, რა დაგიმალო, ვისზე რა ითქვას, ვის რა ვაცალო
რომ ხალხის მასა ორად გაიყოს, წაგებ-მოგებაც შედეგით ვთვალო
ვანო ატყდება, მერაბიშვილი, ქვეყნის ხაზინა ცარიელია
საბიუჯეტო კრახი მოგველის, ჩვენ ფულზე ფიქრი არ დაგველია

* ბაჩანა ახალაია, ვანო მერაბიშვილი – ყოფილი მინისტრები.
** „სოდ-ი“, „კუდ-ი“ – შსს დანაყოფები. კეჟერა – დავით კეჟერაშვილი.

კოტე კუბლაშვილს აქვს მითითება,
ზეწოლის ფაქტზე ილაპარაკოს
მოსამართლეებს ხელს უშლიანო, ეს გააჟღეროს და გაატრაკოს
ზოგი დატოვებს თანამდებობას, ეს დავაბრალოთ ჯოჯოთა ძმობას
„ლობისტებს“ ვეტყვი, ახალ მთავრობას,
მკაცრად მოსთხოვენ ჩემთან თანხმობას
მეც დავამტკიცებ, სამხედრო კადრებს, პენსია უნდა გაუორმაგდეს
რათა სამშობლო დაცული გახდეს
და სამართალი მათთვისაც აღდგეს
სხვაფრივ მტრის საფრთხე ძალზე დიდია
და მომავალი ბეწვზე ჰკიდია
იმ სამეზობლო ხიდებსა წვავენ, რაც ამიგია და გამიდია...

***

ცეზარი

რა უცნაური მესმის ამბები, ვისი ვისშია, მაინც ვერ ვხვდები
თქვეს, მოსმენები აღარ იქნება, საიდან გაჩნდა ჩანაწერები
თუ მოგვატყუეს, მაინც უსმენენ,
სიმართლის თქმაზე თავს რატომ სდებენ
სხვისას სწუნობენ, თუნდ იყოს კარგი,
თავის უვარგისს რაზე აქებენ
იყო დრო, მიშა როგორ მომწონდა,
ვფიქრობდი, მოვა და აგვაშენებს
ახალგაზრდაა, განათლებული, არ დაუჯერებს მაცთურთა ენებს
კაცის იმედი თურმე მწირია, რა მოხდა, როგორ გადაირია
რეკეტი იწყო, ბოზობა იწყო, სიკეთე მოსპო და აგვირია
ახლა ახალი თუ ძველს მიაბავს, ვინღა გაარჩევს კეთილსა და ავს
თუ ბიძინასაც შიგ ჩაითრევენ, უნდა ველოდოთ უარეს ამბავს.

/20 იანვარი. პრეზიდენტის სასახლის მომდებარე ტერიტორია. მომიტინგენი კარვებს ამაგრებენ/

თემურ ფაფიაშვილი

ოცი რიცხვია. დღეიდან ქვეყნად ახალი დროა და რეალობა
დღეს მოთმინების ფიალას დავცლით,
არ დაგვჭირდება დავა, ცალობა
დღეს შეკრებაა ღირსეულების,
ვაგლახ, გვჭირდება ღირსების დაცვა
ვაგლახ, გვჭირდება ქუჩებში დგომა,
რომ შევაჩეროთ ლანძღვა და ძარცვა
აქ შევკრებილვართ ღირსეულები,
სამშობლოსათვის გვიცემს გულები
აქედან ვეტყვით ყოფილ პრეზიდენტს:
შენ ღირსეულად არ გვეგულები
იყო დრო როცა რწმენა დაგვქონდა, ახალგაზრდაა, ჭკვას მოეგება
სამშობლოსათვის თავსაც გაწირავს, მისთვის ზრუნვაში გადაეგება
გვქონდა იმედი, დემოკრატია, უზურპატორად ჩამოყალიბდა
ვისაც აკოცა, მინისტრად დასვა, ვისაც აგინა, ის გაღარიბდა
ბრმები არა ვართ ვერ დავინახოთ,
ცხრაჯერ შეცვალა კონსტიტუცია
კორუფციაა ელიტარული, პოლიტიკური პროსტიტუცია
მაინც ვუთმინეთ ვადა გავიდა, უზურპატორი უნდა წავიდეს
მის თავხედობას ზღვარი დაედოს,
ჩვენს მოთმინებას აღარა ცდიდეს
და ნუ გვასწავლის საზღვარგარეთი,
შერიგებისკენ ნუ მოგვიწოდებს
ვეღარ ავიტანთ მაგის სიგიჟეს,
ვერ მივუტევებთ სისხლის მსმელს ცოდვებს.

ეელოო ვაჩნაძე

ერს მოვუწოდებ, დღეს ბოლო დღეა
და „იმპიჩმენტი“ დაწყებულია
აღარ ერქმევა ხვალ პრეზიდენტი, წითელი შუქი ანთებულია
უნდა ჩავკეტოთ მისასვლელები, რომ სასახლეში ვერ შეგვეპაროს
აპარატურა დავამონტაჟოთ, ჩუმად გვირაბი რომ არ გათხაროს
კარვები დავდგით. კარვებში უნდა,
დღე და ღამ გვქონდეს მორიგეობა
აქ გამოჩნდება ერთსულოვნება, ბრძოლის უნარი, კაცის მეობა.

დავით ლილუაშვილი

კოალიცია მიტომ შევქმენი, რა შეგვიძლია, მეჩვენებინა
რა უფლებები ირღვევა ჩვენი, მეთქვა და საქმე მეკეთებინა
ახლაც თქვენთან ვარ და მოგიწოდებთ,
ხელისუფლებას მოვუწოდებდი
ყოფილ პრეზიდენტს რაც მოვუთმინე,
რას ვუწუნებდი, კრიტიკით ვსდევდი
შეაფასოს და ჩვენს სამსჯავროზე: განსახილველი გამოიტანოს
კანონგარეშედ გამოაცხადოს, განდევნოს, ცოდვა თან გაატანოს
ხუთი წლის წინათ, გაყალბების გზით, შეძლო მოგება არჩევნებისა
არას დროს იყო ხალხის მოყვარე, შემსრულებელი მისი ნებისა
რეზო ჩხეიძეს მოვკარი თვალი, იცით კაცია მიწყივ მართალი
ჰკითხეთ თუ ვსტყუი, ასე არ იყო, ტირანობის გზის ამოსავალი
ეს გზაც გასრულდა, უნდა მოგვშორდეს,
რა მიზეზებიც არ უნდა ჰქონდეს
ხალხის ნებაა აღსასრულები,
მან რა გვასწავლოს, ჩვენ რა გვიჯობდეს.

რეზო ძოძუაშვილი

არი ნათქვამი. კაცს რაც აწუხებს, ის სატკივარი ალაპარაკებს
იცით ყოფილი ფეხბურთელი ვარ,
რატომ მოვყვები თქვენთან არაკებს
პოლიტიკაში არ ჩავერევი, მაწუხებს სპორტის მდგომარეობა
არ მანღვლია ვისთანა ბოზობს, ან ვისთანა აქვს მიწყივ ღრეობა
ვაკეში გვქონდა სპორსმენთ სამჭედლო,
ფაკულტეტები ათას რამ გვარი
დეკანატები და კათედრები, კადრი აღმზრდელთა, თანაც მაგარი
სპორტსმენი ვინაც იქ კაუდებოდა,
ქვეყნის სახელის იყო დამცველი
ხანი უწევდა, მწვრთნელი ხდებოდა, ენაცვლებოდა ახალი-ძველი
შენობაც იყო შესაფერისი, ტერიტორია დიდი და ვრცელი
მოედნები და დამხმარე ფართი, დაეტეოდა სოფელი მთელი
ვითომ პრეზიდენტს და მის ლაქიებს,
ჭკვაში დაუჯდათ მისი გაყიდვა

ითქვა, გაკეთდა და არც დაფიქრდა,
რამხელა ცოდვა კისერზე იდვა
ცხოვება ჩაკვდა, სპორტსმენს ვინ აღზრდის,
თუ აღარაა სტადიონები
სანაცვლოდ ფულებს ვეღარ ითვლიან,
ხელისუფალნი, მათი მონები
ჩვენს ახალგაზრდებს სპორტი რად უნდათ,
საკმარისად გვაქვს მათთვის ციხენი
კიდევ უარესს ხვალე გვიპირებს და ვნახავ კიდეც მე თუ ვიქენი
გამოსავალი? მხოლოდ ერთია, ვინც დაგვაქცია, უნდა წავიდეს
ცხვირის მოწმენდაც ვერ უსწავლია,
თქვენ როგორ გინდათ სიკეთეს ჰქმნიდეს.

მიხეილ ანდღულაძე

ჩვენ ეს დღეები ბევრი ვიმსჯელეთ,
რა რას აჯობებს შინა თუ გარეთ
ვითარებაა გართულებული და მიღწევებით ვერ გავიხარეთ
ერთის მხრივ ვიცით, დღეიდან იქით პრეზიდენტია ვადაგასული
იმის მოყოლით თავს არ შეგაწყენთ,
რა აქვს მიღწევა და რა წარსული
მთავარია რომ მისი ქმედება მიტაცებაა ძალა-უფლების
უკანონობა, ძალის ხმარება, ფეხქვეშ გათელა მასების ნების
გამოსავალი მხოლოდ ერთია, ვიტყვი, თუ ვცდები, აქვე მირჩიეთ
გასულ ოქტომბერს, ერთსულოვნებით,
დეპუტატები თუ ავირჩიეთ
კეთილ ინებონ, გვიწინამძღოლონ, საერთო ნება გამოაჩინონ
ხელში აიღონ ძალა-უფლება, ქვეყანა ქაოსს გადაარჩინონ
სხვაფრივ გამოდის, დეპუტატობა როცა უნდოდათ,
ბევრს გვპირდებოდნენ
იმას ავაგებთ, იმას მოგიტანთ,
ხვალეს აქებდნენ და წარსულს გმობდნენ
როცა მოირგეს თბილი სკამები, ერთბაშად გახდნენ ერის მამები
დიდი ხელფასი, პრივილეგია, ცხოვრება ტკბილი და საამები
ხომ არ ფიქრობენ ამით მთავრდება,
სხვა არა გვინდა და არც რა ხდება

უნდა იცოდნენ აზრი არ კვდება, არჩევნები კი განმეორდება
თავმჯდომარეა უსუფაშვილი, უნდა დაიდოს საქმეში წვლილი
პრეზიდენტობა ხალხს გაუწიოს,
სწრაფად შეცვალოს ჭკვაზე აშლილი
ჩვენ ამ მოთხოვნით ვიწყებთ აქციებს,
ათი დღე გასტანს უწყვეტი ბრძოლა
უსუფაშვილმა უნდა შეიძლოს საქმის კეთება, ხალხის გაძღოლა.

თეძურ ბაბიბაშვილი

ცივილიზებულ ერებს ვეკუთვნით, წარსული ასე გამოვიარეთ
რაც კარგი ჰქონდათ მსოფლიო ხალხებს,
გავეცანით და გავიზიარეთ
უზურპატორი ბევრგან ჰყოლიათ, მოუკლავთ და ვერ მოუთმენიათ
მაგრამ ქართველებს, სხვათა დაჩაგვრის,
სურივლი მსგავსი არ გასჩენიათ
ზვიადზე ვინ თქვას უზურპატორი,
ძველი მანქანა ძლივს ჰყავდა ორი
შევარდნაძე რომ ხანგრძლივად იჯდა, არ გადუხრია მასაც სასწორი
ეს ვინ გამოჩნდა გაუგებარი, ტყუილ-მართალში წაშალა ზღვარი
დაპირებების ატეხა ქარი, გვეგონა ტკბილი, შემოგვრჩა მწარი
„ლობისტები“ ჰყავს დარიგებული, და დოლარები დარიგებული
რომ გვიკარნახონ როგორ მოვიქცეთ,
რომ არ დავწყვიტოთ გაგდებულს გული
ვიცი მოივლის ევროპის ქვეყნებს, უნდათ არ უნდათ, შეეტენება
რასაც ეს ეტყვის, აქ დაგვიწერენ, ასეთი არი უცხოელთ ნება
მე ასე ვფიქრობ, უკეთ ვინ იცის,
ვინ გვიკარნახოს ჩვენ ერს რა უნდა
თუ ასე მოსწონთ „ვადაგასული“, დაიტოვონ და ამეფონ თუნდა
ჭკვას გვარიგებენ, კონსტიტუცია, არ დაარღვიოთ, დაიცავითო
რეზინის ტყვიებს როცა გვიშენდა,
თქვეს კანონები რატომ დაწვითო?
მე ისიც ვიცი, ჰქონდათ კითხვები, დამნაშავეებს როცა ფარავდა
როცა ნიშნავდა ახალაიას, როცა ავარდა, როცა გაავდა
მაშინ მათ ნათქვამს ყურს ვინ უგდებდა, რის კომისია, რა ვენეცია
ერთზე ეკიდა ყველა ავტორი, ყველა დამჯერეს გადაეცია

კიდევ ერთს ვიტყვი, ვინც კარგად მიცნობს,
ქუთაისში ვარ ნამსახურები
„ვადაგასულმა“ როგორ მასწავლოს, სად, როგორია ის საყრუები
იმას რომ ჰკითხო, უპარლამენტოდ, ქალაქი მკვდარის დასადარია
გელათი რაა, ბაგრატი რაა, შესახედავად შესაზარია
უსაზღვრო არი მისი სირეგვნე: წონასწორობა დაკარგულია
აქ ამოვძირკვოთ და იქ დავტოვოთ, სად უკითხავად გადარგულია.

დავით ლულუაშვილი

ასე ამბობენ, ბევრის ძახილი, ხესაც გაახმობს ნამუსიანსა
რამდენიც გინდა იდექ, იყვირე, ვერას გახდები, აქ ასე ჩანსა
რამდენჯერ იყო და ახლაცა გვაქვს, მილიონ კაცის ხელმოწერები
მილიონის ხმა ხომ უნდა იყოს, მისაღები და დასაჯერები
ძველ ამბავს გეტყვით: იმპერატორი ადრიანეა სამაგალითო
უყვარდა რომი, მშენებლობები, ქუჩების მოვლა, ჩუმად, ფეხითო
ერთხელაც, თურმე გზა გადუღობა,
მოხუცმა ქალმა, იყო მთხოვნელი
არა მცალია, იყო პასუხი და გაგონებაც თუ იყო ძნელი
გაბრაზებულმა შემოუტია, შენ მოხუცისთვის თუ არ გცალია
იმპერატორიც არ უნდა იყო და სამართალმა წყალი დალია
შეცბა ღმერთ კაცი, იქვე ჩამოსხდნენ და გაარჩიეს გასარჩეველი
ჩვენ დაგვიტოვეს ეს მოგონება და შეგონება ბრძნული და ვრცელი
ახლა ვიაზროთ, იმპერატორი ერთმა მოხუცმა თუ შეარცხვინა
ამას ქვეყნისაც არა რცხვენია და ამის მერე ვინაა ვინა?
ამიტომ კიდეც გამვმეორდები, შეგონებითაც აღარ დავშვრები
ტყუილად ვეტყვით, ხარ ყალბის მქნელი,
გრცხვენოდეს, წადი, ამას რად შვრები
კანონგარეშედ გამოვაცხადოთ, და ვთქვათ გაეროს გასაგონადა
ჩვენ ვუმკლავდებით ჩვენს გაჭირვებას,
სხვები ცხვირს ყოფენ საქმეში რადა
თუ ასე მოგწონთ „ვადაგასული“,
მანდ გყავთ და ძეგლად მანდ დაიტოვეთ
გვაცალეთ მშვიდად ამოვისუნთქოთ,
იმას რად გვაძლევთ, რაც არა გთხოვეთ

***

ცეზარი

ქვეყანა ისე არეულია, შიგ ჩემი ცოდვაც გარეულია
გადარეულებს რა დააწყნარებს, ეშმაკის ხელი ჩარეულია
მე მეჩვენება თუ არი ისე, როგორც მესმის და გავითავისე
შავბნელი ძალა სასახლეშია, პრეზიდენტია მისი მექისე
თევზი ყროლდება მუდამ თავიდან,
ვინც შეეხება ყველასა წამლავს
პირზე ღიმილით სისხლს გაგვიშრობენ,
სიკეთის მადლი არავის ახლავს
ყველა თავისას მიერეკება, მიდი, იფიქრე ასე რად ხდება
უპატიოსნო სიმდიდრეს იხვეჭს, პატიოსანი მშიერი კვდება
ბევრი მთავრობა გამოვიცვალე, დასაფიქრებლად ვერ მოვიცალე
ვშრომობდი დღისით, ვშრომობდი ღამით
და მოლოდინის ქვევრი დავცალე
ერთი წავა და მეორე მოვა, საწყალი კაცის მზე არ ამოვა
მხოლოდ ეს მიკვირს, ამდენი „ხლამი“ სასახლეებში რამ დააგროვა
იმათ ყოფაში კარგი რა ყრია. სჯობს დავრჩე როგორც მე მიცხოვრია
ცეზარი რომ ვარ, ცეზარად დავრჩე და გავიხსენო რამ ამირია
რას არ ყვებოდნენ, ერთმა ერთი თქვა, სხვებმა სხვა რამე გაიმეორს
თავს არ ზოგავენ: სხვას დაზოგავდნენ?
გინებით პირი კი აიყროლეს
რაო რა იყო? რა იყო, იყო?..
იყო დავოსი, შვეიცარია, კარგი რამაა დავოსი მგონი
ბევრი ჩურჩული, ცოტა მსჯელობა, საქმისთვის საქმე გამონაგონი
რა თქვეს ისეთი. მედვედევს* შეხვდა,
რაზე რა დათქვეს ვინმემ გაიგო?
ბიძინა რუსეთს კოჭს უგორებსო. კაცის გაცნობა არი ურიგო?
ამათ რომ ჰკითხო ბაქოში შეცდა და ერევანშიც მოიკოჭლებდა
რასაც ეწვალა „მიშა მაგარი“ „დაგვაბოლებდა“,
თუ ვერ შეძლებდა
სტრასბურგში განა ასე არ მოხდა? ევროსაბჭოში მიშა წამოხტა

* დიმიტრი მედვედევი – რუსეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრი.

მსუყედ ნაკვები, თვალად-ტანადი, ქოჩორ ვარცხნილი
და ჩაცმით კოხტა
ვახ, რომ ფორმაა მოსაწონები, შხამიან სოკოს დასადარები
მთავარი მუდამ შინაარსია, თუნდ ფორმა ჰქონდეს ათასგვარები
რამდენჯერ გვითხრეს, კიდეც დაწერეს,
ევროპარლამენტს ბუღი ადინა
ილაპარაკა ისეთი რიხით, დარბაზში მსხდომნი არ დააძინა
თავი რომ იქო, აქო საქმენი, რომელმაც კარგად გამოაჩინა
პრემიერ-მინისტრს ყოფა უტირა, თავზე ქოჩორი არ შეარჩინა.

პრეზიდენტი

აბა შეხედეთ, ჩემი ღვაწლია, მე ვაშენებდი, ეს მე მენება
სხვას ვის შეეძლო ათ წელიწადში, ქვეყნის გამოხსნა და აშენება
დემოკრატია უმაგალითო, რომლის შუქურად მე გეგულებით
მიმსახურეთ და გემსახურებით ჩემი მამლებით და გუგულებით
მე დავამარცხე რუსული ძალა და ევროპის გზას შემოვუდექი
თქვენთვის გავწმინდე მწვანე დაბლობი,
მაღალი მთები, გორები, ბექი
თავად შეხედეთ ახლა რა ხდება „ნატო“-ს იდეა კნინდება, კვდება
ვეღარ იხილავთ ძველ საქართველოს,
წარსული აღარ განმეორდება
რადგან პუტინმა გვაჯობა ყველას, აგენტი დასვა პრემიერადა
ჩემგან აწყობილ სქემებს დაარღვევს,
იცით ვინცაა, მე გითხრათ რადა
ჩემი პარტიის წევრებსაც დევნის, იჭერს და უშვებს, ეს უხარია
უნდა გაიგოს, მე და ჩემს ბიჭებს, ვის და რამდენი მოუპარია
ნამუსი არ აქვს. ჩენზე მეტი აქვს, მაინც ჩვენი შურს და გვედავება
ვითომ საწყალი ხალხის ჯავრი აქვს,
გულს უკლავს მათი კვენსა-ვაება
საოცარია, არჩევნებამდე, რაც გვიშოვია, ის ხომ ჩვენია
ამინისტიით ეს დავამტკიცოთ, მე შევთავაზე განაჩენია
უარი მითხრა. მარტო ამაზე? ტელევიზიის წართმევაც უნდა
ჩემი არხები თუ არ მექნება, როგორ ვესროლო ტალახის გუნდა?
ახლა, ახალი მონახა ფანდი, ჩემს დეპუტატებს აშანტაჟებენ
თუ დასავლეთი არ გამოფხიზლდა, მალე პარტიას ბეჭზე დადებენ

მე თუ არ მაწყობს ასეთი ბოლო, ლობისტებს როგორ მოეწონებათ
მე თუ დავკარგავ, თქვენც ხომ დაკარგავთ,
სიკეთე აღარ მოგეწონებათ
ამიტომ უნდა დამიდგეთ გვერდით, „ოცნება“ ერთად დავასამაროთ
ჩვენ „გმირობაზე“ თუ არ იყვირეთ,
რასაც ეს ბედავს, როგორ ვაკმაროთ
ახალი აზრი აეკვიატა, ტელე არხი აქვს დაკნინებული
უნდა ჩემს არხებს შემოუერთოს და ამით გახდეს აღმატებული
გვარამია მყავს ზრუნვით გაზრდილი,
ჯერ დეპუტატად წარმოვაჩინე
მერე ვუსარდლე პროკურატურას, სიპატიოსნე არ შევარჩინე
როცა ისწავლა, ჩამოყალიბდა, განათლებული მინისტრად დავსვი
რაც სამინისტროს საძიძგნი ჰქონდა, წილში ჩავისვი, ვაჭამე, ვასვი
ჩემი აღზრდილის დაჭერა უნდა, „რუსთავი-2“ დირექტორისა
ახლა იფიქრეთ, ამის მსურველი, მკადრებელია ვინ იცის რისა
მთავარი მაინც „ნატო“- ს ეხება.
„ნატო“ - ს ღალატობს ეს უმადური
რუსეთთან უნდა კავშირის შეკვრა,
რუსული მოსწონს ფული და პური
დარბაზში არის დელეგაცია, პუტინისაგან მოვლინებული
ვეტყვი, რუსული მე უკეთ ვიცი, მასზე მეტად ვარ განათლებული
თუ ქართველებთან კავშირი გინდათ,
რაღა მაგ სოფლელს ელაპარაკოთ
ესენინიც კი წამიკითხია, სიყვარული მკლავს მე საარაკო...
პრემიერმა რომ სთქვა ერევანში, სტატეგია გაქვთ სამაგალითო
მეც სომხებივით მიყვარს რუსები, მასთან ქალები გამორჩევითო
არც არასოდეს დამიმალია, ბევრი მყოლია რუსის ქალია
კავკასიელებს ნაკლებად ვწყალობ,
ეს მათი ძუნწი ქმრების ბრალია
მალე დავტოვებ პრეზიდენტობას,
თქვენ სამწუხაროდ ასე მოხდება
მაშინა ნახეთ, როდესაც „ჯოჯო“, აქ თქვენ წინაშე თუ წამოხტება
სიმართლეს ჩაკლავს, რომელიც ვთესე
და მსოფლიოში გამოვაჭენე
გაგახსენდებით როცა ევროპელს, ჩაენაცვლება რუსის მოენე

ცეზარი

რა მაგარია, სიცრუეს ამბობს და მაინც რიხით მიერეკება
აი, რას ნიშნავს ბატონად ჯდომა, ხალხის კისერზე ქეიფი-კვება
მხარდამჭერებიც ბლომად ჰყოლია, მისგან პატივი ვისაც ჰქონია
მილიონები გადაუხდია, ამბობენ და მეც გამიგონია
... მე ათი წლის წინ ცრემლი მდიოდა, როცა მიშას მზე ამოდიოდა
თურმე ცრუობდა და დაგვცინოდა,
როცა გვმოძღვრავდა და გაჰკიოდა
ახლა ცრემლი მდის სინანულისა, როგორ გვატყუა, გვაცუცურაკა
ერთი სული მაქვს, რომ მოვიშოროთ,
წავიდეს, მორჩეს, რა გაატრაკა

/5 თებერვალი. პრემიერ-მინისტრის ას დღიანი მოღვაწეობის ან-გარიში საზოგადოებას/

ბიძინა

ასი დღე არის, ბრძოლით წასული ას დღეს მელოდით,
ერთი გაქვთ სული,
გაიგოთ როგორ შევაფასებდი, რაც არი უკვე ვადა გასული
ერთზე შევთანხმდეთ, წინასწარ გეტყვით,
არ მოვდიოდი აქ გულის ხეთქვით
რადგან ბევრია გაკეთებული,
თქვენ შეაფასეთ, როგორც გინდა თქვით
არჩევნებამდე გვქონდა პირობა,
რომ აღსდგებოდა სიმართლის გრძნობა
ასი დღე უკვე გადავაგორეთ და შეამოწმეთ, ვისაც სურს ცნობა
სამართალმა რომ დაისადგუროს, კიდევ ბევრია საკეთებელი
დასაჭერია ბევრი უგვანი, შესაცვლელია სისტემა მთელი
გეგმაში გვქონდა გაიაფება დენის და გაზის ტარიფებისა
ბევრი ვეცადეთ და ვერ გავიგეთ მოგების წილი ეკუთვნის ვისა
მოგეხსენებათ ბაქოში ვიყავ, გაზის ფასების გასაგებადა
უგულავასთვის იქვე გეკითხა, აქ მოდიოდი, იქ მითხრეს, რადა
ასე რომ მოკლედ თუ შევაჯამებთ, სახეზე არი წარმატებები
დაწყებულია სიმართლით ჭედვა, ამინისტია და დაჭერები
ბევრს გაუშვებენ, ცოტას იჭერენ და სამართალი დაგვიმკვიდრდება

ასეთი არი დროის მოთხოვნა,
რაც ხდება დრონის მოთხოვნით ხდება
წარმატებებში მეორე ადგილს, გაიაფებას მივაკუთვნებდი
სულ არ მეგონა ეს მოხდებოდა,
თუ საკუთარ ფულს შიგ არ ჩავდებდი
მაგრამ უყურეთ, აფთიაქებში ფასები როგორ დაწეულია
საწვავის ფასიც შემცირებულა, ხელახლა გაზრდის შანსი ნულია
მესამე, თანაც წამყვანი საქმე, ჩვენი ახალი ბიუჯეტია
ძველი მთავრობის და პრეზიდენტის მადა ახალში არ ჩაეტია
სანაცვლოდ, ნახავთ, სოფელს მივხედავთ,
რომ გლეხის ბედი შემოვაბრუნოთ
რომ არ წაგვიხდეს ბაღი-ვენახი, ხვნაზე-თესვაზე უნდა ვიზრუნოთ
და მე გპირდებით, ეკონომიკა,
წელსვე მოგვიტანს საგრძნობ მოგებას
მეორე წელი იქნება მეტი, მესამე მოგვგვრის საერთო შვებას
მეოთხე წელს კი, მე თუ ვიქენი,
მეოთხის მადლი თქვენ უნდა ნახოთ
ახლა რა არის და რას მივაღწევთ, სხვაობის ხსოვნა შემოინახოთ
მერაბიშვილის შიში გაქრება, ქვეყნის ხერხემლის ფუჭი შიშები
ჩამოშლილია ბიუჯეტიო, ასე დასჩემდა მოთქმა-ვიშები
არ გაგიკვირდეთ ვანო რომ ცრუობს,
მიშა რომ ცრუობს და უგულავა
სანამ მთავრობდნენ და ბატონობდნენ,
რომელი იყო, არ „იგულავა“
მაშინ ეგონათ, თვითონ ლხინობდნენ,
სალხენად ჰქონდა ქვეყანას საქმე
ახლა შიშები მოაწვათ ყელში დ ხალხსა სთხოვენ მიდი ასაქმე
მიშა ჯერ კიდევ პრეზიდენტია, არის კი არა, ასე ითვლება
სანამ არ მოვა წელს შემოდგომა, წაგებ-მოგება არ დაითვლება
ჩვენ რას ვითხოვდით მისგან,
დაფიქრდით და შეაფასეთ მისი ქმედება
კონსტიტუცია ოცჯერ შეცვალა, არც ერთი მართალს არ მიედრება
მე მოქალაქის უფლება არ მაქვს, ჩამომართვა და აღარ მიბრუნებს
ყველამ იცოდა ეს სისულელე,
მაგრამ მას სიტყვას ვინ შეუბრუნებს.

დღეს საფრანგეთის მოქალაქე ვარ
და ქართველების ვარ პრემიერი
საფრანგეთზე რომ ვუთხრა უარი, რა შემეცვლება ამით იერი?
მაგრამ უფლება პრემიერობის, კონსტიტუციით ჩამომერთმევა
ჩემი ოცნება დასამარდება, და თქვენს ოცნებას ვერ დაეწევა
თუნდაც ამიტომ შესწორებები, მთავარ კანონში შესატანია
მეორეს გეტყვით, თავად განსაჯეთ, ვისთვის, როგორი ასატანია
პრეზიდენტსა აქვს სრული უფლება, ამ ქვეყანაში არავის ჰკითხოს
დაასამაროს მთელი მთავრობა, ისე, ვერავინ ის ვერ გაკიცხოს
ზედ პარლამენტი მიაყოლოს და, ქმედება იყოს კანონიერი
შემდეგ მთავრობა შექმნას იმათგან, მოეწონება ვისიც იერი
რა ცოტა გვქონდა მაგალითები? ვინაც ეგონა მარგალიტები
თავზე დაასვა მოსახლეობას, შემოუცოცა როგორც ტილები
ჩვენ მხოლოდ გვინდა ასე არ იყოს, ქვეყანა ერთს არ ემონებოდეს
მდიდარია თუ ღარიბი არი, სამართლებრივი უფლება ჰქონდეს
ერთ სისულელეს მეორე ახლავს,
ცოდნის მსურველი თავს კედელს ახალს
ისე იკითხე, გინდ სხვებსა ჰკითხე,
კანონს ვერ ნახავ გამართულს ახალს
„ნაცმოძრაობას“ ასე ჰგონია, უარს იტყვიან, შევევაჭრებით
რასაც ვთავაზობთ, მათთვისაც არის,
ტყუილი გარჯით ხომ არ დავშვრებით
თუ უნდათ დარჩნენ ქვეყნის შვილები,
უნდა შეცვალონ ის პოზიცია
რომელიც მხოლოდ მათ ჯიბეს არგებს, ვაჭრობს
და ითხოვს რა მოგიცია
ჩვენ სხვაზე ვფიქრობთ, ჩვენთვის მთავარი,
ღარიბი კაცის გახარებაა
ყველას დავაზღვევთ, პენსიებს გავზრდით,
ხვნა-თესვა გლეხი კაცის შვებაა
ექვსას ორმოცი ათასი გლეხის მიწა უფასოდ დავაკანონეთ
ტრაქტორებს მივცემთ, შხამ-ქიმიკატებს,
რაც დასჭირდებათ და მოვიგონეთ
ფონდებს ვაფუძნებთ, სამი ტიპისა,
კრედიტებს გავცემთ შეღავათებით

მასწავლებლების ხელფასებს გავზრდით,
რომ აღმზრდელებმა ისუნთქონ შვებით
განათლებაზე უნდა ვიზრუნოთ, არავინ დარჩეს უცოდინარი
ახალი კადრი, ახალი ცოდნით, ერის შუქია და ქვეყნის ფარი
კვლავაც ვეცდებით, რომ მეზობლებთან გვქონდეს თანხმობა,
მტკიცე მშვიდობა
არ გვინდა ვინმეს მტრები ვეგონოთ,
რუსეთთანაც კი გვირჩევნის ძმობა
სტრატეგიული პარტნიორები, ტრადიციულად გვეხმარებიან
მათი ელჩები საქმეს გვირჩევენ, ნეიტრალური ვერ დარჩებიან
დაუკვირდებით, უცებ მიხვდებით,
პოლიტიკა გვაქვს წარმატებული
ოპოზიცია სხვაგვარად ყვება, თუ ასე აწყობთ, იხეთქონ გული
ჩვენ დინჯად მივდევთ, ჩვენს საკეთებელს,
ხელს ვერ შეგვიშლის მათი ჭორები
ვერ გათიშავენ მოსახლეობას, გადაგვიხდია მსგავსი ომები
და ბოლოს გეტყვით, ასი დღე არი,
დრო ქვეყნისათვის არც თუ დიდია
რა მოვასწარით, რა წამოვიწყეთ, ჩვენსავ უნარზე დანაკიდია
მთავარი არი, აღორძინება, თვალსაცემია, დაწყებულია
მკითხეთ, ვის და რა გაინტერესებთ,
თქვენი უფლება ხომ დაცულია

ჟურნალისტი

დღეს უმთავრესი ჩვენი შეკითხვა, კონსტიტუციას უკავშირდება
რა შეიცვლება, რით შეიცვლება, ხვალ უარესი ხომ არ მოხდება?
მასთან კავშირში, რამდენი ხანი ბუკიკიოს რომ ველოდებოდით
პრეზიდენტია კომისიისა, მან რა გირჩიათ, ხომ არ ცდებოდით?
და ამას გარდა ცვლილებებისთვის უმრავლესობის ხმები ეყოფა?
ისე არ მოხდეს რასაცა გეგმავთ, სასურველი მას გამოეყოფა?

ბიჟინა

თქვენ მოისმინეთ, მეც მოვისმინე, დავით ბაქრაძის განცხადებები
უნიჭო იყო მისი ნათქვამი, ტყუილს ტყუილი ზედ დანადები
ჩვენ არ ვაპირებთ მათ ხმების ყიდვას

და არც გვჭირდება მათი რესურსი
გამოთვლილი გვაქვს რა გვინდა ზუსტად,
არც შეიცვლება მთავრობის კურსი
ამიტომ უნდა თავად გაერკვნენ,
მათ ხმებს მათთვისვე აქვს მნიშვნელობა
თუ ვერ შეძლებენ ახალ გზის პოვნას,
დაეფანტებათ ძველის მშობლობა
ხალხს თუ სიცრუე თავს მოახვიე,
როდემდე გინდა რომ შეგრჩეს ნდობა
ტირანს დემოკრატს თუ დაუძახებ,
არ გეღირსება ბოლოს შენდობა
სააკაშვილი თავს რომ გავიდა, სად იყო მაშინ ის პარლამენტი?
წყვილად და ჯგუფად შიგ უძვრებოდნენ,
არავინ დარჩა მარტო და კენტი
ბუკუკიოს კი რაც შეეხება, ჩვენ შორის არის აზრთა თანხვედრა
ტყუილად შეხვდა მას პრეზიდენტი,
მხარის დაჭერას ცუდად ევედრა
რაც შეეხებათ ნაციონალებს, მათ კიდევა აქვთ დრო, გადაწყვიტონ
თუ დიქტატორი ხალხს ურჩევიათ,
ხალხთან კავშირი მაშინ გაწყვიტონ

ჟურნალისტი

კონსტიტუციურ ცვლილებებს ხალხი,
მიესალმება და მხარდაჭერა
ალბათ გექნებათ. მე სხვა მაქვს კითხვა: და შევაჩერო ამაზე მზერა
უპრიანია, ცნობილი არის, რომ პრეზიდენტი პარლამენტს ხვდება
დაგეგმილია მისი გამოსვლა. მაინტერესებს ხომ არ მოხდება
რომ თქვენც ჩაბრძანდეთ და მოუსმინოთ.
როგორი არი თქვენი გეგმები?
თანაცხოვრება როგორ გამოვა თუ არ შეაწყეთ ორივემ ხმები?

ბიჟინა

პრეზიდენტი რომ პარლამენტს მივა, ეს მისი არი წმინდა უფლება
წლიურ ანგარიშს გაახმოვანებს,
სიტყვით მსმენელებს დაეუფლება

მე იქ არ წავალ. ისედაც ვხვდები იქ რა მოხდება და რა ითქმება
როგორი აზრი წარმოჩინდება, რას მიჩქმალავენ და შთაინთქმება
ეს პარლამენტის განსასჯელია, იმათ საქმეში მე არ ვერევი
პრემიერს თავის ფუნქციები აქვს, ვმუშაობ, ვიცი რომ მოვერევი

ჟურნალისტი

გავრცელდა აზრი, რომ ბიუჯეტი ჩამოშლილია, არა სრულდება
კერძო ფირმებიც ზარალს ითვლიან,
ეს თუ გაგრძელდა, რით დასრულდება?

ბიძინა

მერაბიშვილის მორიგი ჭორი, ვისაც აწყობდა, გაიზიარა
განვითარების სტაბილურ პროცესს, სურთ მიაყენონ ამით იარა
სინამდვილეში, იანვრის თვეში, ბიუჯეტს კიდეც ჰქონდა მატება
თებერვლის თვესაც თუ შევაჯამებთ, ერთი მეორეს მიემატება
ჭორში ერთია ჭეშმარიტება: ვანოს და სხვების კიმპანიები
გადასახადებს ვინც არ იხდიდნენ, ფარული იყო მათი სიები
ჩვენ ჩავაყენეთ ჩვეულ რეჟიმში, სხვა კომპანიებს გავუთანაბრეთ
გადასახადით რაკი დავბეგრეთ, ნიშნავს კიდევაც დავაზარალეთ
ეს მართალია, მონოპოლისტებს, იანვრის თვეში ჰქონდათ ზარალი
ყველას კანონით თუ მიუდგები, ვინც იზარალოს იყოს ალალი

ჟურნალისტი

გავრცელდა ხმა, რომ ალასანიას პრეზიდენტობა მოსდომებია
კოალიციას გამოეყოფა, ასე სულელი და თავნებია?

ბიძინა

კოალიცია ჩვენი მტკიცეა, ნებაყოფლობის ერთობით მყარი
თუ ვინმეს უნდა რომ მიატოვოს, ნიშნავს დაეცა საწყალს თავზარი
რაც შეეხება ალასანიას, ეს აზრი თქვენვე დააფრთიანეთ
„ნაციონალებს“ მოჰგვარეთ შვება „ოცნება“ კი ვერ დააზიანეთ
ირაკლი ჯერაც ახალგაზრდაა, ახალგაზრდული იმისი ცთომა
არ უნდა გახდეს განსჯის საგანი, უნდა დაიცვათ ჭორებშიც ზომა
კოალიციის ლიდერებს შორის, ზოგ საკითხზე რომ არის სხვაობა
ნორმალურია. მთავარი არის არ ავურიოთ აზრთა რაობა
მე ჯერ იმაზე არ მიფიქრია, როგორი უჯობს ერს მომავალი

საპარლამენტო რესპუბლიკა თუ საპრეზიდენტო არის წამალი
მოვა დრო აზრებს რომ შევაჯერებთ,
გეტყვით, რა არის დასაფარავი
მართვის ფორმებში უნდა გავერკვე, რომ გავარჩიო კარგი და ავი

ჟურნალისტი

პრიორიტეტულ მიმართულებად სოფლის სიკეთე მიგიჩენევიათ
პრეზიდენტიც ხომ ამას იძახის, მათაც იგივე მიურთმევიათ?
სხვაობა თქვენში მხოლოდ ისაა,
მათ ოთხწლიანი ჰქონდათ პროგრამა
ათას ლარიან „ვაუჩერს“ ჰყოფდნენ
და გლეხს მისცემდნენ ჟამიდან ჟამად
თქვენ რა ერთბაშად მისცემთ ათას ლარს?
ეს დახმარება განა უშველის?
ოჯახს ეგ ფული შემოეჭმევა, აღარ იქნება გამძრევი ხელის

ბიჟინა

ინფორმაცია ნაკლებადა გაქვთ, აქედან მოდის თქვენი შეცდომა
ვაუჩრებთან ჩვენ საქმე არ გვაქვს,
არც შინაარსში გვჭირდება წვდომა
ჩვენ გლეხებს მივცემთ მხლოდ ბარათებს,
სხვაა ბარათი და ვაუჩერი
ბარათში ფული არ იწერება, არც დაწესდება ხარჯების ჭერი
ბარათის ძალით მოხნავს, დაფარცხავს და მოამზადებს დასათესადა
შემდეგ მეორე ბარათს მიიღებს და თესლს იყიდის თავსაყრელადა
ზედ სასუქებიც წაემატება. ბარათის ფასიც ორჯერ ახტება
მთავარი არი არ იზარმაცონ და წარმატება დაიხატება

***

ცეზარი

გეგმის მიხედვით ყველა კარგია, ოცნების ძალით მონაქარგია
თუ ტრაქტორები, გუთანი, ფარცხი, არ გვექნა ყველა დანაკარგია
მცირე მიწა გვაქვს დარიგებული, თან აღმა-დაღმა ჩარიგებული
დიდი ტრაქტორი კუდს ვერ მოიქნევს.
ამიტომ ვართ ბედს შერიგებული

ვაუჩერის და ბარათის ნაცვლად,
ტრაქტორი გვინდა მცირე ზომისა
ბაღებიც დავხნათ და ვაზიანიც, გადამხდელი ვართ სადაც ომისა
ქუთაისი რომ უშვებდა ადრე და ფასიც ჰქონდა ხელმისაწვდომი
რამდენი რიგში ეწერებოდა, რამდენი იყო შეძენის მდომი
ახლა სად ნახავ იმგვარ ტექნიკას, ქარხანას ვინღაამუშავებს
ვისაც ფული აქვს, ტრაქტორებიც აქვს,
გვიმსახურებენ ჩემნაირ შავებს
კოპერატივი, მეურნეობა, მომგებიანი არ იყო განა?
საერთოც იყო, საცალოც იყო, მოპარვაც იყო იქ ხანდახანა
რომ მოხდებოდეს ეს ნაკვეთები, ისევ შევკრიბოთ, ვაერთიანოთ
ერთობით დავხნათ, ერთობით ვთესოთ,
ჩვენი ვიცოდეთ, სხვისას არ ვავნოთ
შემოსავალი ქონებით ავრწყათ, ვისაც რა უხნავს და უთესია
შედეგი ბოლოს გავინაწილოთ, მამა-პაპურად, როგორც წესია
თორემ რა ხდება. ბარათი მომცეს, ტრაქტორი არ ჩანს არე-მარეზე
ბარათით მიწა არ მოიხვნება,
მწყერს ვერა ვნახავ შემომჯდარს ხეზე
ის ვინღა იყო... რა გაახურა... სამსახურებში ვის ოღებენო
მცოდნეს აგდებენ. ძმაბიჭს ნიშნავენ. რასა სჩადიან, ვერ იგებენო
ამას რად უნდა ბევრი თომარი, თუ გაგვიგორდა ნაღდი ყომარი
ომარი ცეზარს სამსახურს აძლევს, ცეზარიმ უნდა დასვას ომარი

***

კიდევ რა ითქვა საინტერესო? ის ვინღა იყო ვინცა ყვებოდა?
ვერულაშვილი მარიკამაო, ვიზიტებისას რომ დაჰყვებოდა
სააკაშვილი მიატოვაო, რატომ ამბობდა, ვითომ რა მოხდა?
ის ვინღა იყო ნაციონალი, გამწარებული როგორ წამოხტა
თქვენი ბიძინა რასაც დაგპირდათ, მოგატყუებთო, არ შეასრულებს
დედის მაგათმა... მაგათ მოცემულს
ვეღარ ითვლიდა გლეხობა ფულებს
ჩოჩელზე რა თქვეს? ჩემ სეხნიაზე, ყადაღა ადევს მაგის ქონებას
რაც მაგან ჭამა, სად მოძებნიან, სჯობს რომ მოეგონ ცოტა გონებას
ყველა ჯანდაბას, სარწყავი არხი,
აღდგენის ნაცვლად არ დაენგრიათ

რკინა ჯართს მისცეს, ბეტონი მცხეთას,
რაც გადაურჩათ, იქვე უყრიათ
ეგ არხი იყო ჩვენი იმედი, ეგაც წაგვართვეს, გაანიავეს
გუბერნატორი საკუთარ მხარეს, რატომ უკეთებს ასეთ სიავეს?
სარწყავი მოსპეს. ტყე გაგვიჩეხეს,
რცხილას ვერ ნახავ და წიფლისა ხეს
სახსენებელი არ დაგვიტოვეს, დედა გვიტირეს, „შიში გვანახეს“
იმ ქალმა რა თქვა? პრემიებიო. ხელფასზე მეტი პრემია ჰქონდათ
საქმე არ ჩანდა გაკეთებული, რასაც იღებდნენ, რა შემოჰქონდათ?
კაცს რომ ნიშნავენ მაღალ ადგილზე,
მიტომ ნიშნავენ, საქმე აკეთოს
ხალხს გამოადგეს, რაღაცა შექმნას, გაფუჭებული გამოაკეთოს
ხელფასს უხდიან, და თანაც მაღალს,
მითხარ პრემია ეკუთვნის რაში?
ვინც უნდა იყოს, ასეთი კაცი, ჩასაგდებია სირცხვილის ჭაში
ვისზე არა თქვეს, მხოლოდ ძველებზე?
ზოგი ახლებიც დგანან ამ გზაზე
აბა დაფიქრდით: თავი თუ ქურდობს,
უარს ხელები იტყვიან რაზე?
ამ დროს სამართალს ქვეყნად რა უნდა, იქაც ისეთი არი ზიანი
მელა მელაა, მგელი მგელია, ორივე ერთად – ადამიანი?

***

ყველას რა ჭირი დაიმახსოვრებს,
თუმც ცეზარი ვარ, თანაც პირველი
რაც მე მინახავს, გამომიცდია, ბევრი არაა მისი მხილველი
მეც კი გავკვირდი,
დეპუტატობა ასეთ გამოთქმებს როგორ ხმარობდა
ტყუილს გინებას ზედ დაურთავენ,
ურთიერთ ლანძღვას არა კმარობდა
პარლამენტარი, სხდომაზე, სადაც ქვეყნის საქმეა განსახილველი
თუ არ იქცევა დარბაისლურად, მოსაძირკვია ვით სარეელი
ექვს თებერვალს ხომ ჰქონდათ განხილვა,
ღირს თუ არა ღირს მოხდეს ცვლილება
კონსტიტუციის ერთი მუხლისა, ღირდა გინებით მისი თანხლება?

ტარიელ ლონდარიძე

დეპუტატების უმრავლეოსაბას ჩემზე ზეწოლის მოხდენა უნდა
მე აზრს ვერავინ შემაცვლევინებს, თავად ბიძინა შემებას თუნდა
მისგან მუქარას ისედაცა ვგრძნობ, პროკურატურა აამუშავა
ჩემი წარსული, სახელიანი, ვერც ერთმა მხარემ ვერ გააშავა
თოთხმეტი წლიდან ჯარში ვმსახურობ,
ოცი წელია სამშობლოს ვიცავ
არც მიშა მინდა და არც ბიძინა , არც ერთის სახელს არ დავიფიცავ
როცა ვიბრძოდი, სხვები სად იყვნენ,
ახლა გაუჩნდათ ჩემთან კითხვები?
ერთი მაგათიც, ზოგიერთები იმალებოდნენ როგორც ვირთხები
უმცირესობას თუმცა ვეკუთვნი, უმრავლესობა მიტომ მტერია?
ავი და კარგი, მტყუან-მართალი, ორივე მხარეს ხომ უსევია?

/დეპუტატ ტარიელ ლონდარიძის ნათქვამმა დეპუტატთა უმრავ-ლესობის (ქართული ოცნების კოალიციის წევრები) და უმცირესობის (ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები) ხუთ წუთიანი შებრ-ძოლება გამოიწვია. „ჩარეცხილებმა, უბადრუკებმა, მუმიებმა, ჯოჯო-ებმა“ დიდი სიტყვიერი კორიანტელი დააყენეს და „ნაცებს“ პოზიცია არ დაუთმეს. ნაომარ ველზე პაექრობა გაგრძელდა./

ვიხეილ მახარაძე

აქ ყველამ იცით ჩემი სახელი, და ჩემი დიდი დამსახურება
მეც იმიტომ ვარ წარმოგზავნილი,
რომ მახალისებს თქვენი ყურება
მაგრამ რაც ხდება ბოლო ხანებში უზნეობაა რჩეულთა მხრიდან
სურდათ მაგათი გავმხდარიყავი, გადამეხვია ჩვეული გზიდან
ოჯახის ბედსაც შემახსენებენ, ამაში ჩანდა მათი ზნეობა
შიშის გულისთვის როგორ გავყიდო,
სირცხვილ-ნამუსი, კაცის მეობა?
აბა იფიქრეთ, როდესაც ვიტყვი, ქვეყნად ჩემია გადასაწყვეტი
სად ვინ იქნება, როგორ იქნება. დიქტატორი ვარ, ანდა ვარ ცეტი
ჩემზე ისე ვთქვი სინამდვილეში ბიძინას სიტყვა გავიმეორე
მე თუ ვტყუივარ, გადაამოწმეთ, სიცრუით სული არ ავიმძორე

როცა ასეთი გვყავს პრემიერი, მის სურვილს მე ვერ გავიზიარებ
მხარს არ დავუჭერ მეოცნებეებს, ავტორიტეტს არ დავიზიანებ

ᲖᲘᲝᲠᲖᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ

უკან სვლა არი პოლიტიკაში. უკან და უკან, ჩნდება რეგრესი
რასაც აკეთებს უმრავლესობა არის ღალატი და საფრთხის მთესი
უსაფრთხოებას ძირს რომ უთხრიან და ჯაშუშები ათავისუფლეს
ამით ხომ რუსეთს კოჭი უგორეს და რა მოიგეს, რას დაეუფლეს
მე უსუფაშვილს შევეკითხები, შკრილნიკოვზე თუ იცის რაიმე
როცა იური ამოქმედდება, ვეღარ გვიშველის ვახმე, ვაიმე
მეორეცა მაქვს თქვენთივს სათქმელი,
პრემიერ-მინისტრს იგი ეხება
ინსტიტუტები ევროპიული , ადრე ჰქონია მათთან შეხება?
ახლა რომ ამბობს, ამ ინსტიტუტთა, შეტევა თურმე მოიგერია
ეს ხომ იმათი დაკნინებაა, ვისაც ჩვენსავით დაუმღერია
არა და გვქონდა გრძელვადიანი, გეგმები მათთან დაკავშირებით
თავს ვაწონებდით ევროპელობით,
რუსეთის ლანძღვით, ომის გმირებით
ამიტომიყოთავგამოდებით,პრემიერ-მინისტრსგვიკრიტიკებდნენ
ახლა რაღა ვქნათ ჩვენ ვინ დაგვიცავს,
თუ თქვენი შიშით ისინი შედრკნენ?

ᲘᲠᲛᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲘᲕᲘᲚᲘ

ორმაგი არი სტანდარტი თქვენი. ასე ვუყურებ და ასე მესმის
რაც დღესა ხდება უსამართლბა,
გონებას მიხშობს, ლახვარად მესმის
თქვენი ბელადი და პრემიერი. ამ მოქმედებას კიდეც იწონებს
უმრავლესობის დეპუტატებიც,
დამსგავსებიხართ ყურმოჭრილ მონებს
ყველამ ისმინა რაც განაცხადა,
თანამდებობებს ნაცნობებს ვაძლევთ
მხოლოდ ამგვარად გაუცხოებას დიდ მოხელეთა,
მოვსპობთ და დავძლევთ
რა კონკურსები, რის კონკურსები,
ახლობლები გვყავს დასასაქმები

ძველებს გავუშვებთ, ჩვენებს დავნიშნავთ,
გაგვიხდებიან ერთგული ძმები
ამას ამტკიცებს თქვენი ლიდერი, საგანელიძე ეუბნება ბანს
ასე ფიქრობენ, ხელი ხელს დაჭკრეს,
შემდეგ ორივე პირებს ჩამობანს.
პრემიერია, ისიც არ იცის რაა კონკურსი, რაა ტენდერი
უნდა ავუხსნა, დაიმახსოვროს, ეგება ცოდნით გახდეს ჩემდენი
ტენდერი არი თუ კობახიძის ახლობელს მისცემ იმის უფლებას
საწვავით ისე მოგვამარაგოს, მოენებება როგორც თავნებას
ტენდერით არი ღარიბაშვილი ბიძინას გუნდში გამორჩეული
მაგრამ ტენდერის თავად გაგება, დალახულია და დაძლეული
კონკურსი არი თუ ადამიანს გამოარჩევენ დამსახურებით
ამას რად ვამბობ, რომ არ გაოცდეთ,
ჩვენთან რაც ხდება, იმის ყურებით
სამაგალითოდ ჩამოვთვლი შემდეგს,
როცა გაიგებთ „კონკურსის“ შედეგს
შეხედულება დაგილაგდებათ, გადააჭარბებს სიმყარით მედეგს
თქვენმა ირაკლი ღარიბაშვილმა ნათესავები ჩამოარიგა
ამის უფროსად, იმის უფროსად, ხელფასი მისცა და დაარიგა
იოცნებონ და კოალიცია დამსახურებას არ დაუკარგავს
თამაზის უთხრან თავის სურვილი,
შემდეგ შედეგად იგი მოქარგავს
რაც ბიძინამ თქვა, კარგად გაიგეს ბესელიებმა და მაიებმა
ქვეყნის სამსახურს ასე იგებენ, ასე იციან საქმეში შებმა
საწყალი ხალხი, ვისი სახელით, ამათ სახრავი გამოარჩიეს
დღეს ვიღას ახსოვს, ვისი ბრალია რომ საკუთარი სხვისას არჩიეს.

დავით ლორთქიფანიძე

ისეთმა ვირმა თუნდა დამწიხლოს,
ოქროს ნალები ჩლიქებზე ეკრას
ასე ნათქვამი ეხება ირმას და შემდეგ მთელი „ნაცების“ შეკვრას
შე დალოცვილო ნადირაშვილო, სანადიროდ რომ მოიმართები
რად გავიწყდება შენი ბიზნესი, მისი რაობა, მისი ფართები
რად გავიწყდება სად ზის შენი და, საითკენ მიდის შენი ფიქრები
რა იყავ როცა „ნაცებს“ შეეკარ, რა მოიპოვე, ხვალ რა იქნები

მე ასე მესმის, ვინც უნდა იყო, უნდა რჩებოდე ადამიანად
ცხოვრება მიწყივ წარმავალია, შენც არსებობა გელის ერთ ხანად.

ოთარ ჩრდილელი

გამკვირვებია ვიღაც-ვიღაცის, ჩემი შენ გითხარ, ასე იძახის
მთავარი არი მოგიკლა გული,
მიტომ მთქმელი ვარ მწარის და მკვახის
ოპოზიციას რად ავიწყდება, როცა სადავეს ქვეყნისას ფლობდნენ
მათ გარდა ვინმე თუ არსებობდა,
ვერცა ხედავდნენ და ვერცა გრძნობდნენ
ახლა საუბრობთ რაღაც რეგრესზე, სტაგნაციაზე, და ტენდერებზე
ვინა საუბრობს? დემაგოგები. ვინც ყაჩაღობდა ცხრა წელი გზებზე
ქვეყნისთვის თქვენ რა გიკეთებიათ?
ან რას შეძლებდით, რაც არ იცოდით
მხოლოდ ფული და თანამდებობა.
მისთვის იბრძოდით, მისთვის იწოდით
ირემივით რომ ყელს მიიღერებს და ნადირივით აწიოკდება
სხვისას ითვლის და სხვისას აფასებს,
მას საკუთარი რად ავიწყდება?
დავითის ნათქვამს დავამატებდი, მათქმევინებენ, რაც სათქმელია
ირმას მეუღლე გამგეობაში, ბატონობს, როგორც ქათმებს მელია
რა, დიდი ცოცნის პატრონი არის, ან და კაცობა თუ მოსჭარბდება
კარიერისთვის არის მებრძოლი,
კარიერისთვის კვლავაც მოკვდება
„ნაციონალებს“ შევახსენებდი, თქვენი წარსული ნუ გავიწყდებათ
შუა ღამისას წილებს იყოფდით, ციხეც წილობით შეგეფარდებათ
ისე არაა, ბლუკუნა ვანო, ციცერონად რომ თავს წარმოიდგენს
თან გვემუქრება, – დავბრუნდებიო,
ფიქრობს რომ ხალხი კვალვაც მოითმენს
ჩქარობს, არ უნდა, რომ მოიცადოს,
ოთხი წლის შემდგომ არჩევნებამდე
ფიქრობს სიკეთედ გადაიქცევა,
ცოდვა რომელიც თან სდევს აქამდე
ახალ მთავრობას როცა აფასებს,
ბიუჯეტს სწუნობს, სხვასა და სხვასა

„მიღწევებს“ შორის, მხოლოდ ერთს „ხედავს“,
ნარკოტიკების გავრცელებასა
ნარკოტიკებზე როცა საუბრობს, სააკაშვილი რად ავიწყდება
მახათას მთაზე დაბარბაცებდა,
თუ ფიქრობს, უფროსს ესაც უხდება?
მიშა ვანოსთვის ნაპოლეონობს, დონ კიხოტივით კი არა ომობს
ქვეყნისთვის ლოთობს, ქვეყნისთვის ბოზობს,
ქვეყნის გულისთვის „ჩხერისას“ შრომობს.

დავით საყვარელიძე

საკვირველება ბევრი რამ ხდება, ბაჩანას სკამზე ირაკლი ჩნდება
გამოცდილ მინისტრს, უვიცი რომ ცვლის,
ამით წინსვლა ხომ დაგვებედება?
ღარიბაშვილმა გამოგვიცხადა, ღარიბი იყო ბაჩოს წარსული.
ნარკომანები, ქურდები გაწყდნენ, არავინ დარჩა თავზე გასული.
ახლა თესავენ ქალაქში „შპრიცებს“, ნარკოტიკებსაც დაარიგებენ
რომ მერე „ნაცებს“ გადმოგვაბრალონ,
სახელს გვიტეხენ, არ შეგვარგებენ
ამინისტია საყოველთაო, გამოაცხადეს, თავსაც იქებენ
ქურდ-ყაჩაღობა რომ მომრავლდება, რა ჩაიდინეს, თუ გაიგებენ?
იქნებ ესაც ჩვენ გადმოგვაბრალონ, ოპოზიცია არ შეგვიბრალონ
ჩვენი სიკარგე, თავის სიცუდე, არ გაარჩიონ ერთად დათვალონ
„ოცნების დიად კოალიციას“ ოცნებად ჩვენი მიღწევა რჩებათ
როცა ერთმანეთს დაერევიან, ვნახავთ სახელი აქ რა დარჩებათ.

კარლო კოპალიანი

ტალახიან გზას რომ დაადგები, ფეხსაცმლის გასვრა დაგეზარება
გზის ბოლოს ლაფში რომ არ ჩაიხრჩე,
ცოცხად დარჩენა გაგეხარება
ოპოზიცია გზის ბოლოს აღწევს, მათი ბელადი ჭაობში რჩება
თუ მიჰყვებიან მას ჭაობამდე, რომელი არის რომ გადარჩება?
პოზიცია და ოპოზიცია, ერთი მედალის ორია მხარე
ლაფმოცხებულნი ჩვენი ჯიშია, მათი ლაფდასხმით ვერ გავიხარე
ამიტომ ვურჩევ, ძმებო და დებო, ბელადს ჭაობში ნუ გადაჰყვებით

ცხვრები ხომ არ ხართ, გზას დაუკვირდით,
გირჩევთ იცხოვროთ თქვენი ცხოვრებით.
შევეკითხები ქალბატონ ირმას: კონკურსის არსი რომ აგვიხსენი
უმრავლესობა დააფრთიანე, ნიშნავს მცოდნე ხარ თვალში საჩენი
მაგალითებიც გქონდა მრავალი. ოღონდ მოკლე გაქვს ამოსავალი
რადგან სრულიად გადაგავიწყდა,
ჭკუა დამოკლდა, დაგევსო თვალი
მე შეგახსენებ, შენ გაგვიმარტე: კონკურს ნაცები რომ ატარებდით
მომღერლების და მოდელთა ჯგუფებს,
მენაგვეებად რომ ასაქმებდით
კონკურსანტებს რა გამოარჩევდა,
ცოცხი ტარით თუ ცოცხი უტარო
როგორები ხართ სრულ ყოფილები,
ცოცხით კონკურსი რომ ჩაუტარო
თქვენ ბელადი გყავთ გამორჩეული,
კონკურსის წესიც იმისგან იცით
ცალი ხელით რომ პირჯვარს იწერდა,
მოძღვარს მოძღვრავდა ლიტონი ფიცით
მეორე ხელით ხალხსა ძარცვავა, კონკურსიც იყო გამორჩეული
მამას ამდენი, დედას ამდენი, ძმასა და ბიძას ოქრო თუ ფული
თქვენ ფიქრობთ იყო ყველა იოლი?
სცადეთ, გაავსეთ ქვაბი უძირო
თქვენთვის როგორი დასათმენია,
სხვის „გულაობას“ ცხრა წელს უცქირო
იცვალნენ დრონი, თქვენც მიხვდით მგონი, ჭაობისაკენ მიექანებით
ჩვენი რჩევაა, გზა კიდევ არის, ნუ ჩაისვრებით ჭაობში ნებით.

მანანა ჯობახიძე

ბევრის აზრია გაჟღერებული, ბევრი საკითხი გაშუქებული
არა და იყო ყველას პირობა,
რომ დავრჩებოდით სიტყვის ერთგული
დათქმული იყო ერთი საკითხი:
პრეზიდენტს დარჩეს იმის უფლება
რომ პარლამენტთან შეუთანხმებლად,
თუ კი სურვილი დაეუფლება

მთელი მთავრობა გადააყენოს, ეს პარლამენტი ზედ მიაყოლოს
არავის კითხოს, არც რა ინაღვლოს,
ახალ მთავრობას რომ შექმნის ბოლოს.
თუ ის სჯობია რომ პრეზიდენტი
ამ უფლებებში ცოტა შევზღუდოთ
დიქტატორიდან მეფის დონემდე ჩამოვიყვანოთ,
ზღვარი დაუდოთ
რომ პარლამენტთან შეუთანხმებლად,
ვერ მოახდინოს დიდი ცვლილება
ასეთი იყო აქ დღის წესრიგი, არც მოგვდომნია სხვა დავალება
დღეს აქ რა ხდება. ყველა საკითხი,
რაც მოვიფიქრეთ, აქ განვიხილეთ
ის ძირითადი, რაც მიზნად გვქონდა,
ვერ გავიხსენეთ და ვერ ვიხილეთ
ერთი მიზეზი არი ნათელი, გოგა ხაჩიძემ აქ გააჟღერა
არც დაუფიქრდა რას ეხებოდა,
წამოსცდა როგორც ნასვამს სიმღერა
ვერულაშვილი მარიკა ჩვენი, ნაშობიაო მიშას წიაღში
ზევსი ყოფილა სააკაშვილი წამოწილილი ოლიმპოს ბაღში
მებრძოლი ქალი ათენა იყო, ზევსის წიაღში დადუღებული
მიშას წიაღში მარიკა არის დაბადებული, გაღიმებული
თუ სხვებიცა ხართ ამ წიაღიდან, დეპუტატები დაკვალიანდით
გამოდით მზეზე, შეხედეთ წიაღს,
წარმოიდგინეთ იქ რასა ჰგვანდით
ხალხს დაუბრუნდით, ხალხის წინაშე,
ხო თქვით ან არა, კენჭი უყარეთ
გეყოთ რაც ხალხის ზურგზე იწექით,
დროს ატარებდით შინა თუ გარეთ
დღეს სხვა დრო არის, სხვა ვითარება, ვისაც ქვეყანა არ ეზარება
პატრიოტობას გვერდზე გადადებს, საერთო საქმეს მიეხმარება
არ შეიძლება ასე, მუდმივად, ერთის ხუშტურებს ერმა უყუროს
ჩვენ თუ ვერ შევძლებთ, ხალხი ბრძენია,
ჩვენთვის აიღებს ხანჯალს და ეროს
ისედაც ხედავთ, გვიკარნახებენ,
პრეზიდენტს მეტად არ მოვუსმინოთ

არ შემოვუშვათ, იქაც არ შევხვდეთ,
სად წავა ვდიოთ და ვარბენინოთ
ახლა თქვენ იცით, ჩვენი რჩევაა,
პრობლემა მოვხსნათ საერთო ძალით
დაკვალიანდით, ახალ ცხოვრებას,
უნდა შეხედოთ ახლებურ თვალით

***

ცეზარი

სასწაულია, რას ვიფიქრებდი, რომ თავხედობას არ აქვს საზღვარი
ნაცებმა, როგორ შემოუტიეს, უტიფრებია, ვატყობ საზარი
თუმცა ეს მაინც რატომ მიკვირდეს, გაბაშვილები მამა თუ შვილი
ახალაია, კუბლაშვილები,
წყვილ-წყვილი ძმები შუბლს ძარღვ წაშლილი
ბაქრაძეს როგორ მიჰგავს ჩიორა, უაზრო, ზოგად გამოთქმებითა
ბობოხიძეა თუ მინაშვილი, არ შევიგონო, შევამკო ვითა
დარჩიაშვილის რა ვუთხრა მამას და წიკლაურის ორივე მშობელს
მეგობრობა რომ რომ მაკავებდეს,
დავემგავნები კაცობის მგმობელს
ეს ვინღა ნახეს პატარა გოგო, „თუთბერიძეა“ გათლილი ენით
თან ყველა ერთით მოჩანს შექმნილი,
უნამუსობას თესავენ ლხენით
თუმცა, რად მიკვირს ხაჩიძემ ხომ თქვა, მიშას წიაღში ნაშობებია
წიაღს თუ კარგად ჩავეძიები, ერთად ვუხსენო პაპა-ბებია
უმრავლესობას არა უშავდა: მათგან ნაცები ბევრი გაშავდა
კოპალიანმა ისეთი უთხრა, ნადირაშვილი მგონი დაშავდა
ბესელია კი, როგორც ყოველთვის, შეტევისათვის მომართულია
ცოდნაც ხელს უწყობს, უფალს შევთოვდი,
იაროს როგორც დღემდე ულია
მთავარი არის კოალიციამ ერთობის გზიდან არ გადუხვიოს
და შეძლებს, ყველა სისხლის მწოველი,
მართმსაჯულების ქსელში გახვიოს
ერთობას ვატყობ გაუჩნდა ბზარი, ბიძინამ დაჭკრა განგაშის ზარი

დროით გონს თუ არ მოეგებიან, მომავალი აქვთ ყველას საზარი
ჩემთვის ნიშანი არის ბიძინა, არ ჩამოეშვას სხვათა დონემდე
კაცის წესია: არ მიგატოვო, არ გიღალატო, რაკი მომენდე
ყველა მიენდო მხოლოდ ბიძინას.
ჩვენი ხმა მხოლოდ მას ეკუთვნოდა
ყველა პარტია და კანდიდატი,
ხალხისთვის მხოლოდ ბიძინად ჩნდოდა
თუ ხალხი გენდო და გაიმარჯვე, პარტიას რად ქმნი გამარჯვებული?
ნიშნავს რაღაცა ვერ არის კარგად,
ერთობის გრძნობა არი ვნებული

***

პარტია რაა? ბანდაა მხოლოდ ძალაუფლების მოსაპოვებლად
ხალხი თუ გენდო. ხალხის მამა ხარ.
ბანდა რად გინდა რომ გყავდეს მხლებლად?
ბანდამ დაღუპა სააკაშვილი, ბანდა შეკრა და ბანდით მოვიდა
რომ გამხდარიყო ერის რჩეული, ეს მადლი მასზე არ გადმოვიდა
ერს მიუძღოდა ის გარეგნულად, მაგრამ რჩებოდა ბანდის ბელადი
პარტია-ბანდა ვერ მიატოვა, როცა დამარცხდა, ხომ გახდა ცხადი?
ბიძინას რად სურს ერის თავიდან, ბანდის-თავამდე ჩამოქვეითდეს?
ვინც ეს ურჩია, თავისთვის ცდილობს,
ხალხის წინაშე კი ცოდვა იდეს
ჩვენ „ჩარეცხილებს, შავებს, ფარჩაკებს“,
კვლავ მოთმინება დაგვეკისრება
ღმერთმა ინებოს, არ გაიღვიძონ ჩვენისთანების ბასრმა ისრებმა
„კიდევ რა ითქვა? ხო, ანდრო ბარნოვს,
გუბენატორად რომ დაინიშნა
ცხრა დღის პრემია ჩაუჯიბია , რაც ახალ დროში ცუდად მენიშნა
და კიდევ ერთი, უმრავლესობამ პარლამენტისა თუ თქვა უარი
რომ მოესმინათ პრეზიდენტისგან დაპირებები და სატყუარი
ვერ მოქცეულან მთლად მართებულად,
ის ქუთაისში ხომ აღარ წავა
ნაციონალთა წივილ-კივილი, მოთქმის სიმძლავრე ზეცამდე ავა
სჯობდა სურვილი არ გაემხილათ. პრეზიდენტი რომ იქ ჩავიდოდა

სხდომის დარბაზში შეაბიჯებდა, პრეზიდიუმში წამოჯდებოდა წამომდგარიყვნენ და გასულიყვნენ, ეს იქნბოდა იმის ნიშანი რომ არ უნდოდათ მისი მოსმენა, აღსრულდებოდა ამით მიზანი თორემ რა მოხდა, უსუფაშვილმა, ყველა წინასწარ ჩაარაკრაკა დავით ბაქრაძე მაშინვე ახტა და წიკლაურმაც ბლომად ატრაკა „თეთრებმა“ ეს თქვეს, მიშა თუ ჩავა,

მიტინგს მოვაწყობთ და იქ დავხვდებით ახალ პარლამენტს ალყას დავარტყავთ,

ჩვენი ცოცხებით, კვერცხებით, ქვებით კოალიცია „ერთსულოვნება“ ორად გაიყო, გაცხადდა რადგან სააკაშვილი წავა-არ-წავა, ზუგდიდში ჩავა თუ სადმე სხვაგან „ერთსულოვნების“ ნაწილი მაინც ქუთაისს წავა და იქ დახვდება გელათის გზასაც გადაკეტავენ, არავინ უწყის სად და რა ხდება ნაწილი თბილისს დაიბანაკებს, აქ სამზადისი იქნება დიდი სახლიდან რომ არ გამოეპაროთ, იქვე ჩაკეტონ გზები და ხიდი ქართველები ვართ. ტრადიციულად,

ქართველებისთვის დიდი ნაკლია ჩაიფიქრებენ, აყვირდებიან, რა სურთ, რას მისდევს, და რა აკლია კაცი, რომელიც განზრახულობას, ტელევიზიით გამოაცხადებს ღირსად ვარდება ისეთ ორმოში,

სად ვერ არჩევენ ძუსა და ხვადებს სააკაშვილს რომ ეს ჩვევად ჰქონდა, ცეტი ბიჭია, გასაგებია ამათ თუ ისევ გაიმეორეს, ლოგიკურია, წასაგებია აღმოსავლური სიბრძნე რას ამბობს? რომ ქარავანმა უნდა იაროს ძაღლმა ირბინოს, კიდეც იყეფოს,

ვერც მიხვდეს და ვერც გაიზიაროს აბა შეხედეთ, სხვათა სხვაობით, ბიძინა თითქმის არაფერს იტყვის მოიფიქრებს და უხმოდ აკეთებს,

არა სჭირდება წარმოთქმა სიტყვის და მგონი მიხვდა, გარშემო მყოფთა გავლენით,

რაც თქვა და სხვებს დაპირდა გაუხდა თითქმის სანანებელი. ასეთების თქმა ღირდა არ ღირდა? ბევრი მედროვე, ძველი – ახალი, გარს ახვევია, საით ეწვევა? თუ ქარავნობა ვერ შეასრულა, დასახულ მიზანს ვერ დაეწევა ჭაობში ბევრი ჩაუთრევიათ, ვინძლო ფეხიც კი არ გაისვაროს სიმდიდრე რომ აქვს, სახელი უნდა, მისი სახელით ერმა იხაროს

***

პრეზიდენტი გვყავს ჩასაფრებული,
ქარავნის მიზნით გამწარებული
წარმატებასაც შეცდომად უთვლის,
„ლობისტებიც“ ჰყავს აყეფებული
როგორც კი მიხვდა ქუთაისს წასვლა,
პარლამენტს მისვლა საზიანოა
„თეთრები“ იმ გზებს გადაკეტავენ სად თერჯოლაა და საზანოა
გელათს ვერ მივა, დავითის საფლავს,
როგორ დახედავს და რა ჩასძახოს
ბაგრატის ტაძარს ვერ მოილოცებს,
„თეთრების“ შიშით რა უნდა ნახოს
გამოაცხადა: პარლამენტს არ სურს,
დატკბეს წლიური ანგარიშითა
მეც აღარ წავალ, არ ჩამეთვალოს, რომ არ ჩავდივარ მათი შიშითა
ბიბლიოთეკას ეროვნულს ვნახავ, რომ მოხსენება ჩავარაკრაკო
ელჩებს დავისწრებ, ტაშის დამკვრელებს,
ხალხს არ შევხვდები, რომ საარაკო
ჩემი გამოსვლა არ ჩაიშალოს, მწვავე კითხვები არ მომაყარონ
ერთგულებმაც კი, ტელევიზიით, მომისმინონ და ჩემით იხარონ
ასეც გადაწყდა. მანჯგალაძემაც ეროსის* რიხით გამოაცხადა
საკაშვილის გულში ნადები, გაამყლავნა და ფარდა ახადა
ამიტომ მოხდა, რვაში დილიდან, ნელ-ნელა იწყეს კიდეც შეკრება
ვინაც ითავა მიშას „მოსმენა“, ვისაც შეეძლო, არ ეზარება.

/ეროვნულ (ყოფილ საჯარო) ბიბლიოთეკასთან პირველ რიგში ყოფილი პოლიტპატიმრები მივიდნენ მელორ ვაჩნაძის, გიორგი კელენ-ჯერიძის, ირაკლი გრძელივანიშვილის და სხვათა შემადგენლობით. მათ მიემატა, ცნობილი უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე/

ნანა კაკაბაძე

თავის დროზე თქვა სააკაშვილმა, ვადაგასუმა და სულწასულმა

* ცხონებული ეროსი მანჯგალაძე ჭეშმარიტად სასიამოვნო მოსასმენი იყო, მანანასგან განსხვავებით.

შენება თუ მძულს, ნგრევის წესები გაითავისა ჩემმა წარსულმა
ოპოზიციურ ბრძოლის მეთოდებს, ისე შევერწყვი და შევითვისე
რაც დარბევაა და მიტინგია, საქმის კეთება არ მიყვარს ისე
დავიმახსოვროთ, რომ მისგან კიდევ, ბევრი რამაა მოსალოდნელი
იცის, ნერვებზე რომ ითამაშოს, სვლის გაკეთება სწრაფი ან ნელი
სიფრთხილე გვამრთებს, ის თუ გაიგო,
როგორი არის ჩვენი გეგმები
განზრახულს შეცვლის, დღეს მეფე ჰქვია,
ისე იოლად ვერ შეებმები,.

მელორ ვაჩნაძე

საპატიმროდან თავდახსნილები, შეუდრეკელნი, გულ გახსნილები
გადამწყვეტ ბრძოლას ჯერ არ ვუპირებთ,
თან გვაქვს კვერცხები, კიტრის მწნილები
საპანაშვიდო გვირგვინები გვაქვს, ცოცხები, სტვენა, შეძახილები
ისეთი ფორმით და იმ მეთოდით,
რომ პრეზიდენტი, მისი მხლებლები
„მოხიბულები“ დარჩნენ შეხვედრით,
ჩვენც დავრჩეთ ბოლოს კმაყოფილები
რომ ერთმანეთში არ აირია დედა, ბებია, ცოლი, შვილები

ნანა კაკაბაძე

ეგ ერთი მხარე მოქმედებისა, მთავარი მაინც არი მეორე
სირცხვილს კარში რომ გავატარებთ,
ჩვენი შეკრება არ დარჩეს მდორე
შიგნით შევგზავნოთ დეპუტაცია,
რამდენსაც შევძლებთ, რაც უფრო მეტი
რომ შიგნით მყოფებს, ჩვენების ხილვით,
წაერთოთ ძალი, დაესხათ რეტი
ჩამოუწეროთ« მათ შეკითხვები, ვადაგასულმა მოგვცეს პასუხი
ისეთი, ნაცებს დამბლა დაეცეთ, იყოს ნათელი და დასაქუხი
მთავარი არის მას შევახსენოთ,
მასზე სტრასბურგის სასამართლოში
დამნაშავეებს მფარველობდაო ითქვა და ამით ჩვენ სამშობლოში

მისი სახელი გამოვაჭენოთ, ვინ და ვინ არის ყველას ვაჩვენოთ
ვადაგასული, მისი მსგავსები,
ვლანძღოთ, ვაფურთხოთ და შევაჩვენოთ

ველორ ვაჩნაძე

გასაგებია. მივხედავთ საქმეს, თქვენ კი მოთხოვნა გაახმიანეთ
დეპუტაცია შეგვიშვან შიგნით: მათი განწყობა დააზიანეთ
ამასობაში ჩვენი მომხრენი, დათქმული გვაქვს და თავს მოიყრიან
ვინც საქმეს ადრე მოეკიდება, მისთვის დაწყება არ არის გვიან

/რამდენადაც მომიტინგეები საზოგადოებრივ წესრიგს არ არ-ღვევდნენ, საპატრულო პოლიცია მშვიდად ადევნებდა თვალყურს მთელ მოსამზადებელ საქმიანობას. ხუმრობა ამბავი როდია, მომიტინგენი ვადაგასულ, მაგრამ მაინც პრეზიდენტს უპირებდნენ „საზეიმო“ შეხ-ვედრას. ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი შესასვლელი შესაბამისი ატრიბუტიკით მორთეს.

დღის 6 საათისათვის მომიტინგეებს მიუახლოვდნენ უშიშროების (თუ საშიშროების?) საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, სერგო რატიანი, ჩიორა თაქთაქიშვილი, დეპუტატთა ჯგუფი ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან. ცოტა ხანში მათ შეურეთდა ქალაქის მერი გიგი უგუ-ლავა საკუთარ აჩრდილ კობა სუბელიანთან ერთად./

ჯიგი უგულავა

დათქმული გვქონდა თავს მოვიყრიდით
და შევუტევდით ერთიან ძალით
მითხარით, ვინმე ხომ არ დაგვაკლდა,
ისე დადექით, შეგხედოთ თვალით
ბევრი გვაკლია, ზოგი მათგანი,
ჩვენი ჯგუფიდან შორს რატომა დგას
განდევნილები ხომ არ არიან, მოღალატის გზას ხომ არვინ ადგას
ახლა მადროვეთ, იქიდან რეკავს და ინსტრუქციას შემატყობინებს
შემდეგ შევთანხმდეთ. დაიმახსოვრეთ,
კვერცხებს ვინ გვესვრის, ვინ შეგვაგინებს.

ჯიგა ბოკერია

ხალხი ბევრია თან, როგორც ვატყობ,
მომართულები, ალესილები
უნდა განვსაზღვროთ ბრძოლის ტაქტიკა,
ნაკლები მოგვხვდეს მუშტი, სილები
ასეთ ბრძოლებში გამოცდილი ვარ,
სამღვდელოებას როცა ვებრძოდი
ბასილ მოძღვრის წინ წიხლებს ვიქნევდი,
მლოცველების წინ კი არა ვკრთოდი
აქ სულ სხვა არის სიტუაცია,
ხელჩართულ ბრძოლას აქ ვერ მოვიგებთ

ჯიჯი უგულავა

სამღვდელოებას რაც შეეხება,
ნაკლები არ მაქვს ბრძოლა გავლილი
გახსოვთ პატრიარქს რომ შევუვარდი
და დავაჩოქე მოხუცი ფრთხილი
მაშინ თქვენგანი არავინ იყო, მე კობა მახლდა სუბელიანი
არ შევჭრილიყავთ სატრაპეზოში, ჩვენი ზეიმი იყო გვიანი
მე ვინ მასწავლოს ბრძოლის ტაქტიკა,
არც მეთოდები არ შემეშლება
თქვენ ოღონდ გზაში არ ჩამომცილდეთ
და მაშინ ნახეთ ჩემი შეძლება.

ჩიორა თაქთაქიშვილი

თქვენ დაგენაცვლეთ მამაკაცებო,
თქვენი იმედით ხარობს ქვეყანა
თქვენ გვერდითა ვართ, ის ვინცა ქალობს,
გულს გადაგიხსნით თან ხანდახანა
მე და სერგო ვართ თავდადებული,
სხვა დეპუტატებს ახლო ვერ ვხედავ
მე უმანდილო, წინ წაგიძღვებით, თუ უკან იხევთ, მაშ მე გავბედავ
თქვენ ოღონდ სერგო რატიანს განდობთ,
მხარი მიეცით და დაიცავით
რატიანებში გამოვარჩიე, პირობა მივეც, დავიცავ თავით.

ბიბა ბოკერია

გულს უხარია, ნაციონალებს,
მუხტი შემოგვრჩა ცხარე ბრძოლისა
ვინც ივაჟკაცებს, დაუფასდება,
თასი მზადა მაქვს, მათთვის ბროლისა
მაგრამ მანამდე, იქნებ დავფიქრდეთ,
ვნახოთ სხვაგავარი გამოსავალი
ეგებ გადავრჩეთ ცემას და ტყეპას და მოვიწიოთ თან მოსავალი
მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილმა, დამირეკა და შემატყობინა
სხვა შესასვლელი ჩვენთვის მზადა აქვს,
კი არ მირჩია თან მაგრძნობინა
უმჯობესია ჩვენი გუნიდისთვს, იქიდან ჩუმად შიგნით შევიდეთ
თქვენ გადაწყვიტეთ, რომელი გიჯობთ,
შედეგის ცოდვაც თავზე დაიდეთ

ჩიორა თაქთაქიშვილი

ასეც ვიცოდი, გული მიგრძნობდა,
ამ ნაძირლების დაგყვებათ შიში
მაშ მე წინ წავალ, უკან გამომყვეს, ვის არ სჩვევია მოთქმა და ვიში
თქვენ ნახავთ როგორ გავარღვევ მათ რიგს,
გზას გავკვალავ და უკან მომყევით
არაკაცები, შეხედეთ მაინც, როგორ გვხვდებიან ცოცხების ქნევით
ჩვენამდეც ჰქონდათ ამათ მცდელობა,
მაგრამ ელჩები, ჟურნალისტები
გაატარეს და ხელი არ ახლეს, არც შეძახილის მარგალიტები
არც ერთს კვალ და კვალ არ დაადევნეს.
ნიშნავს ლაჩრების ბრბო არის მხოლოდ
ვერც ჩვენ ვერაფერს გაგვიბედავენ,
გამარჯვებაა ამ ბრძოლის ბოლოდ.

ბიბი უგულავა

ჩიტო-ჩიორა, ხარ გაბედული,
მაგრამ კაცებს ნუ ჩაგვთვლი ლაჩრებად
ნუ წარმოგვიდგენ არა კაცებად,
შეშინებული კურდღლების კრებად

მე დაცვა მახლავს, ეს იმას ნიშნავს,
ჩემ ხელში არი დამრტყმელი ძალა
შემომიერთდით, არ დაიფანტოთ,
არ დაგიჭირონ ბრძოლისას ცალად
ახლა შევჯგუფდეთ, ერთიან ძალით,
ცენტრში დავარტყათ, გავფანტოთ მტერი
ამათ დავიფრენთ, ზევით ვაცნობებ, გზა გახსნილია მისი საფერი
მზად ხართ? კარგია. ახლა უყურეთ, ამათ რა ვუყო, წამოვიკიდო
თქვენ არ ჩამომრჩეთ, აბა წავიდა, შუაზე გავჭრა როგორც აკიდო
„მიდით და მიდით და დადგით შოუ“...
თქვენ ხომ მოსულხართ უსაქმურები
რათა პრეზიდენტს დღე გაუმწაროთ,
ჩვენ დაგვაღონოთ ნამსახურები
აბა დაიძრა, აბა წავიდა, დღეს აქა წყდება სამშობლოს ბედი
ჩვენ უნდა გავსხნათ შეკრული ზეცა
და პრეზიდენტის გადასახედი

/უგულავა ხელით ანიშნებს შეტევის დაწყებას. შეკრებილები მათ სტვენით, გინებით შეეგებნენ. მალე ყოველივე ცემა-ტყეპაში გადაიზარდა. აქტიურ ჩიორა თაქთაქიშვილს ვიღაცის ხელი მოხვდა და ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. გიგა ბოკერიამ შეძლო მისი შეჯგუფებული მასიდან გამოყვანა./

ჩიორა თაქთაქიშვილი

ხელი გამიშვით, რას მოვესწარი,
ნახეთ რომ ჩემთვის წყნარად ვიდექი
ეს ნაძირლები, იქ მომიცვივდნენ, ფეხი წამომკრეს, ვეგონე ბექი
ესენი უნდა ციხეში ისხდნენ, ვინც გამოუშვა, არის ცოდვილი
პრინციპულად სისხლს არ მოვიწმენდავ,
ძლივს მაქვს ცხვირიდან გამოწოვილი
დე გადამიღონ, ყველას აჩვენონ, ავაზაკებმა რა გამიბედეს
არ შევეცოდე, არ დაიმალნენ, ზურგი მაქციეს, ცივად შემხედეს
ეს კიდევ რაა, სერგო რატიანს, ჩემს სერგუნიას დედა აგინეს
ნაძირალები, ვერა ხვდებიან, არაკაცობა გამოაჩინეს.
ტელევიზიამ უკვე უჩვენა? კარგია მაშინ სისხლს მოვიწმენდავ

შენობაში აქვთ ტელევიზორი? როგორა ვჩანვარ, წავალ შევხედავ ოხ, ვინ მოდიან თენგო და ანდრო*. რაღა დროსია, დააგვიანეს მხარდაჭერა არ გამოაჩინეს, განზე გაგვიდგნენ, დაგვაზიანეს თქვენ ნახეთ გიგის რას უშვებიან, ქალაქის მერს არ ეპუებიან გამოიყვანეთ, არ შემოაკვდეთ, ეგ დახმარება იქნება გვიან ღემრთო რას ვხედავ, ოჰ, მე ამათი, ქალაქის მერს რომ გაუბედავენ გუბერნატორებს და დეპუტატებს, თუ დაიჭერენ, რაღას უზავენ? საპატრულო კი ჰქვიათ ამ ბიჭებს,

პატრულობით თავს არ იწუხებენ ვანოს დრო მოვა, ბაჩოს დრო მოვა, ყველას ციხეში შეაბრუნებენ თებერვალია, ჩვენი რევანში აპრილისათვის დაგეგმილია ყველას ათმაგად მოეკითხებათ, რა ცოდვაც მათგან ჩადენილია.

/7 საათი. გუდიაშვილის ქუჩაზე შეკრებილთა შორის გამოჩნდა შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. მომიტინგენი, მაყურებლები მას მოწონებით და ტაშით შეხვდნენ./

ირაკლი ღარიბაშვილი

სამინისტროში კარგად ვიცოდით, რომ პრეზიდენტი ეპირებოდა გამოსულიყო საჭირო სიტყვით, თანაც სასახლეს ეფარებოდა ხან იფიქრებდა ქუთაისს წავალ, ბაგრატს და გელათს მოვინახულებ ორჯერ მივეცი საფლავთან სიტყვა,

შევცდი, შევცოდე და ვიმარხულებ. ჩვენ რაღა გვექნა, ჩვენი ძალები, აქედან იქით გავანაწილე მინდოდა დაცვა პრეზიდენტისა და ინციდენტი ვერ ავიცილე რადგან შეცვალა უცებ გეგმები, ჩვენც აგვირია სავალი გზები ბოლოს მოუნდა აქეთ წამოსვლა,

ხომ არ ვეტყოდი ამას რად შვრები ყოფილი პოლიტპატიმრებისგან,

რომ მოელოდა შეხვედრა ცხელი მივხვდით და ხედავთ პატრა ქუჩას იცავს რამდენი პოლიციელი ბიბლიოთეკას ბევრი აქვს კარი, ორი მათგანი ისე შევკარი

* თენგიზ გუნავა – სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორი, ანდრო ბარნოვი – შიდა ქართლის გუბერნატორი.

ნაციონალებს შვებით გაევლოთ,
არ გადაჭყროდათ დამხვდომთა ჯარი
ამის შესახებ ველაპარაკე, უშიშროების საბჭოს მდივანსა
მან მომხრეები არ გააფრთხილა, ასე ვუყურებ და ასე ჩანსა
ან და პირიქით, განგებ მიაწყეს აქ შეჯახების პროვოკაცია
იფიქრეს, ცოცხებს გამოვლილები, რა ძალა არი, ვინ რა კაცია
ხოდა, მოხდა ის, რაც უკვე მოხდა,
მოხვდათ უჭკუო პროვოკატორებს
მიტყეპილები თავს იმართლებენ, მოიგონებენ ათასგვარ ჭორებს
ორივე მხარეს მე მოვუწოდებ, აღარ არიონ ქუჩის წესრიგი
ორივე მხარის დებოშირს დავსჯი, მელორი იყოს და თუნდაც გიგი.

მანანა მანჭგალაძე

ბატონ მინისტრის წუხილი მესმის და მოწოდებაც გასაგებია
ის აქ არ იყო, როცა პრეზიდენტს თბილად უხსენეს დედა, ბებია
ამიტომ მრჩება შთაბეჭდილება, აქ მოსვლა განგებ დააგვიანა
გამოჩნდა მაშინ, როცა ნასროლმა ცოცხებმა ქუჩა ანაგვიანა
რაც იყო, იყო. სურვილი არის არ მოხდეს მსგავსის განმეორება
ახლა ახალი მაქვს დავალება, გთხოვთ მომისმინოთ, იყოს სწორება
პრეზიდენტს სურდა აქ მოსულიყო, წიგნებს ნახავდა, გაიხარებდა
იქნება ზედაც ჩამოჯდებოდა, ჯდომით ხომ საჯდომს გაიმყარებდა
ჩანაფიქრი აქვს ახლად შეცვლილი, გენიალური აქვს მოსაზრება
მისი სასახლე არის დაცული, ღობეზე კატაც ვერ გადაძვრება
მომიტინგენიც ახლოს ვერ მივლენ,
იყვირონ, ხმასაც ვერ მიაწვდენენ
სამი ათასი დარაჯობს დაცვა, ვინც მივა სცემენ, სისხლსაც ადენენ
კარგად დაცული, თქვენგან ტანჯული,
დანომრილებთან სიტყვით გამოვა
ისეთი რამ თქვას, ბევრი დამიწდეს
და ზოგისათვის მზე კვლავ ამოვა
მინისტრს მივმართავ, პრეზიდენტს
უნდა, რომ სასახლესთან ბრბო არა ჩანდეს.
ღობეს არავინ არ მიეკაროს, არ გაარღვიოს, არ გადაქანდეს
შიგ შევლენ მხოლოდ დანომრილები,
ნომერი ყველამ წინასწარ იცის

პრეზიდენტისგან მოისმენს ყველა,
ერთგული არის დავითის ფიცის.

ბიბა ბოკერია

ჩვენ სიძულვილის ნაყოფი ვნახეთ,
სიძულვილი კი შობს ძალადობას
აქ უგულავას ძმობას ვინ ფიცავს, და ან ჩიორას ვინ უწევს დობას?
გასაგებია. აქ ის ხალხია, ვინც ციხეების საკნები ხეხა
ვინაც მანამდე მიტინგს მართავდა, გაზეთი დაწვა, იდეა ჩეხა
პროკურატურამ ვის ბრალი დასდო და სასამართლომ ვის მიუსაჯა
ოცნების ხალხი ვისაც შეეპირდა და ხმის მიცემას ვისაც ეაჯა
სხვა რამეს განა ვინმე ელოდა? ეს მოხდებოდა, თავიდან ჩნდოდა
პატიმარ ყოფილ მელორის ირგვლივ,
კაკაბაძე რომ ფრინავდა, ხტოდა.

ირმა ნადირაშვილი

მეც მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა, ავი და კარგი, რაც კი აქ ითქვა
პრემიერ-მინისტრს დაუბრუნდება
„ნაცების წყევლა და ნასროლი ქვა
სამარცხვინოა რასაც ბიძინა ივანიშვილი აქა კადრულობს
სახელი არ აქვს, კაცობა არ აქვს, და ცემა-ტყეპით აქა შოულობს
ბიძინა თავად სირცხვილი არის, ღარიბაშვილი უბედურება
მატყურა და ორპირი კაცი, შეგეზარება მისი ყურება
სხვას ბევრს ვიტყოდი მათ შესამკობად,
მაგრამ სასახლეს მიმეჩქარბა
შეხედავ, შიგნით გაგინათდება, მისი მოსმენაც არ მეზარება.

/პრეზიდენტის სასახლე. 9ს.13წ. დარბაზში მიწვეული ელჩები და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებია./

პრეზიდენტი

ჩემს გულისტკივილს გამოვთქვამ მხოლოდ
და შეშფოთებას დავამატებდი
მეც ხომ ვებრძოდი ჩემს წინამორბედს,
მაგრამ ასე ვერ გავიმეტებდი

მსურდა-არ მსურდა, შევარდნაძისთვის,
ყოველთვის ფხიზელს მომისმენია
განა ყოველთვის ვეთანხმებოდი, მაგრამ კითხვები არ გამჩენია
მე, როგორც ქვეყნის ხელისუფალი და უმაღლესი მთავარსარდალი
აღმაშენებელს გავუტოლდები, თუმცა ვგონივარ ამათ დედალი
ორი დღე არი ბრძოლებით ვიხევ, ომის ჟინი არ გამნელებია
პარლამენტს ვთხოვე სიტყვით გამოსვლა,
ადრე არასდროს გამძნელებია
უარი მითხრეს, და ამის მერე, გავმაგრდი ახალ პოზიციაზე
ბიბლიოთეკას ალყა დაარტყეს, მედავებოდნენ თუ იცით რაზე?
მე ვერ გავიგე მათი ტაქტიკა, უცხოელ ელჩებს ექადნებოდნენ
დეპუტატებსაც შიგ არ უშვებდნენ, ქალაქის მერსაც ედავებოდნენ
ბოლოს სურათი გამოიკვეთა, ამ სასახლეში სურთ გამომკეტონ
გიჟი არის და უნდა გადადგეს, – მერე ამაზე შარი ატეხონ
ჩვენ ამ მხრივაც გვაქვს გამოცდილება:
გამსახურდია ბუნკერში ჩასვეს
არ მოუსმინეს მის მოწოდებას, შუქი არ მისცეს, აჭამეს, ასვეს
უნდათ იგივე მე გამიკეთონ, ერთ ადგილს ყოფნა ჩემი ძნელია
ბევრჯერ ვიფიქრე, რა ძალი მადგას, სასიარულო არ დამელია
ზვიადი მოკლეს, მე ვერ მომკლავენ, უმოქმედობა არი სიკვდილი
ვერ ჩამკეტავენ, მე მაგარი ვარ,
„ლობისტებამდე“ ხმა მაქვს მიწვდილი
ჯერ ელჩებს უნდა მოვუბოდიშო, ვერსადა მნახეს სადაც ვიწვიე
მოწმედ მინდოდნენ, რადგან „მუმია“ ორთაბრძოლაში გამოვიწვიე
ახლა აქა ვარ, ჩემს სიმაგრეში, მოწმე-მსმენელნიც აქავე მყვანან
რასაც მე ვიტყვი, გააფორმებენ, ყრუ არ არიან, მუნჯებს არ გვანან
ამის თქმა მსურდა. ცოტა გავხურდი და მოხსნებას ჩავარაკრაკებ
მხოლოდ ძირითად დასკვნებს გაგაცნობთ,
თუმც ენა მაძალავს, არ გავატრაკებ
კოალიცია კრიჭაში მიდგას, სურთ შეაჩერონ აღმშენებლობა
სურთ დამიწუნონ დილით მამლობა,
დღისით ლოთობა, ღამით მშობლობა
უთანხმოების პირველი პუნქტი, პარლამენტს უნდა დავუკავშირო
ამათ ჰგონიათ ქუთაისს ვყვარობ, სხვა ქალაქები რომ გამოვხშირო
ვერა ხვდებაინ, ამათზე ვზრუნავ, თბილისი მიტომ ვერ ავიტანე

აქ სახიფათო იცის მიტინგი და პარლამენტი გადავიტანე
კოალიცია, ხომ უნდა მიხვდეს, ქუთაისშია ისეთ ადგილას
დილას შეკრული მომიტინგენი იქ მიაღწევენ მეოთხე დილას
ამასობაში ბრაზი გაუვლით, წყალწითელასთან ჩამოსხდებიან
იმერულ სუფრას მიუსხდებიან, კმაყოფილები დაბრუნდებიან
აქ, რუსთაველზე მისვლას რა უნდა,
არ ახველებდე სიმწარით თუნდა
სულ იოლია გზა გადაკეტო, ზუსტად გვესროლო ტალახის გუნდა
ახლა მეორე ვნახოთ პრობლემა, რაში სჭირდებათ გვემა და ცემა
რაც პრეზიდენტის მაქვს უფლებები, ყველა პრემიერს გადაეცემა
უარს არ ვამბობ, მხოლოდ მაცალეთ,
განა რამდენი დამრჩა მეფობა
ყველაფერს გითმობთ,
ოღონდ არავინ არ მოინდომოს ქალთა შეფობა
ეს პროფესია, მასთან ლოთობა, ცხოვრებას ჩემთვის დაუდგენია
ოქტომბრამდე მსურს „ბაირამობა“,
სხვა ყველაფეირ, ვამბობ თქვენია
მე მხოლოდ გირჩევთ დღეის პარლამენტს,
პრეზიდენტი არ აარჩევინოთ
ისეთი ხალხი არის შეყრილი, გაასაღებენ წყალ წყალას ღვინოთ
უმრავლესობა რომ გაიძახის, მიშა გიყია, არ დაუჯეროთ
არც დაამწყვდიოთ, არც გამოუშვათ,
არც შეაგინოთ და არც ემდუროთ
დალოცვილებო, სასამართლოსი ამ გიჟმა შექმნა, ისეთი წყობა
გამწარებენ და ვერაფერს აკლებთ, შეურიგდებით, რა გაეწყობა
ასეთს მე ვინმე გამიბედავდა? კუბლაშვილი რა ფეხებს მომჭამდა
თითს დავუქნევდი, ჩაისველებდა,
თამამი მხოლოდ სხვებთან მოჩანდა
ნეტა ვიცოდე, მე არას მერჩით, კუბლაშვილს უცებ გაგიჩუმებდით
ამ ჩემს მიღწევას მიითვისებდით და გამარჯვებით იამაყებდით
დაფიქრდით რაზეც ფიქრი გაგანდეთ, ასეთი რჩევა გაიზიარეთ
მე გეტყვით, რაც ჩვენ გვაერთიანებს, გაიაზრეთ და ამ გზით იარეთ
საამაყოა ჩვენი წარსული, ვერას დააკლებს ქაჯი-ავსული.
თამარი, შოთა, ილია, ვაჟა და აღმამშენი წრე გადასული
იმათ კვალ და კვალ, ზეშთაგონებით ქვეყანა ახლად მიშენებია

კრიმინალები მომითოკია, დასვენება არ მინებებია
ვიცი ჯერ კიდევ უმუშევრობა, ყველა მიღწევას დაღად ასვია
საზღვრებს გარეთაც ბევრი წასულა,
ბევრს ვერ ვაჭამე და ვერ ვასვია
მაგრამ ხომ მქონდა ამის სურვილი, ყველა ერთად ხომ მეცოდებოდა
მე თუ ვშრომობდი, მათთვის ვშრომობდი,
გაკეთებული მეცოტებოდა
ლაზიკა მხოლოდ მათთვის დავიწყე,
ვიფიქრე ყველას თავს თუ მოვუყრი
ერთბაშად ყველას მოვუბოდიშებ
და არ შემრცხვება, თავს არ მოვუხრი
ამოცანად მაქვს მე ოთხი პუნქტი: პირველი არის თავისუფლება
ევროპისაკენ ავიღოთ გეზი, აღარ დაგვჭირდეს რუსეთის ხლება
ისე კი არა, ზეპირად ვიტყვით, ვთქვი, დამავიწყდა, არ შევასრულე
მთავარ კანონში უნდა ჩავწეროთ, რაც მოვიფიქრე და შევიგულე
მეორე პუნქტი დემოკრატიას ამყარებდეს და უნდა იცავდეს
კანონი უნდა უმაღლესობდეს, რათა ქვეყანა ქვეყანას ჰგავდეს
მერე რა ვქნათ, რომ დემოკრატია, ბოლომდე კარგად ვერ გაგვიგია
მთავარი არის რომ ვდემოკრატობთ და იმედები ზედ აგვიგია
მესამე პუნქტი არსებითია, დიდ ძალისხმევას უკავშირდება
ვინც რა იშოვა, დავუკანონოთ, არ სჭირდებოდეს ჩვენი ხელდება
კრიმინალებმა, ჩინოვნიკებმა ვერ მიიტაცონ კაცის ქონება
ისეთი უნდა შევქმნათ ცხოვრება, სხვაგანა ჰქროდეს ჩვენი გონება
მეოთხე პუნქტი, წინა სამს შეკრავს,
თავს დაედება, როგორც გვირგვინი
კაცმა თუ მძიმე შრომა გასწია, დაღალა ჯანი, იჭყლიტა ტვინი
კი არ წავართვათ. მთელი პროგრესის,
საფუძვლად დავდოთ და ზედ ვაშენოთ
რაც მიშოვია, ახლა ჩემია, რატომ გავხადო ახლა საშენოთ?
მე საპროგრამო პუნქტებს შევეხე, ახლ;ა დავსახო მიღწევის გზები
ჩამოგითვლით და მოგთხოვთ თანხმობას,
რომ ახალ ეტაპს მივსდიოთ გზნებით
პირველი არის, რომ განვაახლოთ უშიშროების საბჭოს სხდომები
უმცირესობა, უმრავლესობა, ისხდნენ,
იღწვოდნენ იქ როგორც ძმები

მეორე არის ამინისტია, არა ისეთი, რაც გააკეთეთ
იანგარიშეთ ვინ რა მოიგო, შარი მოუდეთ, მყისვე ეკვეთეთ
ასე ჩავთვალოთ, წლევანდელ წლამდე, ვისაც სად და რა მოუპარია
დავუკანონოთ, ნუ ვედავებით ვითომ იჯარით მინაბარია
თორემ გამოდის, რომ პირველ რიგში, ჩემი ოჯახი დაზარალდება
თუ მოპარული ჩამოგვერთმევა,
სასმელ-საჭმელად რაღა დაგვრჩება?
მესამე ჩემი მოთხოვნა არის, ვინც ერთგული მყავს ავი თუ მწარი
პროკურატურა ყველას შეეშვას, რა ჩემებისკენ მოექცა მხარი?
ცოტაა ქვეყნად ოხერ-ტიალი? დაიჭიროს და დაადოს ვალი
სასამართლომაც გაითავისოს, ჩემიანებზე დახუჭოს თვალი
მეოთხე აქაც ძირითადია, შემკრები არის წინა სამისა
ცხრა წელი ვმეფობ, ცხრა წლის მანძილზე
დამნახავი ვარ ბევრი ხამისა
მაგრამ კეთილი, პატიოსანი, მშრომელი, მაგრამ მაინც მშიერი
უფრო მეტია ჩემი გამოთვლით და ვერ გავყავი თანაბრად ერი
ამიტომ არის ჩემი პირობა, გინდა უწოდეთ ამა ვირობა
ქვეყანას მოვლი, ხამებსაც მოვთვლი,
გამოვიჩინო ამ მხრივ გმირობა
სხვა დანარჩენი არ მადარდია, თქვენთვის ეკალი, ჩემთვის ვარდია
ჩემი პროგრამა თქვენსას შეაჭდეთ, ერთი მეორის თანაფარდია.

/პრეზიდენტის ამ საპარლამენტო წლიურ ანგარიშს დამსწრენი დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. ხუმრობაა? ორი დღის წვალების შემდეგ ემოციურად დატვირთულები სტოვებენ პრეზიდენტის სასახლეს./

ცეზარი

ან მე ვარ გიჟი ან და ეს ხალხი, გიჟურ იდეებს მძალავს ხატებად
ბრიყვი არა ვარ, ვერ დავინახო, ჩემი სიმდიდრის მიწყივ მატება
მაგრამ როდესაც ყველა სიკეთეს კი ვერა ვხედავ, მეუბნებიან
თავს ვეუბნები, გატყუილებენ, გაიგე, ვიდრე იქნება გვიან
მთავრობა ამბობს, მე მხოლოდ ჩემ ხალხს,
იმის მომავალს ვემსახურები
თვალით არა ჩანს, სმენას თუ ხვდება,
ჩემი ბრალია რომ მაქვს ყურები?

ვის გაუგია მოსამსახურეს, ბატონზე მეტი ხელფასი ჰქონდეს
ყოველ თვიურად პრემია მოჭრას, შეღავათებით თავი გაჰქონდეს
მაშინ მე გეყვით: ძირს ბატონობა, ახლა მე მინდა ვიყო მსახური
ჩემზე უკეთეს საქმეს შეიძლებს, ვიღაცა ყბედი და უსახური?
გაიძახიან დემოკრატიას, ვინმემ თუ იცის რა არის არსი
რაც არ იციან, მე მასწავლიან ათასი ვინმე ექსპერტი თარსი
ახლა ახალი იშოვეს საქმე, ქვეყნის მართვისას შევცვალოთ წესი
რაც უფლებები პრეზიდენტს ჰქონდა,
პრმეიერისთვის გახდეს ნათესი
მამა უცხონდათ. ქვეყნის მეთაურს სახელწოდება თუ შევუცვალე
წუთისოფელიც გამოიცვლება,
უკეთ ვიცხოვრებთ დღესვე ან ხვალე
დალოცვილებო, გამოიკითხეთ, ირგვლივ ვინაა ჩემზე მშრომელი
დღე და ღამ წელზე ფეხი მიდგია, შემეჯიბრება საქმით რომელი
მაგრამ რად გინდა, პატიოსნებით ქვეყნად არავინ გამდიდრებულა
ვინაც იშოვა, „შავად“ იშოვა, მერე გამიხდა აქეთ დიდგულა.

***

ამიხტნენ კიდეც. ცეზარს გეტყვიან,
მაგრამ ეტყობა მობერებულხარ
თამადად აღარ გამოგვადგები, წყვილად დამცლელი აღარა ჩანხარ
წადით მე თქვენი ყოფა ვატირე, მომენტი ნახეთ და დამათვერით
გამოვიპარე. კიდევ გინდოდათ
დამტკბარიყავით დამთვრალის ცქერით?

/შემოდის მეზობელი/

მეზობელი

ცეზარ რა მოგდის, რა უცებ მოტყდი, გესმის? არ ესმის, ჩასძინებია
ტელევიზორი მაინც გათიშე, დენის ფულიც არ დანანებია
შენი იმედი მქონდა ქეიფში, ვაჟკაცად ვდილი წუთისოფელში
ცეზარ პირველი მეგონე მუდამ,
ცეზარ „პასლედნი“ შემომრჩი ხელში.

/მეზობელი გამოუთიშავს ტლევიზორს და მიდის/

სარჩევი

დიდი ცოდვა (1790 წ.) 3

ცეზარი (ცხელი ზამთარი – 2013 წ.) 81